

652/
1983/2


ISSN 0134 3459

01343459
01343459

ქართული

6

1983



ქოჩოსი

ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მფარველთა კავშირისა
და აჭარის განუყოფილების
ორგანო

გამოცემის 25-ე წელი

6
1983

ნომერი
დებამბერი

რა მშვენიერი ზღვა ვეაქვს, აჭარა,
რა შომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



გათუხი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

ნოვარში დაბეჭდილია:

ნანი გუგუნიძე 3 ისტორიული გადარჩენის მკაფიო მა-
გალითი

პოეზია, პროზა

მისეილ ღუდინი 7 მიწა, რომელსაც საქართველო ჰქვია
ევგენი ევტუშენკო სახელად (ლექსები. თარგმნა გიორგი
ბელა ასაძეშვილი) სალუქვაძემ)

რაბაზ სურამანიძე 10 ემრულა (მოთხრობა. დასასრული).
შუშუნა საჯიშვილი 22 ლექსები
რობერტ სტურუა 25 შემოდგომის ორი დღის ქრონიკა
(კინოსცენარი. დასასრული).
ვემე ღავითაძე 53 ლექსები
ნუგზარ ერგემიძე 58 ლექსები

გეოგრაფიკა — 200

პარმენ ცეცხტარია 59 მეგობრობისა და ძმობის ისტორიიდან
რევაზ უზუნაძე 63 „გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუ-
ციას“

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ფოთა წოიძე 65 „საუკუნოდ სახსენებელი“
ცისანა ანთაძე 71 სიტყვა მეგობარი პოეტის წიგნზე
ავთანდილ დიასამიძე 73 „ჩაფიქრება“

წერილები

ლადო შარაშიძე 78 დაფასებული ამაგი
მისეილ მასარაძე 81 „ქართული ნეოპლატონიზმი“ და ნუ-
ცუბიძე-პონიგმანის იდენტობის თეო-
რია
90 ვახუშტის ორ თვეში
94 „ჭოროხის“ 1983 წლის ნომრების
შინაარსი

გარეკანის 1-გვერდზე—სახლი ქ. პათუმში, კომკავშირის ქუჩაზე. მხა-
ტვარი ა. ლომაძე.

ტექნიკური ხელმძღვანელი შუშუნა ღვინია.

ისტორიული გადარჩენის მკაფიო მაგალითი

ნანი გუგუნაშა,

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი

მთელ ქართველ ხალხთან ერთად აჭარის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ ძმობისა და მეგობრობის ნათელ დღესასწაულს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, საქართველოს სსრ დაჯილდოებას ლენინის ორდენით.

ხალხმა სამართლიანად უწოდა ამ ტრაქტატს ძმობის მანიფესტი, ამიტომაც აღინიშნება მისი იუბილე დიდი გულითადობის ვითარებაში რესპუბლიკის ყოველ კუთხეში, ყველა ქალაქსა და სოფელში, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ ზეიმს განსაკუთრებული ელფერი აქვს აჭარაში.

განმათავისუფლებელი რუსი ჯარისკაცის მეშვეობით აჭარის დედა-საქართველოსთან დაბრუნებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხანაგმა ე. შევარდნაძემ ისტორიული გადაწყვეტის მკაფიო მაგალითი უწოდა.

საყოველთაოდ ცნობილია ის რთული ისტორიული გზა, რომელიც აჭარამ წარსულში განვლო, მტრების დაუსრულებელმა თარეშმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ამ უძველესი კუთხის ეკონომიკასა და კულტურას. მის მკვიდრთ ფიზიკური განადგურებისა და გადაგვარების საფრთხე დაემუქრა.

სამი საუკუნის მანძილზე ბატონობდნენ ოსმალთა დამპყრობლები ჩვენს მხარეში, მაგრამ მის მცხოვრებთ ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა მშობლიური ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის. ეს პროცესები უწყვეტად და უსისხლოდ როდი მიმდინარეობდა. მრავალ დამსჯელ ექსპედიციას გადაუწვავს და გადაუბუგავს, დაუნგრევია და გაუპარტახებია ჩვენი მხარე; დიდებული ნაგებობებით, ბაღ-ვენახებით დამშვენებული მიწა-წყალი, სადაც ყვაოდა მეცნიერება და კულტურა, უკიდურესად ჩამორჩენილ პროვინციად იქცა.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი მხარის მოსახლეობას, მის საუკეთესო შვილებს ბრძოლა დედასამშობლოსთან შეერთებისათვის არასოდეს შეუწყვეტიათ. ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ აჭარის განთავი-

სუფლების ერთადერთი რეალური ძალა რუსეთი იყო. ერთი პირველადი ნი, ვინც აჭარის დედამამშობლოსთან გაერთიანება პრაქტიკულად სცადა, სელიმ ხიმშიაშვილი იყო. იგი აწარმოებდა საიდუმლო ნოლაპარაკებებს, კავშირი დაამყარა ერეკლე მეფესთან და კავკასიის მთავარმართებელთან, რუსეთ-თურქეთის ომების დროს კი, შეძლების მიხედვით, ხელს უწარმოებდა რუსეთის ჯარებს. ამიტომ იყო, რომ მტერმა ბათუმში 15-ათასიანი სამხედრო შენაერთი განაღდა. მას უნდა ჩაესმო საზღვრეთ-დასავლეთ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც სელიმ ხიმშიაშვილი ედგა სათავეში.

სელიმი რომ ვერ მოისყიდეს, ინტრიგებსა და მუქარას ნიმართეს, მაგრამ ამანაც არ გაჭრა. მაშინ ოსმალებმა ყოველი მხრიდან შეუტოეს სახელოვან მამულიშვილს და ხიხანის ციხე-სიმაგრეში აიძულეს თავის შეფარება.

წუხანათობა და ღალატი თუ არა, მტერი ვერ შეძლებდა სელიმის დატყვევებას. თავის მოკვეთის წინ დიდ მამულიშვილს უთქვამს: „მე მჭრით თავს, მაგრამ გახსოვდეთ, აჭარა თავის დედას — საქართველოს მაინც შეუერთდება. ამ ანდერძს ჩემს შვილებს დაეუტოვებ“.

აღსანიშნავია, რომ სელიმის შთამომავლები ყოველმხრივ იღვწოდნენ მისი ანდერძის აღსრულებისათვის.

რუსი და ქართველი ხალხების სამარადისო მეგობრობის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 1878 წლის 18 იანვრის დიდი ბრძოლა ციხისძირში.

ამ ბრძოლის აქტიური მონაწილეები იყვნენ გენერალ-მაიორი შალიკაშვილი, თავადი აბაშიძე, ოფიცერი გოგუაძე და ბევრი სხვა ჩვენი თანამემამულე, რომლებიც რუსებს თავიანთი ძმების — აჭარლების დახსნაში ეხმარებოდნენ. ამ ბრძოლაში ორდენები დაიმსახურეს მზეერავთა მეთაურმა, შემდგომ მწერალმა ვლადიმერ გილიაროვსკიმ, კაპიტანმა ნიკოლოზ მიუხამ და სხვებმა. აჭარის სანაპიროსთან საზღვაო ბრძოლებში კი თავი ისახეულა ზოლად „კონსტანტინის“ ეკიპაჟმა კაპიტან სტეფანე მაკაროვის სარდლობით. როგორც ცნობილია, მაშინ მათ აქ პირველად გამოიყენეს ახალგამოგონებული ტორპედოები და ჩაძირეს მტრის სათვალთვალო ზოლადი.

მართალია, სხვადასხვა მიზეზის გამო, იმჟამად ციხისძირის აღება ვერ მოხერხდა, მაგრამ ამ გაბედულმა შერკინებამ უდავოდ გარკვეული როლი შეასრულა აჭარის განთავისუფლებაში. მან გზა გაუხსნა რუს-ქართველთა მხედრიონს ბათუმისაკენ.

და აი, 1878 წლის 25 აგვისტოს განმათავისუფლებლები ბათუმში გამოვიდნენ. მათ ადგილობრივი მოსახლეობა ყველგან სიხარულით ხვდებოდა...

ქართველი ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. იმავე წლის

სოციალურ აჭარის წარგზავნილებს, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორ შერიფ ზიმშიაშვილის ხელმძღვანელობით, თბილისში საზეიმო მიღება მოუწყვეს და დარბაზობა გაუმართეს.

„ვის წართვებს კიდევ ქება და პატივი ამ ჩვენი შვერთებისათვის, ბატონებო?“ — იკითხეს მიღებაზე, პასუხი ასეთი იყო: „ეს ქება და პატივი დიან გვმართებს, რომ ეუძღვნათ ძლიერ რუსეთის ხალხს“.

განთავისუფლების შემდეგ დაიწყო ჩვენი მხარის საწარმოო ძალების ათვისება. 1883 წელს ბათუმში შემოვიდა რკინიგზის ხაზი, მომდევნო წელს ნაწილობრივ დამთავრდა ნავსადგურის მშენებლობა, აიგო სამრეწველო საწარმოები, გაიყვანეს ნავთსადენი ბაქო-ბათუმი, ბათუმი-ახალციხისა და სხვა გზები, გაიხსნა გიმნაზიები და საზოგადოებრივი მომსახურების დაწესებულებანი, ენთუზიასტებმა იწყეს ჩაისა და სხვა ძვირფასი კულტურების გაშენება, იმატა თამბაქოს წარმოებამ. გაჩნდა აგარაკები, დაიწყო ჭაობების დაშრობა, შეტევა მალარიის წინააღმდეგ, რაშიც დიდი რუსი ინჟინრების, ექიმებისა და სხვათა წვლილი.

ამ სიახლემ მიყრუებული ბათუმი უკვე ამ საუკუნის დასაწყისისათვის მრავალეროვან ევროპულ ქალაქად აქცია. რუსი რევოლუციონერების გიორგი ფრანჩესკის, ივანე ლუზინის, ალექსანდრე გერვასის, მიხეილ ფედოროვისა და სხვათა მიერ ანთებული ნაპერწკალი ბათუმელებმა ალად აქციეს და შეუპოვრად შეუტიეს მეფის სატრაპებს, კავშირი დაამყარეს სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებთან, ხელი მოუმართეს მათ ევროპიდან აკრძალული ლიტერატურის შემოტანასა და გავრცელებაში, თავი გაზოიჩინეს გაფიცვებისა და გრანდიოზული დემონსტრაციების მოწყობითაც, რასაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მაღალი შეფასება მისცა.

აჭარის მშრომელები ერთსულოვნად მიესალმნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს ჩვენს მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, მაგრამ ქართველი მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის შედეგად 1921 წლის 18 მარტამდე ეს არ მოხერხდა. აჭარა ოსმალების, ინგლისელების, დენიკინელების, მენშევიკებისა და სხვათა სათარეშო ასპარეზად იქცა.

და კვლავ დიდმა, ამჯერად საბჭოთა რუსეთმა იხსნა განსაცდელში მყოფი აჭარა. ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით წითელი არმიის ნაწილები ახალციხიდან და ქუთაისიდან შეიკრიბნენ აჭარაში აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად, რამაც განაპირობა საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი გამარჯვება.

იმ დღიდან დაიწყო ჩვენი მხარის არნახული აყვავება. უკვე პირველ ხუთწლეულებში აიგო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, დაიწყო ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ინტენსიური გაშენება, ყველა რაიონში გაიხსნა სკოლები, კულტუ-

რულ-საგანმანათლებლო და საქურნალო დაწესებულებები, გზები და ხი-
ლები, მომზადდა ადგილობრივი კადრები. ამ არნახულ გარდაქმნებს აღფ-
რთოვანებით მიესალმნენ აჭარის ძვირფასი სტუმრები — გიორგი დიმიტ-
როვი, ანრი ბარბიუსი, ალექსი ტოლსტოი და სხვები.

პარტიისა და ეთაერობის ზრუნვას, რუსი და სხვა ხალხების უანგარო
დახმარებას აჭარის მშრომელებმა მკლავმოუდლელი შრომით უპასუხეს,
სამამულო ომის მიერ მიყენებული ჭრილობებიც მოიშუშეს და რესპუბლი-
კა ქვეყნის მაღალგანვითარებულ რეგიონად აქციეს. აჭარა დაჯილდოებუ-
ლია ლენინის, ოქტომბრისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, მრავალ-
ჯერ დამსახურა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. თვალსაჩინო
წარმატებებია მოპოვებული მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯან-
მრთელობის დაცვისა და სხვა დარგებში.

ავტონომიური რესპუბლიკის მიღწევები კონუნისტური პარტიის ლენი-
ნური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია, საბჭოთა კავშირ-
ში შემავალი ყველა ერისა და ეროვნების თანადგომის, პარტიის დაუცხ-
რომელი ზრუნვის ნათელი დადასტურებაა.

„საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში, — თქვა აზნაზგმა
ე. შევარდნაძემ, — საბჭოთა აჭარის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება,
ერთი მხრივ, და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამომძეთა
საუკუნოვანი ჩამორჩენა და ასიმილაცია განა ისტორიული გადარჩენისა
და ისტორიული განწირულების მკაფიო ჩავალითები არ არის?! ორი ის-
ტორიული სვებედი, ორი სამყაროს ორი სოციალური და ეროვნული პორ-
ტრეტი! გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ განვლილი ორი უკა-
ნასკნელი საუკუნის ისტორიამ მკაფიოდ დაამტკიცა, რომ ქართველი ხალ-
ხი, ძველი და თავისთავადი კულტურის მქონე ხალხი, მსოფლიო ცივილი-
ზაციის მთავარ გზაზე დარჩებოდა მხოლოდ რუსეთთან ერთად, მხოლოდ
რუსეთის დახმარებით“.

სწორედ ამიტომ ზვდებოდნენ ასეთი გულითადობით აჭარის მშრო-
მელები ჩვენი კუთხის ძვირფას სტუმრებს — რუსეთის სფსრ ლიტერატუ-
რისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს და მათთან ერთად სამიერკვე-
ლი ჩაუყარეს აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების ძეგლს. მეტად
სიბოლურია ის ფაქტი, რომ ამ ძეგლის სამიერკველის ჩაყრა სწორედ გე-
ორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმის დღეებში მოხდა. აჭარის
დედასაქართველოსთან დაბრუნება ხომ ქართველი და რუსი ხალხების ერ-
თობლივი ბრძოლის შედეგია და ეს შეერთება შესაძლებელი გახდა მხო-
ლოდ განმათავისუფლებელი რუსი ჯარისკაცის მეშვეობით.



მიხეილ ღუდინი

წარწერა ნიკოლოზ გარათაშვილის
ლექსების თარგმანთა წიგნზე

აჰა, თენდება. ველებს და ქედებს
გადაჰყენია მოღურჯო ჩრდილი.
იმ საუკუნის ძმას უნდა შევხვდე
აწ საუკუნის ნათელი დილით.
გაეშინიანი თვალის ციალით
ასე მგონია, სულში ჩამცქერის.
ჩვენ ხვედრი გეკონდა მუდამ ზიარი.
ახლა გამქრალა დროის ნამქერიც.
არ შევუპუეთ გასაჭირს მრავალს.
ძმა ძმისთვისაო, ძმას ძმისა ესმის.
აწ და მარადის ერთი გზით წავალთ.
ამის თავდები არის ეს ლექსიც.
სისხლში ახალი დღე აბობოქრდა,
ქვაფენილს მძლავრი ნათელი ადგას.
მგოსანთა ძმობა და მეგობრობა
მეგობრობა და ძმობაა ხალხთა.

შანჯარიდან მოჩანს შეშორდგომა

ყანას ღრუბელმა გადაუარა,
მზე იმზირება ცივად.
რაც გვეყარება სიცოცხლის

ღარად,

ეს იყო თურმე წინათ,
იქნება თოვლიც და ვარდზე ნამიც,
ამწვანდებიან ხენი.
ჩვენ ველარ გავძლოთ ვერც ერთი.

წამი

თუ არ მომავლის რწმენით.

ზამწურში მთიდან დახედავ თუკი,
 ბარია ტურფა თვალდასანახი.
 ფერად-ფერადი ანთია შუქი,
 დაწინწკლულია, როგორც კალმაზი.
 ეზოებს ბინდი ჩამოსწოლია.
 მშვიდია ღამე და ფოთლებიც არა კრთებიან.
 და როგორც მეზვრეს — დაღლილ გოლიათს,
 შენ,
 საქართველო, საყვარელო, ჩაგძინებია.
 და ძილში სიზქრებს აედევნები —
 ზვრებში ბარაქის ტრიალებს ხვითო
 და მაცურავენ ყურძნის მტევნები,
 ცად ფერად ბუშტებს უშვებენ თითქოს.

ღამე კეთილი იდუმალებით
 ცისკენ იწევდა მჩატე ფრთებითა
 და სავსე მთვარე ფორთოხალივით
 მაღალი ჭადრის წვეროს ეკიდა.
 მე მაშინებდა იდუმალება,
 ზაგრამ ყოფილა თურმე კეთილი.
 შეუცნობლობა არ ღირს წვალებად,
 არც უნდა იყო გულდაწყვეტილი.
 გმადლობ, თბილისო, დიდი ხნის ძმარ,
 მადლობად შენი სუფრაც ზომ კმარა,
 მასთან მრავალი ხიბლისთვის გმადლობ,
 იმ ჯადოსათვის, რომელსაც ფარავ.
 იდუმალია ნანგრევები ბევრის მცნობელი,
 მემაწვნის შუბლი ნაოჭებით მიმოქსოვილი,
 მეფური მკლავი, თეთრ აივანს
 ჩამოყრდნობილი,
 დაბლა — ავტოთა ზურგი სოველი.
 ეს მოედანი, ქუჩები, პლატო
 შემოვიარე, ვით ნამთვრალევენა...
 ჩემო თბილისო, გთხოვ, არ გამანდო
 ყველა კეთილი იდუმალება.



ო, ისე მახსოვს, ვხედავდე თითქოს, —
 არც საჭიროა თვალის გახელა.
 როგორ მახარებს, გულს როგორ მითბობს
 მიწა, რომელსაც საქართველო ჰქვია სახელად.
 ქართული ენა სასწაულს მოჰგავს.
 იგი ვით თერგის ქუხილი ისმის.
 ვერ გამოვითქვამს, როგორ გამოთქვამ,
 თუკი მთიელის არ გიდულს სისხლი.
 შოთავ და ვაჟავ, ღვიძლად ჩამთვალეთ,
 მეც შთამომავლად ჩიგულვით, მენდეთ,
 სულს თუ ელისა თქვენი მარცვალი,
 არ შეიძლება არ აღმოცენდეს.
 ღუმს ჩემი ბაგე უწინამძღვრო,
 როგორ მსურს სიტყვა დამნებდეს ურჩი!
 ტყე შრიანებს თუ ჩხრიალებს წყარო,
 ქართული სიტყვა ჩაჩესმის ყურში.
 ერთი უბრალო სლავი ქალი ვარ,
 მსურს ჩავწვდე ენას, რომელიც მიყვარს.
 ამ მთა-გორებში, სადაც კი მივალ,
 ვისმენ მშვენიერ და ჯიუტ სიტყვას.
 ო, ეს ანბანი, უშბაზე მკაცრი,
 მთასვლელსაც ძნელად თუ ღიკარებს.
 ო, ღმერთო, ღმერთო, ნუთუ არ მაცლი
 და ვერ შევადებ იდუმალ კარებს.
 სიზმარში ვხედავ თოვლივით წმინდას
 და მასთან ერთად მე კრძალვით ვმღერა
 და ვიტკბობ ბაგეს, როგორაც ღინდა,
 ქართული სიტყვით, ქართული ბგერით.

თარგმნა

პიორგი სალუქვაძე.





მტირალაზე დაკიდებული ბრიალა მთვარე მთელ ცის კაბადონს ავსებს. მისი შუქი წყნარ ზღვაზე გაწოლილა.

სანაპიროზე იტალიის საკონსულოს შენობას ახლოს მოსდგომია ბერძნული გემი „აგიოს პეტროსი“.

სამარისებური მეუღროებაა. სიღურზე გახულ მეზღვაურს წყლის ტყელაშუნი შემოესმა. ჭოგრიტი მოიმარჯვა და მთვარის შუქზე გემისაკენ მომავალი ნავი შენიშნა. ექვსი მენავე ახლოს მოხულიყო, მათ ნიშნები დაუშვეს და ახლა ერთი მათგანი ხელებით რაღაცას ანიშნებდა. მეზღვაურმაც ასეთივე მოძრაობით უპასუხა. ნავი სიღურს მოადგა. კიჩოზე მდგომმა ჯარისკაცმა გემზე ასვლა ითხოვა. სამ თანხმობას მისცემდა, მეზღვაურმა კარი გააღო და გემში გაუწინარდა; ორიოდ წუთში კვლავ სიღურზე გამოვიდა და ჯარისკაცს გემზე ასვლის ნება ღართო.

— რუსეთის არმიის სასაზღვრო ნაწილის სახელით ნება მიბოძეთ დავათვალიერო გემი. — გამოუცხადა ჯარისკაცმა მეზღვაურს.

მატროსმა საბუთები გასინჯა და ჯარისკაცს გემში შეუძღვა.

ორიოდ წუთში ჯარისკაცი სიღურზე გამოჩნდა, მსხვილ ბაგირს მოველო და ნავში ჩაეშვა. მენავეებმა უმაღ ნიშნები მოუსვეს და სიბნელეში გაუწინარდნენ. როგორც კი შუქურას მიუახლოვდნენ, ნავი პატარა ყურეში შეაყურეს, აქ კიდევ ოთხი ასეთი ნავი იდგა.

— ჩვენები არიან? — იკითხა ემრულამ.

— არა, — უპასუხა ალიოშკინმა, — ჯერ არ ჩამოუყვანიათ.

— აბა იმდენი ხალხი ხად გადამაღეს?

— აქ სხვა გემი მდგარა — „ელბრუსია“. 1200 აჭარელი შეუყვრათ ძალით და ტრაპიზონისაკენ გაუმგზავრებიათ.

— გემი ცარიელია?

— სამასამდე აფხაზი გვყავსო მითხრეს.

— მერე?

— არაფერი, სუთას მუჰაჯირს დაამატებენ და ოსმალეთისაკენ გასწევენ.

— გემი როდის გადის? — იკითხა ემრულამ.

— განთიადზე ელოდებიან მუჰაჯირებს. ალბათ დილითვე ასწევენ ღუზას.

— ნიაზი გადმოვიდეს! — გასძახა ემრულამ.

კანლიში ნავიდან ნავში გადმოხტა და მეთაურს ეახლა.
— წაიყვანე ბაღუ, ახლომასლო მეთევზეებისგან რამდენიმე ბაღე ითხოვე
ნიაზი და ბაღუ ნავიდან ნაპირზე გადასტენენ.

* * *

კარგად გათენებული არ არის. „აგიოს პეტროსის“ ახლომასლო ნავეები შემო-
მდგარან. მეთევზეები ბაღეებს იხვრიან. ბარცხანის მხრიდან რაღაც ყაყანი გაისმა.
მებაღურებმა გაარჩიეს ხალხის ჯგუფი, რომელსაც ცხენოსნები გემისაკენ მიე-
რეკებოდნენ.

როგორც კი გემს მიუახლოვდნენ, მხედრები ცხენებიდან ჩამოვიდნენ, სიღურ-
თან აღვილი დაიკავეს და ვიწრო გასასვლელი დატოვეს.

სუთივე ნავი უხმოდ მოსვლიდა და გემის გასწვრივ ნაპირს მოადგა, ოცდა-
სუთი მენავე ნაპირზე ამოვიდა; მათ სიღურისაკენ გასასვლელი ჩაკეტეს.

ვერაფერს გაარჩევდით. სამხედრო ფორმიანი და უფორმო კაცები ხალხს გე-
მისაკენ მოერეკებოდნენ, მაგრამ სიღურზე მენავეები გადაედობენ და შეჯგუფდნენ.
ყაყანმა, მუქარამ, ლანძღვა-გინება და გოდება-ქვითინმა იმატა.

გასასვლელის გასათავისუფლებლად ძალას მიმართეს, აქა-იქ შიშველი ხანჯ-
ლებიც გამოჩნდა. მენავეებმა ხელები ერთმანეთს გადააჭდეს და ხალხს გადაე-

ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რა ხდებოდა. მდგომარეობა დაიძაბა.

აგერ ერთმა ჩოფურამ ხანჯალი აღმართა, მენავეთა ჯაჭვისაკენ გზა გაიკვლია
და მთელი ძალით სიბრტყით ერთ მენავეს თავში დაკრა. ჯაჭვი გაწყდა. მეთევ-
ზეები მოძალადეებისაკენ შემოებრუნდნენ და დამბაჩები იშიშვლეს. ემრულამ დამ-
ბაჩა ზევით ასწია და გაისროლა. წამით ყველაფერი მიწყნარდა.

— ხანჯლები ჩააგეთ და ხალხს გაეცალეთ, თორემ სისხლი დაიღვრება! —
დაიძაბა მან.

ხანჯლიანები წინ წამოიწინენ, ჩოფურამ კვლავ აღმართა მახვილი და ახლო-
მდგომ მენავეს ალესილი პირით მოუქნია, მაგრამ კვლავ გავარდა დამბაჩა და ჩო-
ფურას ხელი მოტეხილივით ძირს ჩამოუვარდა.

სცებ ცხენების ფეხის ხმა და ჭისვინი გაისმა. ორმოცამდე მხედარმა ბე-
ლაურები პირდაპირ გემთან მოაგდეს.

— ნურიბეგი! — გაისმა ხალხში.

იგი ცხენიდან სწრაფად გადმოხტა, სხვა მილიციელებთან ერთად გემისაკენ
გამოემართა და სიღურთან შედგა.

რამდენიმე ათეული ბრაზიანი თვალი მას გაუსწორდა.

— მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით წინადადებას გაძლევთ,
იარაღი შეინახოთ და ხალხთან თავისუფალი საუბრის საშუალება მოგვცეთ! —
მიმართა მან ყველას.

ხანჯლები და დამბაჩები წამში გაქრა. ახლა ნური სიმშვიდით ხალხს მი-
უბრუნდა.

— ვინც თავისი სურვილით მიდის მუჰაჯირად, ახლოს მოვიდეს. — მიმართა
მან ხალხს.

ორიოდე ბერიკაცი, ძველმანებით შემოსილი, მოფარფატა უფროსთან. ცალი
ხელი ასევე ჩამონძილ ბავშვებზე ჩაეჭიდათ.

— სხვებს ვინ გაძალბებთ სამშობლოს მიტოვებას?

ხალხი დუმდა.

— გეითხარით, ვინ გირჩიათ ოსმალეთში წასვლა? — კვლავ იკითხა ხიმშიაშვილმა.

ერთი შუახნის კაცო წამოდგა წინ.

— აი ამათ გვირჩიეს. — ხელი გაიშვირა იმათკენ, ვინც გემისაკენ ექაჩებოდა ხალხს, — ისე ქობულეთში აღარ იცხოვრებდა, ნურიბეგ, რაც ომსა და ტყვეობის გადაურჩა, ის ყურადმა გაგვინადგურა, ახლა სხვა რჯულის ხალხიც მოვიდა და აქ რაღა გვინდა.

ნურიბეგმა აღარ აცალა.

— გვალვა და ყურადი ყოველთვის იყო, მარა ხალხს თავისი მიწა-წყალი, მშობელი დედის და ადრე დაღუპული შვილის საფლავი არასოდეს მიუტოვებია. გირჩევთ ყველას, სახლებში დაბრუნდეთ. სხვა რჯულის ხალხს თქვენთან არაფერი უსაქმება. ყველამ თავის რწმენას მიხედოს.

ბავშვებიან ბერიკაცებს სამი ჩადროსანი ქალი შეუერთდა. ისინი მუხლებზე დაწოილი ხიმშიაშვილს ეხვეწებოდნენ.

— ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, ბეგო. — თქვა ერთმა, — სისხლი გვაქვს ვალად მეზობლისა. შვილი ტყვეში გავარდა და მთელ ოჯახს ამოხოცვით გვემუქრებთან. ნუ დაგვიღუპავთ ამ ბაღნებს.

ნურიბეგმა არაფერი უპასუხა. რაზმელებს რაღაც ანიშნა. ისინი გაიწ-გამოიწივნენ და ვიწრო გასასვლელით მოხუცები თავიანთი მხლებლებით გემში შეუშვეს.

სხვებმაც დააპირეს ასეთი გზით გემში შედწევა, მაგრამ ემრულას რაზმელებმა და მაჭახლელებმა გზა აღარ მისცეს.

ემრულა ნურიბეგთან მივიდა და რაღაც თხოვა. იმან თავი დაუქნია.

— ხალხო! ბევრი ოსმალეთში აპირებდა წასვლას, მარა ჭკვიან კაცებს დაუჯერეს და სახლებში გაბრუნდნენ. ვინც წავიდა, ბევრი უკან მოდის და თქვენ ასე აღვიღად რაფერ ტოვებთ სახლ-კარს?

— გზა მოგვეცით გემისაკენ! — აყვირდა ერთი ჯგუფი.

— გვაჩვენეთ, ვინ დაბრუნდა! — მოითხოვდნენ მეორენი.

— ჩვენ თავს ჩვენ მოუვლით! — ყვიროდნენ მესამენი.

ამ დროს გემის ხიდურთან მაღალი, ტანხმელი და ფერმკრთალი კაცი გამოჩნდა.

— ორი სიტყვა მათქმევინეთ! — მიმართა ნურიბეგს.

— სმენა იყოს ხალხო! — დაიძახა ვიღაცამ. ყველა გაინახა.

— მე კოდორისპირა სოფელ უარჩაიდან ვარ, ურუს გულია. ორი წლის წინ ოსმალ-აქკერებმა სახლი დამიწვეს, სხვა გლეხებთან ერთად სამხედრო გემ „მახ-შუღიაში“ შემაგდეს და ტრაპიზონში ჩამიყვანეს. ორი შვილი დამეხოცა და ისინი უცხოეთში დაემარხე — ხმა გაუტყდა გულისა, მაგრამ გააგრძელა: — ერთმა სომეხმა ფელუკით ამ გემზე მომიყვანა ჩემი ოჯახით, მაგრამ ახლა არ მიშვებენ ჩემს სამშობლოში. სანამ პირში სული მიღვას, ვეცდები დავბრუნდე ჩემს სოფელში, — ურუს გულის ხმა კვლავ გაეზარა, მერე სული მოითქვა და ხალხს გადახედა, — ნათქვამია, წინა კაცი უკანას ხილიაო. საკმარისია ამდენი სისხლი და ცრემლი, ამდენ მსხვერპლს კიდევ რაღას უმატებთ. ამ გემში, რომლითაც თქვენ ბედნიერ ცხოვრებას ეძებთ, ახლაც სამასი განაწამები აფხაზია, უკან დაბრუნებული მუჰაჯირი. ბევრმა სულიც ვერ ჩამოიტანა უკან, ათი მკვდარი შუა ზღვაში გადაყვარეთ და ოთხის ცხედარი ახლაც გემშია დასვენებული. ვისაც არ გჯერათ, შედით და ნახეთ. მერე თუ ისურვებთ, სადაც გნებავთ იქ წადით.

ხალსი გაქვავდა. ხმა აღარავის დაცდენია. უკანა რიგებიდან ნელ-ნელა გვერდულად დგან, მწინავეები კი მობრუნდნენ და უკან გზას გაუყვნენ.

გემთან ნური სიმშიაშვილი, რამდენიმე მილიციელით, ემრულას რაზმი და ოცდაათამდე მაჭახლელი ღარჩა.

— ამ აფხაზებს რა ვუყოთ? — ჰკითხა ემრულამ სიმშიაშვილს.

— ისინი რუსეთის მთავრობის ნებართვას ელიან, რომ დაბრუნდნენ თავიანთ სახლკარში. უნდა დავანქაროთ ნებართვის მიღება — თქვა ნურიბეგმა.

— ნებართვა აკერაა. — უთხრა ემრულამ მაიორს და ხანჯალზე დაიდო ხელი. — ნურიბეგ, თქვენ ხელმწიფის კაცი ხართ და უხერხულია, გაცადეთ აქაურობას და ამ აფხაზებს ჩვენ მოუვლით.

სიმშიაშვილს სახეზე ღიმილმა გადაკრა. არაფერი უთქვამს, ისე გამოაბრუნა ცხენი და თავისი მილიციელებიანად აზიზიეს მოედნისაკენ გააქცნა.

ემრულას რაზმმა მაჭახლელებთან ერთად ადვილად დასძლია „ავიოს პეტროსის“ მცირე დაცვის წინააღმდეგობა და სამასივე აფხაზი გემიდან გადმოსხა. ცხედრები სახელდახელო საკაცეებზე დაასვენეს და გასწიეს ბათუმის ახლომახლო სოფლებიდან, სადაც ამ გაწამებულ ხალხს უნდა დაედოთ ახალი ბინა.

* * *

ღიობანში, ქიზარაღა ყირსარდარის სახლში, ბუხარი გისგიზებს. სექვის თავში წნიერი ქალი ზის, სექვზე პერანგისამარა ვაჟკაცი წევს, თავი დედის კალთაში უდევს.

ქალმა სხეულზე გადაუსვა ხელი.

— რამდენი წელია არ მინახავსარ, შვილო. რამოდენა გაზრდილხარ; წვერ-საც იპარსავ? — ახლა სახეზეც მოუფერა დედა.

— როცა არის დრო, ვიპარსავ. ხანდახან წვერმოშვებულები დავდივარ. — ბიჭი მხარზე გადაბრუნდა და დედას გაუღიმა. — შვიდი წელი გასულა, არ მინახავსარ, ალბათ, ახლაც ვერ გნახავდი.

— ქიზარაღა რომ არ გადაყოლოდა მუჰაჯირებს, ხომ?

— ჰო...

ქალი ჩაფიქრდა.

— ცოლი არ მოგყავს? — მოულოდნელად შეეკითხა.

— რა ვიცი. — დაირცხვინა ბიჭმა.

— ეს მაინც მაღირსე, შვილო, და ისე უმოკალი... არავინ გყავს?

— რა ვიცი, ერთი გოგოა... მარა ოხერი პატრონი ჰყავს.

— ვინაა?

— რათ ვინდა. თავისით არ მოგცემს, ძალით თუ წაგართმევთ.

— მე რე შენ ეს გაგიჭირდა? — დედას ეღიმიება.

— სხვას ათ ქალს მოვევრი, ჩემთვის გამიჭირდა.

— ვინ არის? — კვლავ ჩაფიქა დედა.

— კარგი, ნენი, სხვა დროს. — ემრულამ ცალი ხელი წელზე მოხვია.

უცებ ბიჭს თვალები გაუფართოვდა. სმენად იქცა.

— ქორწილი აქვს ვინმეს? — ჰკითხა დედას.

— არა, არ ვიცი. — უპასუხა ქალმა.

— აბა საიდან მოდის ვორირას ხმა?

ქალმაც დაძაბა სმენა.

ახლა ორივეს შორიდან ესმით მაყრული, რომელიც თანდათან ახლოვდება.

...ქალი მოგვყავს ნათელი,
მოგვინათე სანთელი.

- ალბათ სხვა სოფელში მიჰყავთ — თქვა ქალმა.
- ემრულა წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა.
- ჩვენსკენ მოდის მამხალეები.

...ქალი მოგვყავს ლამაზი
მოგვიმზადეთ დარბაზი.

მომადურეს მალაყმაძეთა ეზოში.

...დედამთილო, გარეთ გამოი,
მოგიყვანეთ შენი რძალი,
გლაზა თვალით თუ შეხედე,
ტურამ გაზრას შენი ძვალი.

- ხატიჯე ხანუმ, კარი გაგვიღე! — გაისმა ვილაცის მხიარული ხმა.
- კარი ემრულამ გააღო.
- ხაზლში სახეგანათებული სულო მეხეშიძე შემოვიარდა. ემრულას გვერდი აუარა და დედამისს მიეჭრა. გადაეხვია.
- რძალი მოგგვარეთ, ხატიჯე ხანუმ! — უთხრა.
- ღმერთო! — თქვა გაკვირვებულმა ქალმა, სულოს მხრებზე დაადო ხელები და თვალებში შეაცქერდა — ვინაა?
- ოლთისელი ხანუმის მსახური გოგო, ელვანაი.
- ემრულა შეტოკდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს ბექსია სოლო-მონიძე დაუდგა წინ, შავი ბოზოხი მოიხადა და ემრულას დაასურა.
- ჩემი ქუდის მეტი არაფერი მოგერგება, ემრულავ, ჩაიცვი ტანზე, ქორწი-ლი უნდა გადავიხადოთ, ნამდვილი ქორწილი.
- ემრულამ რაღაცის თქმა დააპირა.
- ამალამ რაზმის უფროსი მე ვარ, — არ აცალა სოლომონიძემ, — ქორ-წილი მომათავებინე და მევე ისევ შენ იყავი მეთაური.
- მაყრიონის მოსვლა მეზობლებმაც გაიგეს, ჯერ ორთხილად მიაყურადეს, არა-ფერს გვატყუებდნენო (შავშეთში იციან ასეთი გასუმრება), მერე, როცა დარწმუნ-დნენ, ხუმრობა არ იყო, ნელ-ნელა ეზოში მოიყარეს თავი.
- აგერ ვილაცამ ჭიბონი აამღერა, იქეთ დოლის ხმა გაისმა. წრე შეიკრა და ზორუში გაჩაღდა.

დედოფალი ცხენზე ზის, ჩისტოკოპზე წითელი თავსაფარი აქვს ჩამოფარებუ-ლი. სახე არ უჩანს. ცხენის აღვირი ეწვერს უჭირავს ნელში.

მეზობლის ქალებიც მოსულან, მაგრამ ისინი ღობის გაღადმიდან იჭვრიტები-ან. ერთმა იყოჩადა, ცხენისაკენ გზა გაიკვლია და დედოფლის გვერდით დადგა.

- დადე იქნები? — კითხა ენვერმა.

- რატომაც არა. — სხარტად მიუვო გოგომ, — ემრულა ჩემი ბიძაშვილია, და არ ჰყავს. მისი და მე ვარ.

- მომეცი ხელი, — უთხრა ენვერმა, თავის ცხენთან მიიყვანა, გოგოს უზანგი გაუსწორა, უნაგირზე შესვა და დედოფალს გვერდით ამოუყენა.

ამასობაში ხატიჯე ხანუმიც გამოვიდა. სულომ იგი დედოფლიან ცხენთან მი-იყვანა. ქალმა დახეულობისაგან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ისღა მოახერ-ხა, დედოფლის ჩაღრქევს მისი ხელი მონახა და ლოყაზე მიიხუტა. დედოფალს

შხვა ქალებიც შემოესივნენ, რაღაც იზურჩულეს, მერე რამდენიმე მათგანი სახლში შევიდა და სადღეოფლო ოთახის მიღავ-მოლაგებას შეუდგა.

ემრულაც გამოიყვანეს ბიჭებმა. ბოზოზის ქუდიც საკმარისი აღმოჩნდა, ნეფის იერი მიედო, ოდნავ დამორცხვებული ჩანდა. დედოფალთან შორიახლო გაჩერდა. ელოდა, რა განკარგულებას გასცემდნენ ქალები.

ცერემონიალი ჩვეულებრივზე ხანმოკლე იყო. ქალებმა დედოფალი ცხენიდან ჩამოსვებს და სადღეოფლო ოთახში შეიყვანეს. ემრულას ამხანაგები სამოსაფერო-ში შეუძღვნენ.

მათელი ეზო მამსალეებით გაჩანჩახდა. მეზობლები აფუსფუსდნენ. აგერ უშობელი აბღავლდა, იქეთ ქათმები აკრიახდნენ. ნალიის ქვეშ კოცონი აგუზგუზდა. დოლისა და ჭიბონის სმას ჩონგურის ტბილი ჰანგიც შეუერთდა.

* * *

იმამე ღამეს ბათუმის პოლიცემისტერის, პოლკოვნიკ ბერსის, კაბინეტში აღიუტანტი შევიდა.

— თქვენო აღმატებულება, დავალების თანახმად, გამოცხადდა კონსტანტინე ერისთავი.

— შემოვიდეს! — ბრძანა პოლკოვნიკმა.

კარვში კოწია გამოჩნდა, მან ზღურბლიდან ორი ნაბიჯი გადმოდგა და გაიჭიმა.

— მუსულმან ქართველთა ასეულის მეთაური, პორუჩიკი ერისთავი — შოახ-სენა ახალგაზრდა ოფიცერმა.

— დაბრძანდით, პორუჩიკო. — პოლიცემისტერმა ხელით ანიშნა საფარძელზე. აუცილონ წამოდგა, მაგიდას მოშორდა და ერისთავის გვერდით ჩამოჯდა.

აღიუტანტი კაბინეტიდან გავიდა.

— თურქები ყვავთ ასეულში? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა პოლკოვნიკი.

— არა, თქვენო აღმატებულება. ყველა ქართველია, მუსულმანი ქართველი.

— ხანდონი არიან?

— ჩემს თავზე მეტად ვენდობი.

— როგორ მოიპოვეს ასეთი ნდობა?

— ყველაზე კრიტიკულ მომენტში იხინი სელმწიფის ერთგულნი და რუსეთის პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ.

— ემრულა მალაკვაძეს თუ იცნობთ? — მოულოდნელად შეეკითხა პოლიცემისტერი.

კოწიას სახეზე აღერმა დაჰკრა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— დიას, თქვენო აღმატებულება.

— მის საქმეებს?

— ვიცი, მხოლოდ, რომ რუსეთის არმიას დიდი სამსახური გაუწია ბოლო ომის დროს.

— სამსახური სამსახურად, მაგრამ რასბოინიკი კვლავ ყაჩაღად დარჩა; თავისი ზანდით კვლავ ავიწროებს სალხს.

— არ მესმის, თქვენო აღმატებულება, რაზეა საუბარი.

ბერსი წამოდგა, გაიარ-გამოიარა და პორუჩიკს მიუბრუნდა:

— რუსეთის აღმინისტრაციას საჩივრით მიმართა თურქეთის ქვეშევრდომმა, ოლთისელი ფაშის ქვრივმა აიშე ხანუმმა იმის გამო, რომ მისი სასლიდან ემრულას ზანდამ გაიტაცა ასიათასი მანეთის ძვირფასეულობა და მსახური ვოვო. ქუ-

თაიხის გუბერნატორმა მე დამავალა ყაჩაღის სელში ჩაგდება. სანაპირო რაზმების მეთაურებმა, მირჩიხს, მის შესაპყრობად ძალას ნუ ვიხმართ, რადგანაც მთავრობის დნელია დიდი მსხვერპლით. ამიტომ გადაწყვეტეთ აბრავის შემორიგება, ან მოტყუებით სელში ჩაგდება.

კოწია შეშფოთდა. სახეზე პირდაპირ არ უცქერდა მოხაუბრეს, მაგრამ გრძნობდა, როგორი დაჟინებით აკვირდებოდა მას პოლკოვნიკი.

— ჩემთვის ცნობილი უახდა, რომ რუსეთის არმიის ოფიცერთაგან ყველაზე ახლოს ემრულას თქვენ იცნობთ, პორუჩიკო. ამიტომ მიზანშეწონილად ვთვლით სწორედ თქვენ იკისროთ ყაჩაღთან შუამავლობა.

— ეს ყოვლად შეუძლებელია, ბატონო პოლკოვნიკო.

— რატომ? — აუდელებლად ჰკითხა ბერსმა.

— იმიტომ, რომ, თუ დანაშაული მან მართლა ჩაიდინა, შემორიგებით ემრულა სასჯელს ვერ ასცდება. ეს კი ახლად შემოერთებულ ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლეობის დიდ უმთავოფილებას გამოიწვევს.

— ამაზე სხვები იფიქრებენ, სიტყვა მოუჭრა პოლიცმეისტერმა, — ეს არგუმენტი არ გამოდგება ამ საქმიდან თქვენს გასათავისუფლებლად.

— გამოდის, რომ სელი უნდა ავიღო სამსახურზე? — იკითხა ერისთავმა.

— რატომ?

— მე მოგასხენებთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ჩემს ასეულში ყველა ადგილობრივი მკვიდრია — ქართველი მუსულმანები. ისინი ისეთივე ქართველები და სელმწიფის ერთგულნი არიან, როგორც მე და სხვა ოფიცრები. განსხვავება ჩემსა და მათ შორის მხოლოდ ძალად თავზე მოწვეული სარწმუნოებაა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი პირადი დამოკიდებულება მასთან, აგრეთვე ისიც, რომ ემრულას ხალხი დიდი სიმპათიით ეპყრობა.

პოლკოვნიკი ნერვიულად ზოლთან სცემდა კაპინეტში.

— თუ ჩვენი წინადადება არ მიიღეთ, თქვენ გემუქრებათ თანამდებობიდან გადაყენება... პორუჩიკო, საუბარს აღარ გავაგრძელებთ. მიპასუხეთ, რომელი გსურთ. დიალოგი მართლაც ხანმოკლე იყო.

კოწია წამოდგა. მაგიდასთან მივიდა. უცერად ორივე სამხრე აიგლიჯა და მაგიდაზე დააწყო.

ბერსი ამას არ მოელოდა.

— აი, ეს არის ჩემი პასუხი, ბატონო პოლკოვნიკო! — უპასუხა და სანამ გაოცებული პოლიცმეისტერი რაიმეს ეტყოდა, ჩქარი ნაბიჯით კაბინეტიდან გავიდა.

* * *

დედოფლის ოთახში ერთ რიგად სექვზე ქალები ჩამწყრივებულიან. დედოფალი ფეხზე დგას, ორივე სელში ათასგვარად დაქარვული სელმანდილი უჭირავს და ზან ერთს, ზან მეორეს სახეზე აიფარებს სოლმე. გვერდით მსლებელი ყავს — ემრულას ბიძაშვილი.

შენიგურებმა კაცების ოთახში მოათავეს მოლხენა და ახლა ქალებთან ვადმოხულან. აქ არის ემრულაც, კუთხეში განმარტოებით ზის. ამდერდა ჩონგური და გაჩაღდა გაშირებაც. ერთი მოშიარე ძალზე ტანხმელი და მაღალია, მეორე ტანდაბალი, ჯირკვა-ბიჭი.

ქალები გულიანად იცინიან. ემრულასაც ეღიმება. თვალი ელვანასაკენ გააპარა, თურმე ისიც ემრულას უცქერის, მხოლოდ წამით, შემდეგ ორივე სელმანდილი აიფარა სახეზე.

დაბალი: ორ ცხენს უუვლიდი, ვაჭმედი,
თეთრი გარს მება, შავი — შინ.
შენ თუ მშიშარა არა ხარ,
მოდი, გამიდექე შაირში.

ზღაღი: დამთრალხარ, ფრთხილად იარე,
ვზებში ცოტა ტალახია.
შენისთანა მოშაირე
ბევრიც მომიბალახია.

დაბალი: თქვენში ტალახებს რა დაღევს,
სხვას რას იკითხავ არ იყოს,
შენ თუ შაირში მაჯობე,
მოვდეს და შეაუმა წამიღოს.

ზღაღი: დელე-დელე შევიარე,
დელე იყო ისლიანი.
ქალებს შეხედვით დაფრთხობ,
თვალითი ხარ ნისლიანი.

დაბალი: რამე იმფერი მითხარი,
მართლა რომ დეიჯერება.
ცხენიერთა გაქვს ლავები,
მთორახით გინდა ჭენება.

ზღაღი: ცხენს ვგავდე კაცი ჩემსელა,
მაგი რა გასაკვირია.
შენ კი მაგ ჯოჯო თაუფებით
ხარ გასახელნი ვირია.

ქალებმა სიცილით მოითხეს გული. ნეფის მსლებელი მესობლის გოგო მოუ-
ლოდნელად წამოდგა.

— წასვლის დროა! — განაცხადა მან და ოთახიდან გავიდა. მას დედოფლის
მსლებელიც გაჰყვა. ქალებიც დაიძრნენ რიგ-რიგად. როცა ყველა ქალი გაიკრიფა,
დედოფალმაც გაიწია კარებისაკენ, მაგრამ ემრულა გადაედობა. კარები ჩაკეტა,
პატარძალს სელი ფრთხილად მაჯაში მოჰკიდა და ხეკვზე დასვა. გოგოს სახეზე
უსიამოვნო იერი გადაჰქრა.

— რა იყო? — იკითხა ემრულამ.

— მტკიავ სელი. — ჩუმად თქვა დედოფალმა.

— გატკინეს? რატომ დროზე არ დანებდი?

— რა ვიცოდი.

— როცა გაიგე?

— მაშინ გავჩუმდი. — ელიმება დედოფალსაც და კვლავ მანდილს იფარებს.
ემრულამ თითებიდან მანდილი წამოაძრო და ელვანას სელი მკერდზე მიიკრა.

საქორწილო ვახშამი და ღვინო დილაშდევ გაგრძელდა. სასტუმრო ოთახში
რამდენიმე მრგვალი სუფრათა გაშლილი, ღვინოს მაგივრად საჭმელს შერბუთს თუ
დააყოლებენ. ზოგი ახირებული სტუმარი „სუფრას იკავებს“, ისეთ რამეს თხოუ-
ლობს, რაც ძნელი საშოვარია.

აგერ მოხამსასურე ბიჭი ერთ ასეთ სტუმარს ეხვეწება, რაც გინდა მთხოვე
და ღვინოს და არავს ვერ მოგიტანო. სტუმარი ერთხანს ჭირვეულობს, მაგრამ მე-
რე დადონდება და ძალზე დაბალი სმით იწყებს ღვინოს:

...ჩაღმა ჩაყრილო ვენახო
სად წადი და რომელ მხარეს...

ლილინს სხეუბიც აეყვებინ და ახლა იგი ზამაღალ სიმღერად გადაიქცევა.

...ჩემო გაზრდილო ვენახო,
სად წადი და სად მოვინახო.

განთიადიხას მექორწილენი აიშალნენ. მეზობლები სახლებში წავიდ-წამოვი-დნენ. ემრულას რანჭელები ეზო-კარში მიმოიფანტნენ. ზოგს ნალიასთან წამინებოდა, ზოგს ბედელში, ვინც მოახერხა, სამოსაფერო ოთახში ტანტუნე მიუღვია თაუი.

ღობესთან ორი ცხენოსანი შეჩერდა. რეჯებს შაშკაშვილი და კუშმა ალიოშ-კინი იყვნენ. რეჯებმა ჭიშკარი გამოადო და პირდაპირ საბძელთან მითვლემილ სოლომონიძესთან შევიდა, ბექსიამ შეისვე გაახილა თვალი და სმენად იქცა.

— სასწრაფო საქმეზე მოვედიო, — თქვა რეჯებმა, — კოწია ერისთავმა გამოგვწავნა.

— რა მოხდა, მშვიდობა? —

— ოლთისელ აიშე ხანუმს საჩივარი შეუტანია ორივე მთავრობაში. ემრულას ადანაშაულებს სახლზე თავდასხმაში, ასიათასი მანეთი ფულისა და მსახური გოგოს ვატაცებაში. პათუმის პოლიცმეისტერი უკვე ეძებს ემრულას, ახლა, ალბათ, თურქებზე შეძრავენ ქეეყანას მის შესაძფრობად.

— გოგო აქ არის, მარა ეს ფული ვინ წაიღო? — თავისთავს ეკითხება ბექსია. — შევიდეთ სახლში. — უთხრა მან შაშკაშვილს. შემდეგ ბიჭები გააღვიძა, ემრულას გარდა ყველანი სასტუმრო ოთახში მოგროვდნენ.

— ყველა ეჭვობს, რომ ფულიც თქვენ ვატაცეთ. — ამბობს კუშმა ალიოშკინი. — ახლა, როცა გოგოს ამზავს გაიგებენ, კიდევ უფრო ღარწმუნდებიან.

„მეც ჩვენს სალხზე მუპარება ეჭვი“ — ფიქრობს სოლომონიძე, მაგრამ სმამალა თქმას ვერ ბედავს, ბიჭებს გული არ ვატყნიო. დრო არ ითმენს, დღესვე უნდა გაირკვეს ყველაფერი.

— ვინ მოცათ ბოლოს ფული? — იკითხა სოლომონიძემ.

— ენვერ მასჭადემ. — ღაძიასა ვიღაცამ.

— ყველას? — იკითხა ბექსიამ.

— ყველას. — იყო პასუხი.

ირგვლივ მიმოიხედეს, მაგრამ მასჭადემ არ იყო ოთახში.

— სად არის ენვერი? — ბექსიას ეჭვი გაუძლიერდა.

— ღამის გასათევად დედასთან წავიდა.

— საიდან იშოვა ფული?

ყველა დუმს.

სოლომონიძეც ჩაფიქრდა. მერე თუმნიანი ამბიოდ და მაგიდაზე დადო. თითო-თითოდ მოვიდნენ მაგიდასთან რანჭელები და მიღებული ფული უკან დააბრუნეს.

ენვერს მკაცრი განაჩენი მოელოდა.

* * *

ბერხი შეცდა. ამას თვითონაც ვერძნობდა. მისვდა, რომ წინ-მედლებზე უარის მთქმელი ქართველი თავადი კონსტანტინე ერისთავი ყველანაირად ეცდებოდა აბრაკი დაპატიმრებისა და სასჯელისაგან გადარჩენისა. ვერაგულმა ზერხმა რაკი არ

გასჭრა, ახლა ძალა იყო საჭირო. გენერალ-გუბერნატორ კომაროვთან შეთანხმებით, რამდენიმე მფრინავი რაზმი შეიქმნა, რომელშიც არც ერთი ქართველი არ არა. რაზმებს საგანგებო დავალება მიეცათ ემრულას შესაპერობად.

თითქმის ასევე მოიქცა თურქეთის ხელისუფლებაც. ჯერ ქიბარაღის გამოყენება სცადეს, მაგრამ მუჰაჯირმა რუსეთის ახალ ტერიტორიაზე დაბრუნება და ყაჩაღების დევნა აღარ ისურვა. იქნებ მის უნდო გულში მამობრივმა ნაპერწკალმა იელა. ვინ იცის...

აბრაგთა რაზმი ჩისში მოექცა, ემრულას თავზე ცა იქუფრებოდა.

მელაგის ძალას ჭკუა-გონებაც შეუერთდა და რაზმი ისე გაუჩინარდა, მისი გზა-კვალი ვერაფერს მიაგნო.

რუსეთის ადმინისტრაციას უცნობმა ამბავი მიუტანა, ემრულას ბრბო ზემო ხერეთვისთან გაივლისო. ორი მფრინავი რაზმი ჩასაფრდა ხერეთვისის გაღმა-გამოღმა. დათქმულ დროს, შუაღამიას მართლაც ორმოცამდე ცხენოსანი უახლოვდებოდა სოფელს. ორივე რაზმმა ბრძანება მიიღო და როგორც კი ცხენოსნები მოხერხებულ ადგილს მიუახლოვდნენ, საშინელი სროლა ატყდა. მოულოდნელი თავდასხმის შედეგად ცხენოსნებმა ბევრი თანმხლები დაკარგეს, მაგრამ როცა გონს მოეგნენ, აღიღო გაიმაგრეს და საპასუხო ზაღბი დასცეს. მსხვერპლი მფრინავ რაზმებშიც იყო. დილადად სროლა არ შეწყვეტილა. ცხენოსანთაგან ყველა ამოხოცეს. მოპირდაპირე მხარეს კი რამდენიმე კაცი გადარჩა. როცა ისინი ბრძოლის ველზე გავიდნენ, საშინელი სურათი დახვდათ. დახოცილთაგან ყველა ოსმალო ოფიცერი და ყაჩაღი იყო, ემრულას რაზმიდან არც ერთი კაცი არ ჩანდა.

ამ საბედისწერო შეცდომის მიზეზი მაშინ ვერაფერს გაიგო. მოვლენებით გახდა ცნობილი, რომ რუსეთის ადმინისტრაციის მსგავსად, თურქეთსაც მიუვიდა ცნობა ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას აბრაგთა ჯგუფი გაივლისო. მფრინავმა რაზმებმა ოსმალთა დამსჯელი რაზმი ემრულას ბიჭვხად მიიჩნიეს და ამ შეცდომას მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ტრუ ცნობის მიმწოდებელი ენვერ მახატაძე იყო. რაზმში დაბრუნებულმა სახამა გამოკითხვას დაუწყებდნენ, თვითონვე მოუყვა ბექსია სოლომონიძეს:

— მამაჩემს სიცოცხლეში კაპიკ-კაპიკ უგროვებია ფული და ანდერძი დაუტოვებია: თანხის ნაწილი, ვინც დამასაფლავებს, იმას მიეცით, ნაწილი უფროსმა შვილმა, ვისაც სურს, იმას დაურიგოსო... ეს იყო და ეს.

ბექსიას სახე გაუნათდა. დიდი ტორი ფრთხილად შემოკრა მახატაძეს სახეზე.

— მერე, დროზე ვერ გვითხარი?

— მომერიდა, მეგონა, არ გამომართმევდით, — უთხრა ენვერმა.

ემრულას შეპერობისა და მისი რაზმის მოსპობის იმედი ერთხანს ორივე მხარეში დაკარგა.

ისევე მოლაპარაკება არჩიეს. ამჯერად ნური სიმშიაშვილის გამოყენება სცადეს კომაროვმაც და მუხტარ ფაშაძე. რუსეთის ადმინისტრაციისაგან განაწყენებული ნურიბეგი ამ დროისათვის შავშეთში, თავის მამულში იყო. ორივე მხარის თხოვნაზე უარი არ გაუვიდა, დათანხმდა, ჩარეულიყო ემრულა ძალაყმაძის შემორიგებაში.

ჭკვიანმა ბეგმა რუსეთისა და ოსმალეთის მოხელეებთან ემრულას შესვენდრის ორიგინალური სერისი მოიგონა.

დანიშნულ დროს კასაბრის ველზე ბათუმიდან ართვინის ვანტკეცილის გამოვლით წამოვიდა რუსეთის არმიის ოფიცერი. იმავე დროს კაპანდიში მდგომ თურქეთის წარმომადგენლებს ერთი ოფიცერი გამოეყო და ისიც კასაბრისაკენ გამოემართა. ემრულა და მისი ერთადერთი მსლემელი მახვილაურის ბორცვიდან ხე-

ლისგულივით ხედავდნენ შეხვედრის ადგილს. როგორც კი სახელმწიფოთა წარმომადგენლები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მაღაყმაძე თავისი მსლეველით დაეშვა და შეხვედრის ადგილისაკენ გაემართა. სამი გზის შესაყართან შეხვედნენ ორი ქვეყნის ოფიცრები და ემრულა მაღაყმაძე თავისი პირტიტველა მსლეველით.

— რუსეთის იმპერატორის სახელით პოდპოლკოვნიკი ბოლოტნიკოვი. მაქვს პატივი მონაწილეობა მივიღო მოლაპარაკებაში.

— ოსმალეთის ჟანდარმერიის ოფიცერი ერვინ ჩელები. დავალებული მაქვს რუსეთის წარმომადგენელთან ერთად მოვილაპარაკო ემრულა ქიბაროღლისთან.

— რას მოითხოვთ ჩემგან? — ემრულას ცხენი ფლოტკეებით მიწას თხრიდა. პატრონი მას ძლივს აკავებდა. მეორე მხედარი ოდნავ მოშორებით იდგა.

— თქვენ, — დაიწყო ბოლოტნიკოვმა, — ბრალად გედებათ თურქეთის ქვეშევრდომი ქალის აიშესანუმ ბუღაროღლუს გაძარცვა და მისი მსახური გოგოს გატაცება.

— ამაზე მე პასუხს გავცემ თურქეთის ხელისუფალს, — მიუგო ემრულამ.

— არა, პასუხს მოითხოვს ჩემი მთავრობა, რადგანაც დანაშაული მის ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე მოხდა.

— ორივე მთავრობას აინტერესებს თქვენი პასუხი. — დაუმატა ჩელებმა.

— რაკი ასეა, ორივეს მოგასხენებთ, რომ აიშესანუმ ბუღაროღლუს სახლი მე არ გამიძარცვავს.

— რით დაამტკიცებთ? — თითქმის ერთდროულად შეეცითნენ ოფიცრები.

— იქნებ ინებოს თქვენმა აღმატებულებამ და თვითონ დამიმტკიცოს, რომ სანუმი სწორედ მე გაგძარცვე და არა რომელიმე ყაჩაღთა ბრბომ.

— ამას მოწმეები ამტკიცებენ. — უპასუხა ჩელებმა.

— დამინახა ვინმემ?

— არა, მაგრამ თქვენი სახელით შევიდნენ სახლში.

— ნუთუ ეს საკმარისია?

ოფიცრები სღუმდნენ.

— თქვენ არაერთგვაროვანი საბუთი არა გაქვთ, მე დამაკისროთ ეს დანაშაული. მე კი მაქვს საბუთი, რომლითაც ირკვევა, სად არის სანუმის ქონება... დიას, მაქვს ასეთი წერილობითი საბუთი.

ემრულამ ზანკლის ყელიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა და სმამალა წაიკითხა:

„რადგანაც დღეს მე მივდივარ, აღარავისი არ მეშინია, ვიტყვი, რაც ვიცე გეცოდინებათ, ფაშის მეუღლე რომ გაძარცვეს ამას წინათ, ბოროტი ენები ლაპარაკობენ, იმისი ძვირფასი ნივთები ერთს მაზრის უფროსს აქვსო. ის ცუდი მოგონებები იმასაც უბნობენ, ვითომც იმ ბატონს თვითონ დაეხვედრებინოს აუზაკები. ახმედ-ალა გოგონოღლი ნადირაძე“. გაზეთი „დროება“, 14 ნოემბერი, 1880 წელი. დიად, ბატონებო, გაზეთში ეს აღიარა ყაჩაღმა, რომელიც სედრაქ არუთინოღლის დავალებას ასრულებდა და ქონებაც მას მიუტანა.

— ეს საბუთად არ გამოგვადგება. — თქვა ბოლოტნიკოვმა.

— არც თქვენი ზეპირი ბრალდება გამოდგება საბუთად, — სიტყვა მოუჭრა ემრულამ, — თუ ჭეშმარიტების დადგენა გსურთ, ჯერ მოულოდნელად გაჩხრიკეთ მაზრის უფროსი, შემდეგ დაკითხეთ ამ წერილის დამწერი გოგონოღლი და ამის შემდეგ ვეძებოთ მძარცველი. — დაამთავრა სათქმელი მაღაყმაძემ.

ოფიცრები ერთხანს სმას არ იღებენ.

— დავუშვათ, სანუმი თქვენ არ გაგიძარცვიათ. ჩვენი აგენტურის ცნობებით დადასტურებულია, რომ თქვენ ძალის გამოყენებით ვაიტაცეთ მსახური გოგო და

ასევე ძალად შეირთეთ ცოლად. ეს არანაკლებ დანაშაულია. — დაარღვია მფუღრო-
ეზა ბოლოტნიკოვმა.

საქართველოს
საზღვრო-სამართლო
სამსახური

— ამასაც დამტკიცება სჭირდება, — უპასუხა ემრულამ.

— რას? — იკითხა ჩელებმა.

— იმას, რომ გოგო ძალით შევირთეთ ცოლად. ამასაც სომ მოწმე სჭირდება?

— რა თქმა უნდა.

— ყველაზე უფრო მეტად ვის ძალუძს ამის დამტკიცება? — შეპარვით იკითხა
ემრულამ.

— თვით გოგოს. — მიუგო ბოლოტნიკოვმა.

— მერედა, თუ შეეკითხა ვინმე?

— ხად ნახავდნენ.

— შეეკითხეთ თქვენ თვითონ! — ხმას აუწია ემრულამ და მსლგებლისაკენ
მიბრუნდა.

ოფიცრებმა ერთმანეთს შეხედეს, მალაყმაძის მსლგებელი ასლოს მივიდა. ყა-
ბალაში მოიხადა, გიშერა თმები გადმოეფინა მსრებზე.

— მე ვარ ელვანა, აიშესანუმის მოსამსახურე. ძალით არავის წაუყვანივარ.
ემრულა მიყვარდა და ცოლადაც ჩემი ნებით წავეყვი. — თქვა, წამოწითლდა და
თავი ჩაღუნა.

ოფიცრები გაოგნდნენ.

— რას მოითხოვთ კიდევ ჩემგან? — იკითხა ემრულამ.

— ჩემი ადმინისტრაციისაგან დაეკლებული მაქვს შესარიგებლად წაგიყვანოთ,
— უპასუხა ბოლოტნიკოვმა, — ამასთან ვიძლევი გარანტიას, რომ ყველა დანაშა-
ულს გაპატიებენ.

— თქვენთან შერიგება განიზრახა ოსმალეთის ხელისუფლებამაც, — თქვა ჩე-
ლებმა, — ისიც თანახმაა, გაპატიოს ყველაფერი.

— მე პატარა კაცი ვარ, მთავრობას ჩემთან არაფერი ხელი აქვს და საპატი-
ებელს არაფერი მაქვს, — მტკიცედ თქვა ემრულამ, ცხენი მოაბრუნა და ელვა-
ნასთან ერთად მახვილაურის ბორცვისაკენ გასწია.

ოფიცრებმა მხოლოდ თვალი გააყოლეს, დიდხანს უცქეროდნენ.

აბრაგმა და მისმა მსლგებელმა ბორცვი გადაიარეს და ტყეში გაუჩინარდნენ.



სტუდენტობის მეგობრებს
ჯუმბერს და რეზოს

ჩამოაკაწრავს ხიხანზე დაღალს
მზე დედოფალი,
შეტოდებიან წთის ყვავილები
და ჩამორეკავს ქაღალმერთი დალი
შავ ჭიუხებში ძილგამფრთხალ ირმებს.
მიხტიან ქვებზე ფეხდაკაწრული ცელქი
ბიჭვები

და გაზაფხული გზადაგზა ღვივა,
მხარზე ზურჯინი, ხელში ფინჯნები
და ნენეს სათნო ღიმილი ცვივა.
და მერე... მერე ძილგაძვრთალი დაი ბათუმი,
მარტოხელ სევდას თქვენ შეეფარეთ
და შერჩა ქედებს თქვენი სათუთი
წვივების სითბო და ნატერფალი.
აქ გაზაფხული არ მღერის ისე,
აქ მხოლოდ წვიმის თეთრი სიმები
გვსერავს ანაზღად...

ვინ დაინახავს თქვენს ობოლ ტკივილს
დამარხულს მთებში თაზიანასთან.

აქ ჩსუბუქ ტყავში გამოხვეულ
ქვის სხეულებთან

ვერ შეტოლდებით... ვერ შერიგდებით,
აბოლებთ ნისლებს — კაცობის სევდას,
მთიდან მოსული ნედლი ფიჭვები.

მიხტიან ქვაზე ფეხდაკაწრული
ცელქი ბიჭვები

და გაზაფხული გზადაგზა ღვივა...
მხარზე ზურჯინი, ხელში ფინჯნები
და ნენეს სათნო ღიმილი ცვივა...

გამოეთხოვა ათასწლოვან შფოთიან ბურანს
და მომეახლა ჩემი ასაკი...

შეჭფარებია მარადიულ ყვითელ ორგიას
სული, სხეულში ჩაფრენილი პეპელასავით.

სავსე მაქვს ტანი, მზით და მიწით

სავსე მაქვს ტანი...

და მებრალება განწირული სისავსე ჩემი,

დასტირის მიწა ჩემს ვარდისფერ

ჟრჟოლას და ამურს

და ცისკენ ჟონავს სული ჩემი,

გამდნარი ცრემლი.

როგორ გავექცე დათოვლილ წამებს,

როგორ გავექცე,

მკერდზე მიტოკავს უცოდველი

პაწია თათი...

და ჩემს სარეცელს, გათანგულს და

რძიან სარეცელს

გადასდის რძის და დედობის მაღლი...

ოი, ზეცაო, რას მპირდები, ჩეტავ, სანაცვლოდ,

ზოენატრება მიწას ჩემი ცრემლის თოვება

და დააჩნდება მზესაც ლაქებად

ჩემი არყოფნის უსაზღვროება...

სავსე მაქვს ტანი, მზით და მიწით

სავსე მაქვს ტანი...

და მებრალება განწირული სისავსე ჩემი...

დასტირის მიწა ჩემს ვარდისფერ

ჟრჟოლას და ამურს

და ცისკენ ჟონავს სული ჩემი,

გამდნარი ცრემლი...



და ავუსცადლით უგონო ლოდინს,

როგორც აგვისტოს ვერცხლისფერ სიზმრებს,

მე და შენ — ორი დაღლილი ტოტი,

ჯვარდაწერილი ერთურობის სისხლით.

ისე აივსო მზით და სინაზით,

ისე აივსო, დაძძიმდა მიწა

და წვეთავს ჩვეწში თეთრი მირაჟი,

როგორც მანანა აპრილის ციდან.

ამ ლამაზ დღეებს ისე დანებდა,

მზის დაბადებას ვარსკვლავი თითქოს,

ვარდისფერ ცრემლში ნაბანავები

და მარტოობის ნანატრი სითბო.

საიდან მოხველ? საიდან მოხველ? .
თუკი ვართ ორნივე ევას ნაშობნი,
მითხარი, დღემდე როგორ დავმორდი?
მითხარი, დღემდე როგორ დავმორდი?...
თითქოს უფალმა განგებ ინება
ჩვენი სულების დანაწევრება.
რომ დაგვეტყერა წყურვილით დამშრალ
თეთრ ბედაურებს მწვანე ველები...
და, ჰა, აცხადდა ჩვენი მირაჟი.
ქიშკრა ჩვენი, ცას მოწყვეტილი
და ვდგავართ ახლა უფლის წინაშე
სისხლშერეულნიც და განწმენდილნიც.
...და აეუცხადლით უგონო ლოდინს,
როგორც ავვისტოს ვერცხლისფერ
სიზმრებს...

მე და შენ... ორი დაღლილი ტოტი.
ჯვარდაწერილი ერთურთის სისხლით.



არ მინდა, მაგრამ ვერსად დავმალე
ბავშვობა ჩემი, ჩვეული ჩივილს,
იის ფოთოლიც ვერ მივაფარე
ჩენს გაშიშვლებულ სურვილს და ტკივილს.
არ მინდა, მაგრამ ძარღვები თრთიან
და მაჟღერებენ შვიდივ სიმივით...
სიჩუმეს ჩემსას ძახილი ჰქვია
და ღიმილს ჩემსას ისევ ტკივილი...
წეწავენ კარნი ჩემს მორჩილ სევდას.
უამურ ჭორად ზეებს აბამენ...
ჩამოასიეთ ფარდები ზეცას,
სულში ჩახედო გაყინულ ღამეს!..
არ მინდა, მაგრამ ვერსად დავმალე
ბავშვობა ჩემი, ჩვეული ჩივილს...
იის ფოთოლიც ვერ მივაფარე
ჩემს გაშიშვლებულ სურვილს და ტკივილს...



გეგმავს მედიკოსი მარიამი ქაიხაძე

22 ოქტომბერი, 23.38. პაროლარი

დათა თუთაშხიამ ბერუნის დახედა. ბერუნამ გაუღია.

— თუ რამე დამლუპავს, შენი სიყვარული. — უთხრა თუთაშხიამ ბერუნის. ისინი ჩახვეულები იყვნენ. მთვარე სარკმელში იყურებოდა.

ბუჩქებში უანდარმები ჩახაფრებულყვენ.. ნიკანდრო ქირია წამოხტა და იყვრა.

— აქ არის დათა! სახლს ალყა შემოარტყით! — და იარალი შემართა. ნატაშამ თავი ასწია.

— გამოდი, დათა, ვიცი აქა ხარ, შენ საყვარელთან! — იყვრა უანდარმმა.

მგზავრებს შორის გზას ძლივს იკვლევდნენ მირიანი და კახაბერი.

— რა ვქნათ, დათა? — დაიწურჩულა შეშინებულმა ბერუნამ.

— თბილისიდან ბოლო რეისი მოფრინდა? — ჰკითხა ცნობათა ბიუროს კახაბერმა.

— გადი და შეიქცევი ერთხანს! — დათამ ნაბადი წამოიხსა.

— დიას, ჩამოფრინდა. მგზავრები ზაგაუს ელოდებან.

დათამ ბერუნის აკოცა და უკანა კარიდან გავიდა.

— გამოდი, დათა, გამოდი! — ყვიროდა ნიკანდრო.

ნატაშა ადგა და გავიდა. სიმპათიურმა თანამგზავრმა, „ინტურისტიდან“ რომ გაჰყვა, თვალი გააყოლა.

ბერუნი დირეზე გადადგა.

ჭანსალი, ბრვე კაცი, სეღში მძინარე ზავში რომ ეჭირა (მას კიდევ ორი გოგონა ახლდა, ერთი რეისა, მეორე კი თვრამეტი წლისა), ვიდაცას ეძებდა. ხალხი, უმთავრესად კარს უყურებდა.

მირიანმა შენიშნა ეს გოლიათი და მიექრა.

დათა ცხენს მოახტა და გაქუსლა.

— უკაცრავად, თქვენ იარ-კრავჩენყო სომ არა ხართ? — ჰკითხა მირიანმა და ლიო-ვას მიცემულ ქაღალდს დახედა, — სერგეი ოსტაპოვიჩი...

— დიას. გახლავართ! თქვენ, ალბათ, მირიანი იქნებით?

— დიას. რა მოხდა? — ჰკითხა მირიანმა და თან ცდილობდა ამ კაცის თვალეში ამოეკითხა, რაც ელოდა.

— გოგოებო, გაიცანით, ეს ძია მირიანია, თეატრის რეჟისორი!

მირიანი ძაღლად იღიმებოდა. გოგონებმა ხელი გამოუწოდეს.

— მაშა. — თქვა უმცროსმა.



— ანა. — უფროსს ასე ერქვა.

— ეს კი ირინაა! სძინავს და, თუ შეიძლება, ჩუმად ილაპარაკეთ! — დანისტყუნა კაცმა და უცებ აღელდა, — მგონი, სიცხე აქვს! ანა, ანა, ნახე!

ანა ტუჩებით შეეხო დაიკოს.

— რას არ მოიგონებ! — წყნარად თქვა ანამ, — ეტყობა, ძილში გაიოფლა.

— მირიან! — მიმართა იარ-კრავჩენკომ ჩვენს გმირს, — ერთი წუთით გამომაჩთვით ბავშვი, ცხვირსახოცს ამოვიღებ. — ჩანთა გახსნა და გაახსენდა, — ოი, მაპატიეთ, აი, ეს უნდა გადმომეცა. თქვენმა მეგობარმა მთხოვა, რაღაც უნდა დაგიჭდე, დღევანდელადეცითო. — და მირიანს რაღაც შეხვეული მიაწოდა. მაგრამ მირიანს ორივე ხელით ბავშვი ეჭირა.

— თუ ძმა ხარ, მიეხმარე! — სთხოვა კახაბერს მირიანმა.

კახაბერმა იარ-კრავჩენკოს შეხვეული ჩამოართვა. სერგეი ოსტაპოვიჩი აღელდა.

— უკაცრავად, თქვენ ვინ ჰქაძანდებით?

— კახაბერ ნიკოლაძე!

— გოგონებო, გაიცანით. — ეს ძია კახაბერია, მისეალმეთ! — გოგონებმა ხელი ჩამოართვეს ნიკოლაძეს. „ამასობაში მამამ ცხვირსახოცი იპოვნა და პატარა ირინას ოფლი მოწმინდა.

— რა ხანია, ვოცნებობ, წმინდა სამება ვნახო. თუ იცით, დადიან იმ მონასტრისაკენ ავტობუსებით?

— აი, — გაუწოდა კახაბერმა სავიზიტო ბარათი. — ხვალ დამირეკეთ და უშველავერს მოვაგვარებთ.

— დიდად გმადლობთ, — სიხარულის თავხარი დაეცა იარ-კრავჩენკოს, — იცით, ძველქართულ და სომხურ არქიტექტურას ვსწავლობ და... ისე კი, პოლტავის ტურისტების სექციის ინსტრუქტორი ვარ. აუცილებლად დაგირეკავთ! უკაცრავად, მგონი ბავშვი მიიღეს. წავიდეთ, გოგონებო, დაემშვიდობეთ ძია მირიანს და ძია კახაბერს. — და სამივე გრძელი რიგისაკენ გაემართა. მირიანს დაავიწყდა, ირინა რომ ეჭირა.

— ნახე ერთი, რა გამოგზავნეს.

კახაბერმა კონვერტი გახსნა და დიდი წიგნი ამოიღო: ეს ის წიგნი იყო, ძველებურ-ყდიანი, ინგლისურად დასტამბული შექსპირი. წიგნიდან წერილი გადმოვარდა. კახაბერმა აიღო და მირიანს გაუწოდა.

— წაიკითხე, ხომ ხედავ... ე! — გაოცდა მირიანი და იყვira. — სერგეი ოსტაპოვიჩი! სერგეი ოსტაპოვიჩი, ირინა, ირინა დაგრჩათ!

ირინას გამოედგინა და უტხო სახის დანახვაზე ტირილი მორთო.

იარ-კრავჩენკო და გოგონები მირიანთან მიცვივდნენ და დიდი ბოდიშებით ჩამოართვეს პატარა, რომელიც შიშით უტყერდა მირიანს და გემრიელად ზღუჭუნებდა.

— ხვალ დავრეკავთ! — დაპირდნენ კახაბერს იარ-კრავჩენკოები და გაიქცნენ. მირიანმა ბარათი წაიკითხა, გაიცინა, წიგნი აიღო, გადახსნა, წარწერას დახედა და ისევ დახურა. შემდეგ ნატაშამ სიმპათიური თანამგზავრი ქალი შენიშნა, რომელიც გახსნულ-ლისაკენ მიდიოდა. ქალს დაეწია.

— უკაცრავად, მე მირიან მიქელაძე გახლავართ. თქვენს თეატრში სადილობო სპექტაკლი უნდა დავდგა. ნატაშა გაფრინდა?

— არა, იქ არის.

22 ოქტომბერი. 23.54. პერმოდრომისწინა ბაღი

ნატაშა ასფალტისანი გზის პირას, ტროტუარზე, იჯდა და სიგარეტს ეწეოდა.

— საღამო მშვიდობისა, — უთხრა როგორც იქნა.

ნატაშამ საკმაო დუმილის შემდეგ უპასუხა:

— ალბათ, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, მაგრამ... ძალიან ცუდად ვარ. დედა... სთან იმიტომ ჩამოვედი, რომ გამომერკვია, რა მჭირს... მგონი, კიბო მაქვს. მაგრამ ახლა ყველაფერი სულერთია.

მირიანი გაოცდა. ამ დროს კახაბერი და დეიდა ქეთოც — ის სიმპათიური თანამგზავრი — მოვიდნენ. კახაბერს ისეთი სახე ჰქონდა, მირიანი მიხვდა, რომ დეიდა ქეთოს უკვე მოსწყრო ყველაფრის თქმა. ნატაშა კი წყნარად და დინჯად განაგრძობდა:

— არ ვიცი, რატომ იცლის ხოლმე ღმერთი ერთი ადამიანისათვის? რატომ ატეხავს თავს მაინცდამაინც იმას, ათასგვარ უბედურებას, თანაც ზედზედ... რა დავაშავებ... არ ვიცი... მე მათემატიკოსი ვარ, ფარდობითობის თეორიაში დისერტაცია უნდა დამეცვა და... რაც მე დამემართა... ამდენი ერთ ადამიანს არ ემართება ხოლმე... არ უნდა დამემართოს. ეს იცით, რასა ჰგავს? — სახსე ჩაიდანს გიჟიგა ცეცხლზე რომ დგას და წყალი გაიყინოს — თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, — იცინოდა ნატაშა, — მაგრამ ხომ არ ხდება? რატომ მაინცდამაინც მე უნდა დამემართოს ყველაფერი? რატომ მაინცდამაინც მე, მაინცდამაინც აქ, ამ შუალაშით, როცა დედა უკვე იქ არის, სადღაც, შეუცნობელ შორეთში... თვითმფრინავიც რომ აგვიანებს... თითქოს უკანასკნელი წუთიაო, — მწარედ ჩაიცანა, — შეიძლება სულაც არ გაფრინდეს! რა ბედნიეროქენება, პაერში რომ აფეთქდეს! ეს ჩემს წინა შემთხვევას, ალბათობას დაავიკვინებდა, რა ხდება? სად, როდის, როგორ. ვინ ან რატომ დამიჭერებს, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეა და არ მომიგონია?

კახაბერი სადღაც გაიქცა.

— დეიდა ქეთო, იცით, — ახლა მას მიუბრუნდა ნატაშა ღიმილით, — მე ხომ თქვენ და დედაჩემსაც დავამალეთ სლავას წასვლის მიზეზი. ის მე გავაგდე, მე! გავაგდე იმიტომ, რომ შემეშინდა, ჩემს გამო არ დაღუპულიყო. უბედურება ჩვენი ქორწინების პირველ დღესვე ეწია, — მამა მოუკვდა. მერე დედაც გარდაეცვალა. ცხრა თვის მერე მკვდარი ბავშვი შეგვეძინა. მერე სამსახურში დაეწყო უსიამოვნება. რა არის ეს, ერთი მითხარი? — იკითხა ნატაშამ, — დაწყევლილი ვარ? აი, თქვენც კი ჩემი ჩამოსვლის დღეს გახვედით პენსიაზე, ზუსტად ერთი კვირის წინ... მაგრამ თქვენ ხომ გამოგადგეს საავადმყოფოდან, მე ხომ ყველაფერი მითხრეს! ახლა თქვენ გამოჩნდით, მირიან... წადით, ჩემთან ნუ დგახართ. მე სიბოროტის მოციქული ვარ, კეთროვანივით გადამდები, — იცინოდა ნატაშა, — ჩემი სილამაზე ჯოჯოხეთის ნილაბია... არ არსებობს ლოგიკა ან თეორია, ჩემი ბედი რომ გაამართლოს. რაც მთავარია, ლიოვა რომ შემოვიდა, მე უკვე ვიცოდი ყველაფერი, ვიცოდი.

— ჩქარა, ჩქარა! — საიდანღაც გაჩნდა კახაბერი. — თქვენ დნებროპეტროვსკის რეისზე დაგსვამენ. ეგ რეისი სოხუმში ჯდება. — იყვია მან და ნატაშას ჩემოდანსა და ჩანთას დასტაცა ხელი.

— ეს უკვე რაღაც სინამდვილეს არ ჰგავს! — გაუკვირდა ნატაშას.

— ჩქარა, გვიცდიან! — იღრიალა კახაბერმა და სამივე აეროვაგზლისკენ გაიქცა. ნატაშა ძლივს მიჰყვებოდა დეიდა ქეთოსა და კახაბერს, მერე მირიანს მიუბრუნდა, სიცილით იგულებოდა:

— მირიან, გაფრთხილდით, ჩემთან რომ იყავით, არ დაივიწყოთ... პირდაპირ სასტუმროში წადით, არსად შეუხვიოთ, განიბანეთ უწმინდურისაგან, მათხვარნი დააპურეთ, თუ ნაღმე შეგხვდეთ; სანთლები დაანთეთ, ღმერთი თუ გწამთ... ერთი სიტყვით, სიკეთე ჰქმენით და... მშვიდობით!

— მოქალაქე მირიან მიქელაძეს ვთხოვთ, გამოცხადდეს ცნობათა ბიუროსთან. — გამოცხადდა რადიომ. მირიანს გვეცინა: — „მოქალაქე!“.. — სიგარეტი ჩააქრო და აერო-ვაჭლისაყენ გაეშურა.

23 მშტომგზარი. 00.12. აპროლდომისწინა

ამხედრებული დათა თუთაშხია ტყიან ფერდობებზე მიქროდა. „მესამე სერიის დასა-სრული“.

ცნობათა ბიუროსთან აღედგებული გიორგაძე ბორგავდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა მირიანმა.

— მირიან, გვიცდია და აუცილებლად უნდა წამოხვიდე.

— კახაბერი სად არის?

— სოსუმში რეკავს. მილიციის უფროსი მაგის მეგობარია და უნდა სთხოვოს, დეი-და ქეთოსა და ნატაშას დახედოს და დაესმაროს. ცოტას დაავიანებს, მაგრამ აუცილებ-ბლად მოვა.

23 მშტომგზარი. 00.15. აპროლდომის წინ

მანქანასთან ისინი იდგნენ. მირიანს მიესალმნენ. გიორგაძეს რატომღაც ეუხერხუ-ლებოდა მათი წარდგენა.

— მია ბარბაქაძე, — ამოშაქრა. როგორც იქნა, გიორგაძემ, — პოეტი, მწერალითა კავშირის აღგილობრივი განყოფილების წევრი, ახალგაზრდა პროზაიკოსთა ხეყციის გამგე. მეორემ თვითონ დაიწყო:

— ქაღაქის კომპაგვირის კომიტეტის მდივანი ნუკრი ყიფიანი.

ისინი ჩახხდნენ შავ „ვოლგაში“ — მირიანი წინა სავარძელზე დასვეს და მანქანა დაიძრა.

— რა გადაწყვეტე? — იკითხა ნუკრი ყიფიანმა.

— არ ვიცი, საბოლოო პასუხს დღეს ვერ მოცდემთ. ასე სომ არ შეიძლება: თქვენ თვატრის არ ვიცნობ, არცერთი სპექტაკლი არ მინახავს, არტისტები არ ვიცი, ასეთი რამის უცებ გადაწყვეტა, თანაც სასწრაფოდ, არ შემძლია! თქვენც სომ უნდა გაზიგოთ?! ერთი კვირა მაინც მომეცით.

გიორგაძემ ხეფლება ატეხა. კაციშეილი ხმას არ იღებდა. მირიანმა: „ააჰაჰა“:


— კარგად მესმის. გეგმებს რომ გიფუშავთ, მაგრამ გულისხმილად რომ ვთქვათ... — წინადადება ვერ დაასრულა, რადგან მანქანა საშინლად დაამუხრუჭეს. ძლიერი ღარტყ-მის ხმა გაისმა. მირიანმა წინა მინას სთხლიშა თავი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. რაღაც თუ ვიღაც ეგდო წინა თვლებთან. ყველა თითქმის ერთდროულად გადმოცვივდა მანქანიდან.

თვლებქვეშ ეგდო ორწლიანი ბოწოლა. მირიანი გაგუდა, ალბათ, ნატაშა გაახხნდა. ყველანი წყნარად დაბრუნდნენ ადგილებზე. შოფერმა მოწვევრი გზისპირზე გადა-თრია. მერე მანქანაში ჩაქდა, სავარძლის ქვეშიდან ფალასი ამოიღო და სისხლიანი ხეფე-ბი შეიწმინდა.

— პატრონი? — იკითხა მირიანმა, — რაც უნდა იყოს, კაი დიდი მოზვერია.

— არა უშავს, ახალს იყიდიან, ფული აქვთ. ამას კი ხორცად გაახლებენ. და მან-ქანამ ქალაქისკენ აიღო გეზი.

მირიანი გზას გასცქეროდა. მანქანის ფარებმა უცებ გაანათეს ნატაშა. ის გზაზე იდგა და მანქანას გასაჩერებლად ხელი აუწია.



მირიანმა შუბლზე მოისვა ხელი. ეტყობა, მაგრად მიერთყა: სტილია.

— ალბათ, ჰალუცინაციები დამეწყო, — თქვა მან, — საერთოდ, დღევანდელი დღი რაღაც კოშმარულ სიზმარსა ჰგავს.

ყველა დუმდა. პოეტმა ბარბაქაძემ იკითხა:

— უკაცრავად, მირიან, ცოლიანი ხართ?

— ვიყავი.

— სამწუხაროა, — თქვა ყიფიანმა და ისევ დადუმდნენ.

— რატომ? — იკითხა მირიანმა, რადგან ყიფიანმა აღარ აღიქმა ეთქვა, რატომ ეწყინა მისი უცოლობა.

— ანკეტისათვის გვჭირდებოდა, ცოლიანი რომ ყოფილიყავით.

— რომელი ანკეტისათვის? — გაიკვირვა მირიანმა.

— თეატრის ღირეტიშვილი და სამხატვრო ხელმძღვანელი კარგია თუ უკვე დაოჯახებულია!

მირიანი მიბრუნდა, ყიფიანს შეხედა. ახლა შენიშნა, რომ ყიფიანი ძალიან ლამაზი, არისტოკრატიული გარეგნობის უმაწვილი იყო და გაეღიმა.

— ძალიანაც კარგი! ესე იგი, ჩემი ანკეტური მონაცემების უვარგისობის გამო თამაშს გამოვეთიშები!

— ნურას უკაცრავად! — გეცინა მდივანს, — ქალს აქვე შეგერთავთ.

გიორგაძეს ისევ სველა აუტყდა.

23. მატჩმეზარი. 00.30. სოფელური სახლის ეზო

მანქანა ხის სოფელურ ყაიდაზე აშენებულ სახლს მიუახლოვდა. სახლის ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა. შოფერმა პიშკარი გააღო.

— ხალ მომიყვანეთ? — იკითხა მირიანმა.

— წამოდით, წამოდით, ისედაც ბევრი გვიცადეს. — მოწიწებით, მაგრამ ირონიითაც წარმოსთქვა ნუკრი ყიფიანმა და ყველანი, „ვოლგის“ ფარებით განათებული, სახლისაკენ გაემართნენ.

იქიდან სტუმრების შესახვედრად უკვე მორბოდა აბესალომი. ისევ ის ველვეტის კოსტიუმი ეცვა. მან ხელი ჩამოართვა ჭერ ნუკრის, მერე — მიკას, ბოლოს — მირიანს.

— ეს სახლი პაპაჩემის პაპამ ააშენა. ახლა აქ არავინ ცხოვრობს, ხანდახან თუ ხედეზიან სოლმე შეყვარებული გულგები. ასე, რომ... თუ რაიმე ისე არ იყოს, — დიმილთი ამბობდა აბესალომი, — უნდა მაპატიო. სხვათაშორის, პაპაჩემი, ცხოვრილი რევოლუციონერი, ამ სახლში დაიბადა. — მიმართა ნუკრის, — ჩვენნო ოჯახი უკვე დიდი ხანია ელოდება მემორიალურ დაფას, დიდი ხნის წინ რომ უნდა გაეკრათ. ისე კი. პატარა სახლ-მუზეუმიც შეიძლება გასხსნილიყოს... თუმცა ამაზე არც კი ვოცნებობთ.

— ამ საქმისა არაფერი ვიცი, ვიკითხავ. — სერიოზულად თქვა ნუკრიმ.

სასტუმრო ოთახი ძალიან ლამაზი იყო: კედლები — კაკლის ხისა, არაჩვეულებრივი ბუხარი, კედლებზე შინაურთა ფოტოები, ხის მაგიდა, დროს რომ ვერაფერი დაეკლო, ცხრაასიანი წლების სკამები, დიდი კარადა, რომელშიც, ალბათ, ძალიან საინტერესო წიგნები ეწყო. ზარფის ფირმის მაგნიტოფონი, ბუხარზე ჰორიზონტალურად რომ დაიდგათ და გლენ მილერის საოცარ მუსიკას რომ ღვრიდა, სასწრაფოდ გამოთიშეს.

ოთახში ორმოცი კაცი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მირიანს ასე მოეჩვენა. სულ ახალგაზრდები, ვინც ისხდნენ — წამოდგნენ, ვინც იდგნენ — სტუმრებისკენ შემობრუნდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. მირიანი სულ დაიბნა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით. — წყნარად და სერიოზულად უთხრა ნუკრიმ.

დასხდნენ, ზოგი — სკამებზე, ზოგი — დივანზე, ზოგი ისევ იდგა. აბესალომმა სამი სკამი შემოატანინა ახალმოსულთათვის.

— ნება მიბოძეთ, — დაიწყო აბესალომმა, — თეატრის სახელით, უფრო სწორედ, თეატრის ახალგაზრდობის სახელით, მოგესალმეთ ყველას და, განსაკუთრებით რეჟისორს მირიან მიქელაძეს.

ტაში. მირიანი წამოდგა, ცოტა არ იყოს, დარცხვენით იქნევდა თავს.

— პირველი სიტყვით, — განაგრძო აბესალომმა, — გვინდა მივულოცოთ ჩვენს მეგობარს, ჩვენი თეატრის მეგობარსა და სამხატვრო საბჭოს წევრს პოეტ მიკა ბარბაქაძეს. აქვე შევთანხმდეთ, რომ ჩვენი სხდომა პირველი საათისათვის უნდა დამთავრდეს. თქვენ იცით, რატომაც! ჭერ ერთი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეგვხედეთ ბატონ პოეტსანდრეს და მეორე: ხვალ ძალიან ძიძმე დღე გველის. გთხოვთ, მიკა!

მიკამ ქოჩორი გადაივარცხნა, მაგრამ თმები ისევ ყალყზე დაუდგა.

— როგორც არ უნდა იტრიალო, ჩემო ბურთულავ, ო, დედამიწავ, შეტყულებილო ორ პოლუსს შორის, შენვე მიტყევა და მოტყევა, რითაც სულდგმულობ, შენს მოძრაობას შეაჩერებს, ბოლოსდაბოლოს! დღე არ გექნება, მიგატოვებს ღამეც ქურდულად და ტალღა შთანთქამს ყოველივეს, მხოლოდდამხოლოდ...

ღიახ, მეგობრებო, ახალმა ტალღამ, როგორც იქნა, მოადგია ჩვენს თეატრამდე! ამას ველოდით, მოვესწარიტ, რაზეც ვიცნებოდათ! და ახლა, როცა ჩვენი მომავლის საკითხი წყდება, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკითხი ერთად უნდა გადაწყვიტოთ, ერთხმად, სუვერენულობისა და დამოუკიდებლობის სრული გათვალისწინებით.

მოზდენილმა გოგონამ ტაბლა შემოიტანა და „სამეფულის“ წინ დადგა. მეორემ, თექვსმეტობედ წლის გოგონამ კი სწრაფად დააწყო მაგიდაზე ჩირი, ხმელი ხილი, ჩურჩხილები და კვარტიანი, — კრიალა. წყალივით თეთრი დვინით საცხე. მირიანის გასაკვირად, სწორედ მან შეაწყვეტინა პოეტს ამაღლეზეგზელი სიტყვა:

— მე გგონი, ჩვენი ქალაქის ინტელექტუალური ელიტის ეს დღევანდელი კრება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავამთავროთ. საერთოდ, არ არის აუცილებელი, ყოველმა ჩვენგანმა თავისი განათლება და ხელოვნებისათვის თავდადება უჩვენოს რეჟისორს, რომლის ერთადერთი უპირატესობა ის არის, რომ ჩვენს უნიჭო თეატრში გასამეფებლად, ზედმეტი მორალური წამებისა და ყოყმანის გარეშე დგება ბანალური თეატრალური ანტრივის გზაზე და სინდისის უქნევანად მზად არის გაცამტვეროს უფროსი კოლეგა, რას იზამთ, ეტყობა, ნების გროვანზე ჯდომა სჯობს დიდების ფერდობზე დგომას... ხომ ასეა, მირიან?

ნუკრი ყოფიანი წამოხტა და გოგონას უყვირა:

— გააწყალა გული ამან თავისი პრანჭვითა და მენტორული მონოლოგებით! ახლავე წინ წაიყვანე, — იგი აბესალომს მიუბრუნდა, მერე მაგიდის შემომტან გოგოს საყვედურით უთხრა: — რამდენჯერ უნდა გთხოვო, ღია, ნუ მოგყავს ამ ბარდელში.

ყველა შეიშმუნა, იმ გოგონამ კი, — ოდნავ უღამაზომ და ძიძიბებიანმა (რას იზამთ, გარდამავალ ასაკშია) თქვა:

— დაწყნარდი, ნუკრი, და ყოველთვის შენს კაბინეტში ნუ გგონია თავი! მაღლობა ღმერთს! აქტიორებმა შეინარჩუნეს მეამბოხე და თავისუფლებისმოყვარე სული; ასე რომ, მათ შენი თანამდებობით ვერ შეაშინებ! — მირიანს მიუბრუნდა. — მაპატიე, მირიან, ჩემი ძმის თავშეუყავლობა და ჩემი სითამამეც, მაგრამ ესენი ძალიან დიდხანს და უნაყოფოდ ილაპარაკებენ. აქ ყველა მსახიობია და ეცდებიან თავი დაიფასონ და უფრო მეტი მოგაჩვენონ, ვიდრე არიან, როგორც ამას უძველესი ხელობის მსახურნი, პროფესიონალი მძავეები აკეთებდნენ. მაგრამ ამისათვის ნუ დაგვძრახავთ. ამათ თავიანთი უზედურებაც ეყოფათ. ამიტომ, დრო რომ არ დაგვარგოთ, მათ მაგივრად მე გეტყვით. მხოლოდ იმას, რაც მთავარია: კელეპტრიშვილი ისე საშინო არ არის (თანაც ამბობენ,

მისი მოხსნა გადაწყვეტილიყო), როგორც ეს უხუცესნი, კახაბერთან რომ გიცდიან, ისინი არიან, რაც არიან: იმათ გამოწარდეს შოთა, ისინი არიან შოთასნაირი. რთა ინკუბატორი, წყება-წყება შეუძლიათ ასეთები გამოჩეკონ და გამოუშვან. და მთი: ძალიან უნდა გეშინოდეთ აი, ამათი, უფრო სწორედ, მათი გახრწნილი სულისა, ამათი ლალატისა, ამათი მონური ფსიქოლოგიისა, რომელსაც ასე აღვივებდა მათში მათივე ხელმძღვანელი კელეპტრიშვილი. დამაცადე, აბესალომ, — შეაჩერა გოგონამ ფეხზე წამოშდგარი მსახიობი, — არც თქვენ გაწყენდათ, მოგესმინათ, რაც უნდა ვთქვა, თქვენც უნდა იცოდეთ ეს ყველაფერი! (მირიანს) შოთას რომ გააგდებთ, თავიდან მაინც ვერ მოიშორებთ, რადგან ის ამათშია, ამ გარეგნულად ახალგაზრდა, მაგრამ დამერებულ პროვინციულ არტისტებში... ამას კი ვერვინ ვერ მოერევა! ტყუილ-უბრალოდ ნუ შეებრძოლებით! აი, რაც უნდა მეთქვა, ნუკრი, ძალიან გთხოვ, დაწყნარდი. არ წავალ, მაგრამ პირობას. გაძლევ, ხმას აღარ ამოვიღებ.

კარი ფრთხილად გაიღო და კახაბერი შემოვიდა, იღიმებოდა, ეტყობა, ნუკრი ყოფიანის ღის სიტყვა თავიდან ბოლომდე მოესმინა. კახაბერმა ეს უსიამოვნო, დამუხტული ატმოსფერო ძალიან მარტივად და ეფექტურად განმუხტა:

— ჩვენი პატარა ნატო, როგორც ყოველთვის, მართალია! — თქვა კახაბერმა, — გოგონას ხელი ამოარტყა და ისევ დაბნეულ პატარა გოგონად აქცია. — მეც ასე ვფიქრობ: კელეპტრიშვილთან ერთად ის უხუცესნი უნდა გავლალოთ პენსიაზე. მზად არიან, უკვე მომწიფდნენ, ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე მომეჩვენა.

ჩვენც მზადა ვართ უსაშინლესი განაჩენისათვის! ჩვენთანაც უღმრთოები უნდა იყოს, — პათოსით წარმოთქვა აბესალომმა, — რადგან ახალი მხოლოდდამხოლოდ ძველის ნანგრევებზე, გესმით, ნანგრევებზე შენდებია!

— შეიძლება? — იკითხა ნუკრიმ, მაგრამ პასუხს არ დაუცადა, სკამზე დააგდო შიკა, რომელიც რაღაცის თქმას აპირებდა. — რაღაცა მინდა დავაწუხებო და ეს ყველამ აუცილებლად უნდა იცოდეს პირველი: კელეპტრიშვილს ჩვენ აქ არავინ ინტრიგას არ ვუწყობთ. დღეიდან ის სახალხო არტისტია. ჩვენ კი ასეთი პირობა გვქონდა: წოდებას მიღებისთანავე უნდა წასულიყო. ახლ რომ შოთასთან მართლები ვართ.

— ტყუილია. — წყნარად თქვა ნატომ („აღუქმა“ დაარღვია).

— გაჩუმდი! — ისევ უყვირა ჯას ნუკრიმ. — მე ვიცი, რასაც ვამბობ.

— მე მგონი, — გაეცინა კახაბერს, — ნატო ეხლაც მართალია!

— არ ვიცი, კახაბერ, ეს აღექსანდრ ნიკოლაევიჩმა მითხრა და არა მგონია, ტყუილი იყოს! — დაიბნა ნუკრი.

— რატომ არა გგონია? ბატონ აღექსანდრეს ტყუილი აკრძალული აქვს? — არ ცხრებოდა ნატო, — ან უცებ შენ გამოიგონე ყველაფერი?

— მოიცა, ნატო, — შეაჩერა გოგონა კახაბერმა, — განაგრძე, ნუკრი.

— მეორე: არა მგონია, უხუცესთაგან ყველა პენსიის ღირსი იყოს. აი, მესხს, მაგალითად, ჭერ კიდევ შეუძლია რაღაცის გაკეთება.

— არა! არა! ეგენი ყველა უნდა გავუშვათ და რაც შეიძლება სწრაფად! — იყვირა ულაშავესმა გოგომ. — ეს აუცილებელია!

— ღიას! ღიას! აუცილებელია! — გაისმა ხმები.

— წყნარად! წყნარად! — იყვირა ნუკრიმ. — წესრიგი დავიცვათ! უხუცესთა გადგება ყოველთვის შეიძლება, თუნდაც სეზონის ბოლოს.

— შესაძლოა მე თეატრი ძალიან კარგად არ მესმის. — თქვა კახაბერმა, — მაგრამ ერთი რამ კი ზუსტად ვიცი: გუნდში ახალ მწვრთნელს რომ ნიშნავენ, სრულ უფლებებს აძლევენ. ის, პირველ რიგში, ძველ ვარსკვლავებს უშვებს გუნდიდან. და ეს ყოველთვის უკეთეს შედეგს იძლევა. ჩემის აზრით, მთელი დასი უნდა დაიშალოს, — მი-

მართა მან ნუკრის. — საქმე თუ გინდათ, ეს არის! და მიეცით მირიანს სამუალები, და ის
თავიდან შეადგინოს.

ყველა გაჩუმდა. ნუკრის პასუხს ელოდნენ... ის კი სან კახაბერს და ხან მირიანს
უცქერდა. ავისმომასწავებელი ღუმელი ჩამოწვა. ნუკრი წამოდგა, ეტყობა, რაღაც გა-
დაწყვიტა, მაგრამ...

უსაშინლესი ძალით იფეთქა რაღაცამ. ფანჯრის მინები აზრიალდა. ყველა შეკრთა,
ელდა ეცათ და გაშეშდნენ; საშინელების მოლოდინში გაფითრდნენ. ერთხელაც იფეთქა
და სინათლე ჩაქრა. ოთახი ელვამ განათა, სახლი ისევ ატორტმანდა და გაისმა ტრობი-
კული წვიმის ხმა.

ნატომ გაიცინა.

— კარგია! ყოველ შეთქმულებას ბუნების არაჩვეულებრივი მოვლენა ახლავს. ქექა-
ქუბილი ოქტომბრის ბოლოს. ასე მხოლოდ შექსპირის პიესებშია!

23 ოქტომბერი. 01.06. სოფელური სახლის პინანდი

ისინი აივანზე იდგნენ და ცას შესცქეროდნენ. სანახოა მართლაც უჩვეულო იყო:
ელვა, ქუხალი, ცეცხლოვანი ტეხილი ისრები და ტრობიკული წვიმის გადაუღალავი
კედელი. ნუკრი ცდილობდა ამ სმაურში მაინც ელაპარაკა.

— არა, არა და არა, კახაბერ! არა, ამხანაგებო! კახაბერის ამ წინადადებას ვერ მი-
ვიღებთ. სისხლის გამოშვება ვამიჯონია, მაგრამ ასეთი? უფრო ჰკვიანურად უნდა ვიმო-
ქნედოთ. დინჯად, ყველაფერი მისხალ-მისხალ ავწონ-დავწონოთ. მოდით სეზონის მო-
ლომდე დავიცადოთ!

— დავიცდით, მართალია! — აგუგუნდნენ სხვებიც.

— ხვალ თუ გამოვდივართ, ყველაფერი ამაღამვე უნდა გადავწყვიტოთ.

— ღიას, — ყვიროდა კახაბერი. — უკვე გვიან არის, თანაც გვიციდან ჩემი წინა.
დადება თუ არ მოგწონთ, ხვალს ამბავი მაინც დავგეგმოთ. — კახაბერს გაეცინა. —
თუმცა აქ რატომ ვყვიროთ, შევიდეთ ოთახში და დაწყნარებით მოვილაპარაკოთ.

აივანზე მირიანი და ნატო დარჩნენ. ორივე ამ ფანტასტიურ ქექა-ქუხილს უყურებდა.

— ნეტავ თვითმფრინავი თუ გაფრინდა? — ჰკითხა მირიანმა ნატოს, მაგრამ რას
გააგონებდა. ამიტომ იყვარა: — ნატო! არის აქ ტელეფონი?

— არა! — ნატო იცინოდა. — რა კარგია, არა, აჯანყება? გეგმას აღგენენ, შენ კი
დაგივიწყეს. თუმცა ყველაფერი სწორია: მაგათ ის ხომ არ აინტერესებთ, ვინ იქნება
ხელმძღვანელი — მირიან მიქელაძე თუ შოთა კელდებრიშვილი. ესენი ბუნებს მხოლოდ
იმიტომ აწყობენ, ჰგონიათ, ხვალ უკეთესი იქნებაო. მაგრამ რაც დრო გავა, სულ გაუა-
რესდება საქმე, დარწმუნებული ვარ. ესეც არ იყოს, ჩვენ ხომ სისხლი გვწყურია? .
წოცარი ხალხი ცხოვრობს ამ პატარა მხარეში.

— ნატო, გენაცვალე, რომელ კლასში ხარ? — ჰკითხა მირიანმა.

— მაღლობა ღმერთს, წელს ვამთავრებ. როგორც იქნება, მოვშორდები ანათ, ამ
ქალაქს, მომღლებს, ძმას და თბილისში წავალ სასწავლებლად.

— თქვენ თეატრი ძალიან არ მოგწონთ?

— ჩვენ არც დავდივართ თეატრში. დროს არ ვკარგავთ. უკეთესია, წაიკითხო. საერ-
თოდ, არ მიყვარს თეატრი... რომ გავიგე, არქიტექტურა მიგიტოვებია და თეატრალურზე
შეხუტხარ, გავოცდი. თეატრი ხომ მოკვდა. არა, კი არ მოკვდა, აი, იმ დღეებშია, უნაუ-
რნებელი სენით დავადებულები რომ კვდებოდნენ და არა კვდებოდნენ; გაწამებული რომ
ჰყავთ ახლობლები, ნათესავები, ექიმები გამუდმებული პრეტენზიებით.

ნატას მოულოდნელად მირიანმა თავზე ხელი გადაუსვა. ნატო გაჩუმდა. მირიანს
მოაცქერდა. მირიანს მომღიმარი, ბედნიერი სახე ჰქონდა.

— ნატო, ჩემო ნატო! რას ამბობ? რატომ? რატომ? შენ ხომ კეთილი გოგო ხარ, ყველაზე კეთილი! თანაც ძალიან ლამაზი!

ეს რომ გაიგონა, ნატო ატირდა.

— წადით... დამეკარგეთ ყველა... მომცილდით! — თქვა მან წყენით და სასაცილო ტკივილით.

მირიანი დახარა, ლოყებში ხელი მოკიდა და შუბლზე აკოცა.

კარი გაიღო და აბესალომი, კახაბერი და ნუკრი გამოვიდნენ. ბიჭები გაშეშდნენ. ნატო ეწოში გაიქცა, ვითომ თავსხმა არ ყოფილიყო.

ნუკრიმ ხელი ჰკრა მირიანს, რომელსაც რაღაცა უნდოდა ეთქვა და დას გაეკიდა.

კახაბერი თვალეშში უყურებდა მირიანს.

— წავედით! ჩქარა! — კახაბერმა გიორგამეს ქოლგა გამოართვა და მანქანისკენ გაიქცა. მირიანი და აბესალომი უკან გამოუდგნენ.

— მირიან! — ყვიროდა აბესალომი, — ყველაფერი გადავწყვიტეთ, ყველაფერი! ხვალ თერთმეტზე თქვენ აუცილებლად თეატრში უნდა იყოთ!

კახაბერი მანქანაში ჩაჯდა და ქოლგა აბესალომს დაუბრუნა. მთლად გაწუწული მირიანს უკანა კარი უნდოდა მოეხურა, მაგრამ აბესალომი არ ანებებდა.

— მირიან, არ გვიღალატოთ, გესმით? ხვალ, ზუსტად თერთმეტზე, გასინჯვაზე ყველაფერი უნდა გადაწყდეს. არ გვიღალატოთ!

მანქანა ვიდრე დაიძრებოდა, დაბუქსავდა და აბესალომი ერთიანად ტალახში ამოსვარა.

23 მარტომხმარი. 01.18. მანქანაში

— კახაბერ. — ყვიროდა ისევ მირიანი, — ამ ამინდში თვითმფრინავი არ გაფრინდება. უნდა დავრეკოთ და წავიდეთ... გააჩერეთ! — დაიძახა მირიანმა, როგორც კი ტელეფონ-ავტომატი დაინახა.

— არა, არ გააჩერო! პირიქით, დაწეკი! ვაგვიანებთ! — კახაბერიც ყვიროდა. — სახლიდან დავრეკავთ.

საოცარი სანახაობა იყო დატბორილი, უკაცრიელი ქუჩები და ამ ტბორში მიმავალი მანქანა.

23 მარტომხმარი. 01.32. დიდი თანამედროვე სახლის კიბეზე

— ჩქარა, ჩქარა, მანქანა უკვე სანახევროდ წყალშია! — ყვიროდა ახალგაზრდა, პეტრე პირველს რომ ჰგავდა. — სარდაღი სავსეა! ჩქარა, დედა, ჩქარა!

ზემოდან კიბეზე მირბოდნენ ბამბაზის საღათებში გამოწყობილი ქალები, კაცებს შალის სპორტული კოსტიუმები ეცვათ, ზოგს პლედი მოქონდა, ზოგს — სინთეტური სუფრა, ზოგს — ქოლგა. ისმიდა ბავშვების ბღავილი. ქვემოდან კი მთლად გაწუწული ჯგუფი ამოჩნდებოდა. გაღიმებულ კახაბერს შეშინებული მირიანისათვის ხელი ჩაეკიდა და კიბეზე მთარბენინებდა. ისინი ძლივს იკლევდნენ გზას სტიქიონისაგან აფორიაქებული. მშვენიერი სამხრეთული ქალაქის მცხოვრებთა შორის.

ისინი მუხის კართან შეჩერდნენ. კახაბერმა დარეკა. გაისმა გასაღების ჩხარუნი და მირიანმა ცხვირსასოცით სასწრაფოდ შემომწარალა თავი.

კარი პატარა დედაცაცმა გააღო; იფიქრებდით, ას წელს რასანია ვადაბიჯაო... ქაღმა სტუმრები შეუშვა და ისევ დაიწყო კარის ჩარაზვა: ოცამდე საკეტი მაინც იქნებოდა.

იმ საზარელი ხმების შემდეგ, ეს მყუდრო ატმოსფერო, რომელიც აქ ამ მშვენიერი სახლის დერეფანში სუფევდა, გულზე მალამოდ მოეცნოთ შემოსულებს. კახაბერმა დიდი ქოშები ჩაიცვა. მირიანმაც მის მაგალითს მიბაძა და სტუმრები სასადილო ოთახში შეკლნენ.

გარდელ მაგიდას ორმოცდაათი კაცი უჯდა. ამდენი ხალხი რომ გასუსულიყო, თამა-
ლის, — სადგურის უფროსის შალვა მიქელაძის „ბრაღი“ იყო. იგი სადღეგრძელო
ამბობდა, მაგრამ შემოსულები რომ დაინახა, სახე გაებადრა და „საქმე“ შეწყვიტა.

— გთხოვთ, გთხოვთ, — წაიმღერასავით მოიპატიუა, კლასიკური ბას-ტრიფუნდო
ჰქონდა, და ვენეციური მინის უმშვენიერესმა ჭაღმაც ზრიალით უბასუბა მძლავრი ხმის
ტალღებს. — გთხოვთ, ბატონო კახაბერ, დაბრძანდით... უმორჩილესად გთხოვთ ყველას,
გაიცანით, ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი, უკვე საკმაოდ სახელგანთქმული რეჟისორი,
მირიან მიქელაძე...

— შეავსეთ ჭიქები! — ბრძანა თამადა, მაგრამ კახაბერმა სახმის ხელი დააფარა.

— მირიანისა არ ვიცი, მაგრამ იმდენი საქმე გვაქვს, წვეთის დაღვევა არ შეგვიძლია.

— რა საქმე? რა დროს საქმეა? — იკითხა ოდნავ შემთვრალმა კაცმა.

— უნდა გვაპატიოთ, ალექსანდრ ნიკოლაევიჩ, — წამოდგა მირიანი. — მაგრამ მე
საერთოდ არ ვსვამ.

ისეთი ხარხარი ატყდა, მირიანმა ცოტა უხერხულად იგრძნო თავი და დაიბნა.

— ჩემო მირიან, ჯერ ერთი, ეს ალექსანდრე არ არის, ძმა მისი — დურმიშხანი.
მეორეც, ადრე რომ მოსულიყავით, მატარებლისა არ იყოს, ისევ ტყუპებთან მოგიხდებო-
დავით სმა; ეს არც ისე ხშირად ხდება ცხოვრებაში. — ეუბნებოდა თამადა გაოგნებულ
მირიანს, — მესამე: ყველა მიქელაძე სვამს და მშვენივრად! თანაც მათ ტყუილის
თქმა არ შეუძლიათ, მე მგონი, სწორედ ამიტომ არიან მიქელაძეები ბედის ნებაყრნი.

მირიანს ღვინო დაუსხეს, კახაბერი საღვაც გავიდა. ისე იქცეოდა, ეტყობა, ამ სას-
ლში ყველაფრის უფლება ჰქონდა.

— ძვირფასო მეგობრებო! — დაიწყო შალვამ, — მე მინდა მირიან მიქელაძის სად-
ღეგრძელო შევსვა. — მირიანი წამოდგა. უკახაბეროდ ობლად გრძნობდა თავს; თამადა
კი განაგრძობდა, — ყველა ხალხსა აქვს ინსტიტუტები, რომელთა საშუალებითაც და
შეოხებითაც სრულყოფილად და ჰარმონიულად გამოხატავენ ეროვნულ სულს. მას
საკლებ განათლებული ინსტიტუტებიც გააჩნია, მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელთ ეკის-
რებათ უდიდესი და უკეთილშობილესი მისია ხალხის განათლებისა და მასების ესთეტი-
კურმშვენივრებად კულტურასთან ზიარებისა. ის საქმე, მირიანი რომ ეძახებოდა, სწო-
რედ ამდაგვარია... ჩემი ხალხისათვის თეატრი ცხოვრებაა, ცხოვრება კი, თავის მხრივ,
თეატრია. ამიტომ ვცემთ პატივს და გეთაყვანებით ყველას, ვინც ამ არაჩვეულებრივ
საწმინდეს ემსახურება. ჩვენ, ამ პატარა ქალაქის მცხოვრებთ, რა დასაშალია, არა გვაქვს
ღირსეული თეატრი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ უდიდესი მსახიობი შოთა კელეშტრიშვილი
საშუალო რეჟისორი გამოდგა. „ყველა ხალხს ჰყავს ისეთი მთავრობა, როგორსაც იმ-
სახურებს“. — უთქვამს შექსპირს. არ მინდა დავიჯერო, რომ ყოველ ხალხს ისეთივე
თეატრი ჰქონდეს, რისი ღირსიც არის.

ამ ღრმადანალიტიკური სიტყვის დროს, როდესაც სუფრა გასუსული უსმენდა შალ-
ვას, შემოვიდა კახაბერი და მირიანთან მივიდა.

— ყველა რეისი დილაამდე გადაიდო! — გამოსცრა კახაბერმა და დურმიშხანთან
მივიდა. მან რაღაც უთხრა დურმიშხანს და ორივენი კორიდორში გავიდნენ.

22 ოპტომისტრი. 01.55. კორიდორი დურმიშხანის სახლში

ნესტანი ტელეფონს მიჯდომოდა, დურმიშხანი კი ლაპარაკობდა:

— ჩემი ძმა ერთი საათი იქნება, რაც წავიდა... თქვენთან შეხვედრაზე არაფერი
უთქვამს.

— საოცარია, — გაუკვირდა კახაბერს, — არტისტებს შეუთანხმდა, დურმიშხანთან
ვიქნებოდით. ასეთი სერიოზული საქმეა და... როცა გინდათ, მაშინ მიდითო, თუნდაც შუა-
ღამე იყოსო...

ნესტანაჲ ყურმილი დადო.

— არ პასუხობენ. რა მოხდა ნეტავ? დეიდა ირა არახოდეს არ თიშავს სიამაყენსა
ტელეფონს.

დურმიშხანმა თვითონ დაიწყო ნომრის აკრება.

— მირიანი დაგთანხმდათ? — ჰკითხა კახაბერს დურმიშხანმა.

— კი მგონი...

— ჯერ კაცი არ მინახავს, საქმის სათავეში ჩადგომაზე უარი რომ ეთქვა! — გაიცინა
ნესტანაჲ, — და ვერც ვნახავ! — დაუმატა მერე დაბეჭთებით.

— ნახავ, ნესტან, ნახავ, — მკაცრი მზერა მიაპყრო შვილს დურმიშხანმა, — საზე-
ღბიეროდ, კიდევ იბადებიან ასეთები! — მან ფრთხილად დადო ტელეფონის ყურმილი. —
ან არ არიან, რაც გამოჩინეს უნდა, ანუ ტელეფონი გაუფუჭდათ!

— ალბათ!.. შეიძლება ამ ჭექა-ქუხილმა დააზიანა ხაზი, — თქვა კახაბერმა, — დუ-
რმიშხან ნიკოლაძევი, ერთი რამ უნდა გთხვოდეთ: ჩვენ ძალიან გვეუბნებოდნენ შეუ-
ღამისას თქვენი ძმის გავლილება და წამოგყვეს, თუ შეიძლება ნესტანა.

— ჩიცვი! — ბრძანა მამამ.

სიჩუმე სასტუმრო ოთახიდან გამოჭრილმა ხმამალმა დაპარაკმა დაარღვია.

28 ოქტომბერი. 02.00. ისევ სასადილო ოთახი

— მე არ დავლევ მაგ ნაბიჭვარის სადღეგრძელოს! დიას! ჯერ არ დამიღევია და
არც დავლევ დამწყები გაიძვრებისა და არამზადების სადღეგრძელოს! — ყვიროდა
დაბალი, ნაპოლეონით კაცი. — და საერთოდ, არც მინდა მაგასთან ერთად ლუქმას
გატეხვა. ის ხომ მკვლელია! დიას, მკვლელია, მკვლელი! ხომ იცით, შოთა რა ავაღმ-
ყოფია! ამ ამბავს ვერ გადართანს!

— დაწყნარდით, დავით, გენაცვალე! — არ იცოდა, რა ექნა შალვას, — უხერხუ-
ლია... სტუმარი ღვთისა!

— ფეხებზე მყიდია ეგეთი სტუმარი! იქ მიბრძანდეს, საიდანაც ჩამეტრია!

— დავით, — ტიროდა პატარა ქალი, დავითის მეუღლე — გაჩუმდი, დაწყნარდი, კახავ.

— რა დამაწყნარებს, სალომე?! — თანამოუფრებზე მიუთითა, — ერთი შეხედვ
ამ მეცენატებს!.. რით არის ჩვენი თეატრი სხვებზე უარესი? მოსკოვშიც მინახავს ცუდი
სპექტაკლები, მაგრამ ამის გულისხამვის ყველა რეჟისორს ხომ არ დავხრცავთ?

ოჯახის უფროსს უნდოდა ჩარეულიყო, მაგრამ კახაბერმა შეაჩერა. დავითმა ეს
შენიშნა და მასთან მიიჭრა.

— კახაბერ, შენ ჰკვიანი და გუფრფრელი კაცი ხარ. უთხარი ამ მეიერჰოლდს,
სახლში წავიდეს! რაც შეიძლება ჩქარა! ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ჯერ არ იცის სი-
ცოცხლის ფასი, ფასი ყოველი წამისა, ბედმა რომ სასწაულად გვიბოძა! რამ გაგაგოთ!
რა უნდა დადგას ისეთი ამ პრივივიტუალ თეატრში, ამხელა კაცის სიკვდილი რომ ვაბ-
ტოთ?

— გაჩუმდი, დათიკო, ცუდად გახდები ადამიანო, ხომ იცა. — ებწეებოდა სა-
ლომე. — სალხო, გაჩერეთ, წუხელ საშინელი შეტევა ჰქონდა.

შალვა დავითთან მივიდა.

— შალვა, — უთხრა სავსებით წყნარად დავითმა თამადას. — ბევრი რამე გადაგვ-
ხდენია ამ წუთისოფელში... ახლა, როცა ყველაფერი დამოკიდებულია რაღაც სისხლის
მიმოქცევის ორგანოზე, კამილიარზე... და როცა ეს გახვედრული და მსხვერვალი ძარღვი,
უბრალოდ, დაგვედგა... დაიღია ჩვენგან, ჩვენი განცდებისაგან, გრძნობებისაგან, სიხა-
რულისა და სიმწარისაგან... ბოლოსდაბოლოს, მოიპოვა დასვენების უფლება, დაბერდა
და ეძინება... ხომ მართალი ვარ? მოდ, დაიძინებს თუ არა, ყველაფერი მორჩება...

შეგე დავითი ატირდა. კაცები სახტად ღარჩნენ. მხოლოდ მირიანს ჰქონდა შეუვა-

ლი სახე. ის აღგა, კარისაკენ გაემართა. დავითმა ნამტირალევი თვალეში მირიანს მიჰა-
ყრო:

— მაპატიეთ, მირიან. ერთსა ვშველოდი და მეორეს კი გუული ვატყინე. მაგრამ
მინდა იცოდეთ: თქვენ მე შინც მეჭავრებით... ამას კი მარტივი და სადა განმარტება
აქვს: თქვენსავით ძლიერმა პიროვნებამ გამომაგლო მეც სამსახურიდან. ვიცი, ეს ცხოვ-
რების კანონია, მაგრამ მე შინც მეჭავრებით და მშურს თქვენი. ისიც მშურს, ჩემზე
ახალგაზრდა რომ ხართ... მაპატიეთ.

23 მატომბერი. 02.18. ისევ კორიდორში

მირიანი კორიდორში გამოვიდა, ქოშები გაიხადა და კარისაკენ გაემართა. მისი წინ-
სვლა ოცმა კლიტემ შეაჩერა. დურმიშხანს უნებურად გაეცინა.

— ამას მხოლოდ ბებიაჩემი ალებს. არ ვიცი. მაგრამ რაიმე რომ დაემართოს, რა
გვეშველება! აგრაფინა! — დაიძახა მან. ბებია გამოვიდა და გაღებას შეუდგა.

— თავისი პენსიით იყიდა და დაუყენებინა ეს კლიტეები. ქურდებისა სიკვდილივით
უშინია.

„ქურდიო“, გაიგონა თუ არა, აგრაფინა მკვეთრად შემობრუნდა და ეპვით შეხედა
ჩვენს გმირს.

ოთახიდან კახაბერი, ლაბადაჩაძემული ნესტანი, შალვა და დავითის ცოლი გამოვი-
დნენ.

— იცით, მე და დედათქვენი საბავშვო ბაღიდან ვიცნობთ ერთმანეთს. — სალომემ
ხელი ჩამოართვა მირიანს, — ორმოცი წელი იქნება, ერთპანეთი არ გვანახავს. ღმერთო
ჩემო! ორივეს დავითი გვიყვარდა. მაშინ ყველა ასე ამბობდა და, ალბათ, ახლაც ასე
პგონიათ, სალომემ წაართვა საქმრო ბოლოს... დიდი მოკითხვა გადაეცით დედას.

კარი გაიღო. აგრაფინა ერთგული მცველივით იღგა გასასვლელში. შალვა მიქელაძემ
ხელი მაგრად ჩამოართვა მირიანს.

— ნუ ლელავთ, მირიან, შოთა არ მოკვდება. დილით თვითონვე მითხრა, პენსიაში
გასვლის დროს. ერთ რამეს კი გთხოვთ: „ღირი“ დაუდგით, მიეცით ამ დიდებული
ბრძენის როლი, ბრწყინვალედ ითამაშებს, დარწმუნებული ვარ... ნახვამის.

დურმიშხანმა მხარზე ხელი დაჭყრა მირიანს და ისიც, კახაბერთან და ნესტანთან
ერთად, უკვე დამშვიდებული, სადარბაზოში გამოვიდა. პეტრე პირველს ისეთი სახით
ამოჭქონდა მკერდში ბავშვივით ჩახუტებული საბჭოელი მანქანა, თითქმის საუყუნის აღმო-
ჩენა გაეკეთებინა. აგრაფინამ უკვე დაიწყო კარის ჩარაზვა.

23 მატომბერი. 02.32. გზაზე

წვიმას გადაეღო. მთვარიან-ვარსკვლავიან ცაზე ღრუბლის ნასახივ არ ჩანდა. მან-
ქანა არ იქოქებოდა და დაფიქრებული მძღოლი უაზროდ უყურებდა ძრავას. მირიანი
სიგარეტს ეწეოდა და არ უსმენდა ნესტანს, რომელიც გატაცებით ყვებოდა:

— თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რა საშინელებაც ვნახე! სულ სხვაა როცა კითხულობ,
კამპუჩიაში ხუთი მილიონი ამოწყვეტეს და ელემი! სადარა სანახები უდაბნოდ აქციესო.
მაგრამ როცა ამახ შენი თვალით უყურებ, უყურებ ამ უდაბნოებს, მიტოვებულ, მკვდარ
ქალაქებსა და სოფლებს — ეს რაღაც ენით აღუწერელი საშინელებაა. კამპუჩიაში მოგ-
ზაურობამ ბოლო მომიღო. ერთი ამერიკელი ჟურნალისტი ქალი, გვარა დამავიწყდა,
მთელი ქვეყნის გასაგონად გაჰყოლა, ასეთი საშინელება ხდებაო და აივანს უჩერებდა.
მე კი მგონია, სჭეროდათ, მაგრამ, არ იმჩნევდნენ: ვითომ ვერ ვხედავთო, სდუმდნენ!

— დიდი სიამოვნებით დავლევდი რამეს... — თქვა მირიანმა.



— სამწუხაროდ არა გვაქვს, — ხელები გაშალა ნესტანმა და მირიანს შეაკერდა. იგი კანკალებდა. — მანქანაში ჩავსხდეთ... ცივა.

ჩასხდნენ თუ არა, — ნესტანი — წინ, მირიანი — უკან, — შოფერმა შემანურს შემოყო ფანჯრიდან. ნესტანს გაეცინა.

— ბედი გქონია! — მძღოლმა ჰქია ც გამოიღო.

— გამაღოთ! — უთხრა შოფერს მირიანმა. შოფერმა რაღაც ჩაიბურტყუნა. მირიანმა ბოთლს ფრთხილად მოხსნა საცობი, ჰქიაში ჩაასხა და ნესტანს გაუწოდა. ნესტანმა მოსვა და ჰქია მირიანს დაუბრუნა. მირიანმა სულმოუთმენლად დაცალა ჰქია. ისევ აავსო.

— დაღევთ? — ჰკითხა მირიანმა შოფერს.

შოფერმა თავი ძრავიდან ამოყო, მრავლისმეტყველად შეხედა მირიანს და ისევ ჩაყო „ვეფხისტ ხახაში“.

ნესტანს თვალები გაშტერებოდა, რაღაცა სევდიან ფიქრს მოეცვა. მირიანმა კიდეც ერთი ჰქია დალია, მერე ბევრი არ უფიქრია, ბოთლი მოიყუდა. ცარიელი ბოთლი მირიანმა შორს ისროლა.

ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო.

ნესტანი შემობრუნდა და მირიანს ხელზე ხელი დაადო. მირიანმა თვალებში შეხედა ქალს და... ტუჩებში აკოცა. მათ დიხხანს არ მოუცილებიათ ტუჩები ერთმანეთისათვის. მერე მირიანი გადმოვიდა და გზატკეცილს გაუყვა. ნესტანმა ჯერ გახედა, მერე გადმოვიდა მანქანიდან და დაეწია.

— გამანებე თავი, — უთხრა ნესტანს მირიანმა, — ხომ ხედავ, მთვრალი ვარ.

მაგრამ ნესტანი მაინც მიჰყვებოდა.

— დიდ გორასთან რომ ვიყავით, არ გახსოვს? — ჰკითხა უცებ ნესტანმა.

— შენ იყავი? ახლა ბევრად უფრო ლამაზი ხარ, ვიდრე ათი წლის წინ.

— ასეც უნდა იყოს, ახლა არაფერი აღარ მაწუხებს: არც საქმე, არც...

— ნესტან, — მირიანმა მხარზე ხელი გადახვია, — დავითის ისტერიკამ ყველაფერი გადამაწუვებინა: აქაც დავრჩები, კელეპტრიშვილსაც მოვიშორებ და ნესვის გროვანაც გავმეფდები. — გადაიხარხარა მირიანმა, ნატო გაახსენდა.

— რა მოხდა, ნესვის გროვაშიც უპოვიათ მარგალიტები. — ნესტანი მირიანს აეკრა. მირიანი ისევ დააცხრა ქალის ტუჩებს.

მუხრუჭების ხმა გაისმა. მანქანასთან კახაბერი იდგა და ნესტანისაგან ხელდახელ მოშორებულ მირიანს ჯიუტად უცქერდა. ქალ-ვაჟი უჩუმრად ჩასხდნენ მანქანაში. ნესტანი ისევ — წინ, ვაჟები — უკან.

23 მამკომპარტი. 02.56. მანქანაში

— გაიცანით, ეს ჩემი მეგობარი გახლავთ, მარიკა აღშიზაია, — წარუდგინა კახაბერმა მძღოლი მგზავრებს. ეს იყო ორმოცდაათიოდე წლის ქალი. მას ნამძინარევი, გაავებული სახე ჰქონდა. „ადილასი“ სავარჯიშო კოსტიუმი ეცვა, უკეის ქუდი ეხურა. ამ უცნაურ ქულზე ლათინური ასოებით „ბოსი“ ეწერა.

— თქვენ რომ არა, მოვკლავდი ამ მამაძაღლს! რა ჰქუა უნდა მოჰკითხო ამას? მთელი კვირა რესპუბლიკური ოლიმპიადის უიურში ვიჯექი... გადავიღალდი... გამოვთავყვანდი! ღმერთო ჩემო, ძლივს დავიძინე... მაგრამ რას იზამ! ეს რატომღაც დარწმუნებულია, რომ ყველა უნდა ვემსახუროთ, ყველა, მთელი ქალაქი... წარმოიდგინეთ, ასე არის. ყველასათვის დიდი პატივია ამისი კაპრიზების შესრულება. რატომ, ბატონო, რატომ? აი ამაზე კი ვერავინ გიპასუხებთ! — და აღშიზაიამ კახაბერს შუბლზე წკაპურტა უთავაზა.

— შინ დავრეკე, — ჰქვა კახაბერმა, ჩვენი გამირისათვის არც შეუხედავს, — ის

უბედური უბედურებები ისევ გვიცდიან. რომ იცოდეთ, ყველაფერი ამ ტაიფუნს დაგაბრალდა და ლიოვა გაუფავენი... სასტუმროში ჩამოარიგებს იმ საწყლუმს და მერე პირდაპირ წავიდა.

23 მარტისათვის. 08.01. მეფეშვილი ზნაბაძე (მეოცე კილომეტრი)
რამდენიმე ცნობიდან

...გზის მუშები, ჭარისკაცები, სხვებიც — სამოქალაქო ტანსაცმელში. სასწრაფო დახმარების ზეცხანა, ამწები, — ყველა და ყველაფერი იდგა ხუთი მეტრის დიამეტრის ღრმულთან, რომელიც მეწყერის შედეგად წარმოშობილა. ღრმულს მეორე მხრიდან მიწით დატვირთული თვითმტელი მისდგომოდნენ, ორმო რომ ამოევსოთ, მაგრამ წინ „წიგლი“ იდგო. მანქანის გარშემო აღმანები ფუსფუსებდნენ. საკაცეზე წეწარგადა. ფარებული მსხვერპლი იწვა, მაგრამ ვერაფრით ვერ ამოქონდათ. რაიკომის მდივანმა, მოგორც იქნა, ამოათრია ტალახში ამოსვრილი ექსპერტი-ფოტოგრაფი.

— საშინელი სიკვდილია, საშინელი! — ამბობდა ფოტოგრაფი და აპარატის შალი-თას წმენდდა.

— შენი ზრით, გრუნტი გაუძღვებს? კიდევ ხომ არ ჩამოიქცევა?

— მდინარის მხრიდან ბეტონის კედელი თუ არ ამოვუყენეთ, ისე ორმოს ამოვსებდას ზრით არა აქვს, ასე ამბობს გზის ოსტატი.

— ვინ დალუპულა? — იკითხა კახაბერმა, რომელიც მირიანთან და მარიკასთან ერთად ძლივს იკვლევდა გზას ორმოსაკენ, ვიდრე რაიკომის მდივანი ფოტოგრაფს ელაპარაკებოდა.

— აი საბუთები, — თქვა ინსპექტორმა. — ღარჩია, გიორგი გიორგის ძე, დაზადებულ 1960 წელს ქალაქ ბათუმში.

— რა ახდგაზრდა! — ჩაიჭურჩულა მარიკამ. ქალები აქვითინდნენ.

— არ ვიცო, რა უნდა ექნა. ხვალ შაბათია, — სმამალა ფიქრობდა ბატონი ალექსანდრე. — მთავარი გზატკეცილია... დილისათვის აქ იმდენი მანქანა დაგროვდება, მტრისას!

— თუ ნებას მომცემთ, — თქვა კახაბერმა, — თქვენი მანქანიდან ავთოს დაფურცავ. დიდი-დიდი, ორი საათის შემდეგ ბეტონის ბლოკები იქნება. შინ თუ არ დამხვდა, ეაცი, ხალაქ უნდა ვეძებო!

— მიდი, კახაბერ, დაუჩქარე, რაღას უღვებარ!

კახაბერი გაიქცა, წერე უცებ მობრუნდა, მარიკას მიეჭრა და მირიანზე მიუთითა:

— ეს სასტუმროში წაიყვანე. მე, ალბათ, დავარები... ოღონდ ერთდღე ამ რეჟისორს. ჩემი ზრით, სექსუალური მანიაკი უნდა იყოს. — და გაქრა.


მირიანი რაიკომის მდივანს მიუახლოვდა. ბატონი ალექსანდრე გზის ინჟინერსა და ოსტატს ელაპარაკებოდა. რეჟისორმა მცირე პაუზით ისარგებლა:

— ალექსანდრე ნიკოლაევიჩ, მაპატიეთ, მაგრამ კახაბერს დაავიწყდა ეთქვა... ერთი სიტყვით, თანახმა ვარ.

— რაზე? — ვერ გაიგო რაიკომის მდივანმა, — აჰ, ხო, ხო! ესე იგი, თანახმა ხარ! ძალიან სამწუხაროა, ძალიან! რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, არ დათანხმდებოდი. — თქვა ბატონმა ალექსანდრემ და ისე, რომ არც კი შეუხედავს გაოგნებულ მირიანისათვის. ცნობისმოყვარეთა გჟუფი გაარღვია. — შეიძლება ხვალ გასინჯავს დამავიწყებდა. უჩემოდ დაიწყეთ. — და წავიდა. მირიანს მილიციელის ხმა ესმოდა:

— გაატარეთ, ფრთხილად... ფრთხილად!..

მირიანს თვალთ დაუხმებოდა. მერე ინსპექტორს პასპორტი გამოართვა და დალუპულის ფოტოს დახედა. ეს იყო ყმაწვილი კაცი, მხიარული, ცეცხლისმფრქვეველი თვალებით. პასპორტი დააბრუნა და მარიკას შეხედა. მარიკამ მოიხადა თავისი უცნაური ქული... ქალს თვალებზე ცრემლები ეკიდა.



მა-ქააში აკანკლებული ნესტანი იჭდა. მირიანი უკანა სავარძელზე დაჯდა.

— ალბათ, არ დამიჯერებთ... არ ვიცი, როგორ გითხრათ... მე კარგად ვიცნობდი ამ უბედურს... მამაჩემის უახლოესი მეგობრის შვილია... გოგი დარჩია... — გამოსცრა მირიანმა, — რა დღეა, რა უცნაური დღეა!

მირიანმა სიგარეტს მოუკიდა, მერე ძრავა ჩართო და მანქანა სწრაფად მოსწყვიტა ადგილს.

23 ოქტომბერი. 08.28. სსსტშმპრ „ინტურიტთან“

მირიანმა მადლობა გადაუხადა აღშობიას, დაემშვიდობა ნესტანსაც, რომელიც რაღაც იმედით შესცქეროდა ჩვენს გმირს, მაგრამ მირიანს არც შეუმჩნევია ეს მუდარი. ან გაშობედვა.

— ზედალ აუცილებლად ვიქნები თეატრში! — შიშობა ნესტანმა და მანქანაც დაიძრა.

28 ოქტომბერი. 08.28. სსსტშმპრ „ინტურიტში“.

მირიანი სსსტშმპრში შევიდა. მძინარე დარაჯს არც დაუნახავს, ისე გაიარა. ვესტიბიულში ეძინა იარ-კრავჩენოს ოჯახს: მამასა და ანას — დივანზე, მამას და ირინას — სავარძელში.

მირიანი აღმინისტრატორის მაგიდასთან მივიდა. ტარიელი რაღაცას კითხულობდა და ტირიდა.

— ა, მირიან ბატონო! აი ეს წიგნი მოგართვებს, ჩვენი კომპაგზირული ლიდერებს მანქანაში დაგრჩენიათ. — და მირიანს შექსპირი გაუწოდა. — ინგლისური იცით?

— ცოტა. — უპასუხა მირიანმა. — თქვენ რას კითხულობთ?

— ოხ, მირიან, თქვენ, ალბათ, წაკითხული გაქვთ: „ქარის წადებულნი“.

— არ წამიკითხავს, ფილმი ვნახე.

— რა ბედნიერი ხართ! წარმომიდგენია, რა კინო იქნება! ვაფიქსი ლი ჩემი საუცარე. ლი აქტრისაა!

— ჩემიც.

— ნატაშა მოიყვანეს. შვიდ საათზე გაფრინდება.

— ამინდი ისევ თუ გაუშუქდა?

— მანქანა მოაკითხავს. კახაბერმა უშოვნა. სამწუხაროდ, ზედა ლიოვას არა სცალია.

— ამ უბედური ოჯახისათვის ერთი ოთახი ვეღარ გამოინახა? — მირიანმა იარ-კრავჩენკოებზე მიუთითა.

— ვერა, მირიან, ვერა. ინტილოგების საკავშირო სიმპოზიუმში, ფრანგი მეღვინეები, რესპუბლიკური ოლიმპიადა — ყველანი აქ არიან!

— ნატაშა სადღაა?

— სარეზერვოში, 301, ლუქსში, — შეთქმულებით ჩუმად გაანდო ტარიელმა და აქეთ-იქით მოიხედა, — არავინ არ უნდა იცოდეს, თორემ ძალიან მოგვხვდება ყველას, მაგრამ კახაბერს უარს ვინ ეტყვის?! გვიძულა! თუმცე სამი საათი რა არის? რა უნდა მოხდეს სამ საათში, ისეთი ვინ ჩამოვა? დივანზე გავუშაღეთ, ლოგინში არც ჩავვიწვენია.

— უკაცრავად, თქვენ რა გქვიათ?

— მე? — იკითხა ტარიელმა და ამოიხიზრა. — ია! მაგრამ ვის ახსოვს ჩემი სახელი, შვილებიც ამ დევგმირის სახელს მემახიან, რაც ენა აიდგეს.

— დამე მშვიდობისა, ია! — თქვა მირიანმა და კიბეს აუყუა.

28 ოქტომბერი. 08.40. სსსტშმპრ „ინტურიტში“. 301 ნომერში

სართულის მორიგე ქალს ეძინა. მირიანი 301 ნომერთან მივიდა, კარს მიაწვა. კარი ღია აღმოჩნდა. მირიანი ნომერში შევიდა.

მოკუნტულ ნატაშას დივანზე ეძინა. ღამის ნათურა ენათ, მაგრამ ნატაშას დივანის ზურგისაკენ ექცია პირი და ამიტომაც სახე არ უჩანდა. მირიანმა წიგნი მაგიდაზე დადო და იქვე ჩამოკლა. ნატაშამ ძილში დაიკვნესა, გვერდი იცვალა. სახე გამოუჩნდა. თვალე-ბი დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ემჩნეოდა, არ ეძინა.

— მირიან, თქვენა ხართ?

მირიანი ხმას არ იღებდა. ნატაშამ ხელი გაუწოდა. მირიანმა დაიჩოქა და ხელის-გულზე აკოცა.

— თვალს არ გავახელო, თუ არ გეწყინებათ, — ჩუმად თქვა ქალმა, — ყველაფერა მესმის... — ცრემლები წამოუვიდა... მერე მირიანს კისერზე შემოხვია ორივე ხელი. მირიანმა ფრთხილად გადახადა ზეწარი და ქალის უმწეო სხეულს დახედა.

— მეც მესმის ყველაფერი... — ჩუმად უპასუხა მირიანმა, — მაგრამ... შენთან მინდა...

ნატაშა არ განძრეულა, მაგრამ თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, თითქოს გადადგა ის ძნელი, ტკივილითა და განცდებით სავსე ცოდვინი ნაბიჯი.

ერთად იწვნენ... თვალს არცერთი არ ახელდა, თითქოს ერთმანეთს ენათ აღუწერელ ტკივილს აყენებენო, ქალიც და კაციც ნელნელა ილტვოდნენ დასასრულისაკენ, თუმცა იცოდნენ, ეს დასასრული ორთავს უარეს წამებას მოუტანდა. მაგრამ მათ ისიც იცოდნენ, რომ ეს ბოლო, სულერთია, თავს მაინც დაადგებოდა, როგორც ბედისწერა, და ორივეს ცოდვილ სულს გააცამტვერებდა. ისინი ისწრაფოდნენ იმ წყვილადისაკენ, წყვილადისაკენ კი არა, ყოველთა გადამხუტავ ცილისაკენ. ისინი კვნესოდნენ, როგორც კვნესიან ხოლმე სულის ტკივილისაგან, რაღაცა ჩასაფრებულ შურისძიებას წინასწარ გრძნობენ, როცა გრძნობენ სამაგიეროს — აუცილებლად რომ ელით სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, ერთმანეთს თვლებში რომ შეხედავენ, და გამოფხიზლებულნი, არც თავს და არც ერთმანეთს არ აპატიებენ ამ ცოდვას, გრძნობათა ტორტმანს. და აი, დადგა ის წამი, უამი აფეთქებისა...

უნდა ამდგარიყვნენ, განშორებულიყვნენ. და ეს იყო მათი პირველი, თუმცა არც თუ მკაცრი სახველი. ორივეს ეგონა, რომ ვიღაც, ოთახის ბნელ კუთხეში შეუუუული, გვიყურებს და სულმოუთქმელად უცდის, რას ვიღონებთო. ნატაშამ თვალი გაახილა. მირიანი ისე ახლოს იყო, რომ ქალს თვლები დაუელამდა. მაგრამ მაინც მან, ქალმა, უშველა, ისე, როგორც დედა შვილის შვილს, ცოლი — ქმარს, საყვარელი — საყვარელს.

— ძალიან ცუდად ვარ, — ნაღლად იცრუა, — წყალი! დამალევინე.

და გაქრა ყველაფერი, შიშიც, ის ვიღაცა, ოთახის კუთხეში რომ იყო ჩასაფრებული და სადისტური განცხრომით რომ ელოდა შურისგებას.

23 მკტმგბარი. 05.20. 0333

ისინი ერთმანეთის პირისპირ ჩამოხსნდარიყვნენ უახტ ჩაეცვათ. თენდებოდა. ტარიელი ფეხაკრფით შემოვიდა და კარსაი გაეშვა.

ნატაშა წამოდგა, ჩემოდანი აიღო, კარისკენ გაეშურა, — შემდეგ შემობრუნდა გაზე-შებული მირიანისაკენ და თქვა:

— მეზოვლება, მეზოვლება თქვენი მხარე, მაგრამ ისე მიყვარს, ისე მიყვარს, რო-გორც არავინ და არაფერი ამ ქვეყნად! — და კარი მოიხურა.

24 მკტმგბარი. 05.26. 0333 „ინტუიციის“ მეოთხე სართულზე

— საოცარია, — ამბობდა ხართულის მორიგე ასია, — გაგონდება კაცი, თქვენი გასაღები არ არის. ალბათ, დაკეტვა დაგავიწყდათ, მირიან, გახალეები ნამდვილად ნომრას კარში დაგჩათ.

— მართალი ხარ, მიდი... მიდი, დალიე, ასეჩა. — ალერსიანად უთხრა შოთამ, ლა-
ილიებში შეუღიჯინა.

— რანაირი ხარ, ღმერთმანი! — შეცბა ასია და მირიანს შეშინებულმა შეხედა.

კარზე დააკაუნეს. ია-ტარიელი შემოვიდა, გაზეთში რაღაც შეფუთული ეჭირა.

— აბა, ბიჭებო, ერიდეთ, არ აფეთქდეს! — გაიცინა ტარიელმა და გაზეთი გადას-
ნა: იქ მართლაც ყველაფერი იყო, რაც კონიკს უხდებოდა. ტარიელი მაინც არ ცხრებოდა:
— ერთი, ორი, სამი! აჰ! — და შავიდაზე გაჩნდა ფანტასტიკურად ლამაზი ზოთლი „კურ-
ვუაზი“. — ფრანგებმა მაჩუქეს!

— ძალიანაც კარგი, ძალიან კარგი! — თქვა შოთამ, — ოღონდ, არ ვაცი, ჩვენს
სერობას რა ვუწოდო, რას მივუძღვნა: ჩემს მოხსნას თუ მირიანის დანიშვნას თქვენი
თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად.

ტარიელი წამსვე მიხვდა ყველაფერს. ასია კი რაღაცას ლაპარაკობდა და თან ხმაუ-
რით აწყოხდა მაგიდაზე თევზებსა და დანა-ჩანაგალს.

— ძალიან მიხარია, ძალიან მიხარია, შოთა... თუ გნებავთ, ხვალვე, პრემიერის შე-
მდეგ, ბანკეტის ბოლოს, დილაადრიან მოდით ჩემთან... ნახოს მირიანმა ასიას წამის
გემო!... რაშია საქმე? — ჩურჩულით იკითხა უცებ თვალცრემლიანი ტარიელის დანახ-
ვით შეშინებულმა.

— არაშადა ყოფილხარო! — დაუუვირა ტარიელმა მირიანს, — დიან, არაშადა და
უხინდისო! დავინახეთ, თუ არა, მაშინვე ვიგრძნის, მეზიზღებით! შოთა გინდათ მოგვი-
კლათ?

შოთა ჩუმად იდგა. ასიამ ვეღარ მოითმინა და იუვირა:

— გამაგებინეთ რაშია საქმე? მირიან, რა მოხდა?

მირიანი მშვიდად იყო.

— ისეთი არაფერი, ასია. შოთა გეორგევიჩს ხსნიან, პენსიაზე უშვებენ და თეატრის
დასისა და, რაიონული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მე მნიშნავენ. მეც დაეთან-
ხმდი. აი, სულ ეს არის!

მოულოდნელად, დაღეფული, საწყალი, სახედაკარგული შოთა მირიანს მიუბრუნდა:

— მირიან, ძალიან გთხოვ, გემუდარები, უარი უთხარი! ერთი წელი მაცალე. თუშ-
ცა, რას ვამბობ, ერთი სეზონი მაჩუქე. მოხუცი, მარტოხელა, ავადმყოფი კაცი ვარ...
შენი ცხოვრება კი ახლა იწყება. არ შემოძლია, ვერ ვიცხოვრებ ამ იდიოტების, უცარა-
ვად, თეატრის გარეშე! თქვენ ხომ კეთილი კაცი ხართ, დამამთავრებინეთ ეს სეზონი!
გინდა, ალექსანდრ ნიკოლაევიჩთან ერთად შვიდეთ და მოვილაპარაკოთ... რაიმეს აუცი-
ლებლად მოვიფიქრებთ. მსახიობების კეთილი გულის ამბავი ხომ იცით, გაგვიგებენ!
თუ საჭიროა, ბოდიშს მოვუხდით მთელ დასს... თუ საჭიროა, თუ რაიმე დავუშავებ... სე-
ზონის ბოლოს კი დავწერ განცხადებას და წავალ! აი, ნახავთ... წავალ! ან ხსნა რაიმეს
ვოვოვნი. ბერიძე რა ხანია მეხვეწება, ერთი სპექტაკლი მაინც დამიდგო. აქამდე პრინცი-
პების გამო არ ვთანხმდებოდი, ახლა კი დავუდგამ! ოღონდ ახლა დამაცადეთ, მირიან.
უარი თქვით... თქვენ ყველაფერს მოასწრებთ... ოღონდ ახლა დამაცადეთ, მირიან. უარი
თქვით... ახე რატომ ჩქარობთ, რატომ?

მირიანი უცქერდა შოთას, მას გულწრფელად ეცოდებოდა ეს მოხუცი მსახიობი და
თანაც გული ერეოდა ამ დამამცირებელი სცენის შემყურეს. ბოლოს, ვეღარ მოითმინა:

— გაჩუმდით, ბოლოსდაბოლოს, რა მოგივიდათ! ვითომ მაშა აბრამის ბატონი
იყო, უცოდველი ზვარაკი. სულ არ მეცოდებით! აბა, გაიხსენეთ, რამდენი ბედი და-
მახინჯეთ, რამდენი სული დაასამარეთ, რამდენი ნიჭი დამარხეთ, რა ზიანი მიყენეთ
თეატრს? თუ შეიძლება, ჩამოიხსენით უბედური ღირის ნილაბი. უმადური შვილები კი
არა, ღირსეულად გაგდებენ. ყველაფრისათვის უნდა აგოთ პასუხი! ასეთი წესია! დადვა

უამი, თქვენც იგრძენით, რა არის კანონიერი შურიძიება! და ნუ მიუყრებით ისე, որა-
ქოს მკვლელი ვიყო! — უყვირა მირიანმა ასიასა და ტარიელს, — ამან რახანია დაიღუპა
თავი; პროვინციულ დიქტატორად იქცა! როგორ არა გრცხვენიათ, როგორ არ გრცხვე-
ნიათ, ბატონო შოთა!

მირიანი გაჩუმდა, გაფთრებული შოთა გაუნძრევლად იჯდა სკამზე, ოფლში გაწუ-
წულიყო და უაზროდ ფურცლავდა ძველებურადიან დიდ წიგნს. უხერხული სიჩუმე
ჩამოედგა 401-ე ნომერში. ია-ტარიელს ცრემლი შეაშრა, არაფრისმთქმელი თვალები გა-
შტერებოდა. კედელსაკრულ ასიას თვალის განგება არ უნდოდა.

უცებ კარი გაიღო. ოთახში გამოჩნული ნაბიჯებით შემოიღადნენ ჩონიანი კაცები.
ისინი გამწყრივდნენ ჩვენი ოთხეულის წინ, ხელები ხანჯლებზე შემოიწყეს. თავში მდგო-
მმა ხანშისესულმა მამაკაცმა სხვებისათვის შეუმჩნევლად სამ ხმაზე წაიღიღინა და გაი-
სმა უღამაზესი „მრავალუამიერი“.

კარში გამოჩნდა ცისფერკაბიანი გოგონა (ფრანგებს რომ ახლდა, ის გიდი). გოგონას
თავზე მინდვრის ფელური ყვავილებიდან დაწნული გვირგვინი ედგა. უცნაურად იღიმე-
ბოდა. გოგონა ვოკალური ანსამბლის შუაში ჩადგა:

— ცისა ფერს,
ღურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს,
სიყრმიდან შევსტრფოდი...

ღიას, მეგობრებო, დღეს კიდევ ერთი წელი შემემატა... ძალიან ბევრი წლისა გავნ-
დი! მომიღოცეთ, გაიცანით, ეს ტოლიც ტყეებუჩავა. ჩემი ბიძაშვილი. ეს გრძელი კაბა
კი, რომელსაც ჩვენი დიდი დედის დედა ხმარობდა, დედამისმა, — ბიცოლა ნანუღიმი
მაჩუქა.

ძალიან ღამაში ქართველი ქაბუკი ტოლიც ტყეებუჩავა შიგ კარში იდგა. მან ქედი
მოიხარა და მარჯვენა მკერდზე შედიღურად მიიღო, თან მარჯვენა ფეხი მარცხენაზე
გადაიჭვარდინა. გუნდი კი ისევ მღეროდა.

— ჩემი ბიძაშვილიც მისალოცია: დღეს მისმა ანსამბლმა „მარტივლმა“ რესპუბლი-
კურ ოლიმპიადაზე პირველი პრემია მიიღო.

ჩვენი ოთხეული დაბნეული უსმენდა სტუმრებს, რადგანაც ფიქრებისა და ემოცი-
ებისგან თავი ჭერაც ვერ დაეღწიათ. მათ რაღაც ჩაიბურტყუნეს. მაშინ წინ წამოდგა
თავაზიანი ტყეებუჩავა.

— ძალიან გაბოვო ყველას, დავდეთ პატივი და ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ
ქალაქკარეთ... გვინდა ჩვენი ძვირფასი თამარს დაბადების დღე აღვნიშნოთ... სულ რამ-
დენიმე საათით... თანაც ჩვენი გამარჯვებაც ვიზეიმოთ.

სიჩუმე.

— ფრიალ ისამოვნებთ. ასეთი ადგილი მთელს დუნიასზე არ მოიძებნება. — ველ-
რებით დასძინა თამარმა.

— დიდი სიამოვნებით წამოვალ. — თქვა მირიანმა. — ოღონდ, მხოლოდ მე, რა-
დგან ჩემს მეგობრებს დღეს გადაუღებელი საქმე აქვთ.

— სამწუხაროა, — თქვა ტოლიც ტყეებუჩავამ, — მოგვითცევით...

სიმღერაც დამთავრდა, თითქოს ზუსტად ამ სცენისათვის იყო გაანგარიშებული.

— ერთი წუთით. ერთი წუთით — მოულოდნელად წარმოთქვა შოთა კელეპტრიშ-
ვილმა ფრანგულად, — ბოდიშს გიხდით, თამარ, მაგრამ, სამწუხაროდ, თან მეტი არა-
ფერი მაქვს. გქონდით ჩემგან... სახსოვრად. — და ჩიბიდან ძალიან ღამაში კალამი ამო-
იღო. კალამზე ეიფელის კოშკი ეხატა. თამარიც გადაირია.

— მერსი, — უპასუხა თამარმა, — ძალიან ვწუხვარ, რომ არ მობრძანდებით, სან ვამდის.

ანსამბლი, ტოლიკა, თამარი და მირიანი დამშვიდობნენ შოთას, ასიასა და ტარიელს და გავიდნენ.

გულისგამაწვრილებელი სიჩუმე ჩამოდგა ნომერში.

შოთამ ქალებს შეხედა, გაიღიმა და თქვა:

— საშინლად მოვიქციე, მაგრამ, ვიმედოვნებ, თქვენ მაინც მპატიებთ.

— არა, არა და არა! — იყვირა ტარიელმა. — მე არ გაპატიებთ! უფრო ძლიერი მეგონეთი თქვენ იმედი გამიცრუეთ. — ის უკვე კართან იდგა. — და არ არის საჭირო შებრძოლება! წადით! წადით ღირსეულად, მამაცურად, როგორც საჭიროა, უფრო სწორად, როგორც რეჟისორ შოთა კელეტრიშვილს ეკადრება! — ია-ტარიელი ოთახიდან გავიდა.

ასიამ არ იცოდა, რა ექნა, ერთხანს დუმდა, მერე წარმოთქვა:

— შოთა, ხაშუე მაინც მობრძანდით..., ყველანი... ოი, რას ვამბობ! თქვენ, მხოლოდ თქვენ... — და გავიდა.

შოთა ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრიდან კარგად ჩანდა, ჩვენი ნაცნობები სიცილ-კისკისით როგორ სხდებოდნენ მანქანებში. შოთას საზარელი სახე ჰქონდა.

— „ცხენი! მთელ სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!“ — დაიგუგუნა მან და გადაიხარხარა.

28 ოქტომბერი. 06.49. წმინდა სამების ეკლესიის შემოგარენი

შორს ისმოდა სამების ეკლესიის ზარების ხმა, მშვიდი, სევდისმომგვრელი. უცნობი გენიოსის აგებული ეკლესია და ამ შენობისათვის ამორჩეული ადგილი (თითქოს პუნებას მთების შუაგულში საგანგებოდ მოუყავებიაო) ერთდროულად შვებასა და სიმშვიდეს გვცრიდა და განცვიფრებდა.

ზარებს თამარი რეკდა. მას სერიოზული, მრავლისმეტყველი და შეუფოთებული სახე ჰქონდა. გრძელი მაგიდის გარშემო მსხდომნი სამრეკლოს ისე უმზერდნენ, ყურს ისე უგდებდნენ ზარების წყრიალს, ისე გასუსულაყვნენ, თითქოს თავიანთ ღრმა ფიქრებში იტანჯებოდნენ, მაგრამ ეს თითქოს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა ასე... სინამდვილეში, ისინი — უკვე მთვრალეები — ძილის სურვილს გამოეთაყვანებინა და ამიტომ გარინდულიყვნენ.

იარ-კრავჩენკო, ბავშვებითა და ატაცებული მძინარე ირინათი, ეკლესიას უახლოვდებოდა.

საოცრება ხდებოდა ირგვლივ დილაღრიან: ნისლი აქა-იქ შემორჩენილიყო, მზე ჯერ არ ამოსულიყო, ჩიტები არ გალობდნენ, სიოც არ იძვროდა. მაგიდის გარშემოც სიწყნარე სუფევდა. მაგიდა კი მართლაც მოგეწონებოდათ. საქართველო რომ კარგად იცოდა, იმ მხატვრის დახატულ ულამაშეს ნატურმორტს ჰგავდა სუფრა. ეს იყო შემოდგომის ნატურმორტი კვამლისა და ბროწეულის სუნით გაუღენთილი, უხეშიცა და ნაზიც ერთდროულად.

მირიანი ძეგლის მცველის სახლისაკენ გაემართა.

შინ არავინ იყო. მირიანმა მძინარე ბიჭუნა დაინახა. საოცარმა გრძნობამ ალავსო მირიანი, დიდხანს უტყერდა ამ სამაშულე რკას, დავაჟაცებას რომ ჩქარობდა, ამქვეყნიურ აბოპოქრიზულ ზღვაში გადასაშვებად. მირიანი ეზოში გამოვიდა და რაღაც შენობის კარი შეადო. ეს ბოსელი ყოფილა. თავსაფრიანი დედაკაცი დაკოჟრილი ხელებით ძროხას წველიდა. დედაბერი მირიანს მიესალმა. მირიანმა რაღაც ჰკითხა. დედაბერმაც უპა-

სუხა. მირიანმა ბუხრიდან გასაღები აიღო, კარი ფრთხილად გამოიხურა და ეკლესიისკენ გაეშურა. გუმბათს უკვე ანათებდა მზის პირველი სხივები.

ძლივს, ქრიალით გაიხსნა ეკლესიის რკინით აკედილი კარი. მტრედების ლულუნი იხმოდა. მირიანმა შეხედა: განრისხებულ ქრისტეს ხელები გაეშალა. ქვემოთ მისი ცხოვრება იყო აღწერილი: შობიდან ჭვარცმამაღლებამდე.

რაღაც მოესმა. შემობრუნდა. კარის ღირეზე ამოშავალი მზის სხივებში გოგონა იდგა. მირიანი მისკენ წავიდა, მაგრამ გოგონამ იცნო ის ძია, გუშინ აეროდრომზე რომ წახა (ირინა ყოფილა!) და გაიქცა.

ზარს ისევ რეკდნენ. იარ-კრავჩენკო იჭდა და ხატავდა. ძროხები საძოვარზე მიიზლაზნებოდნენ. მოქიფეთ „შენ ხარ ვენახი“ აღმოხდათ უნებურად. მირიანს ისევ მოესმა რაღაც ხმაური. ახლა უკვე ეკლესიიდან მობრუნდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, რადგანაც მზემ დააბრმავა. ეკლესიაში შევიდა, თვალი სიბნელეს მიეჩვია და მირიანმა ცხადად დაინახა სილუეტები. შებორძიდა. მართალია, მთვრალი იყო, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ერევნებოდა. ყველანი მისკენ შემობრუნდნენ, კეთილად უღიმოდნენ, თითქოს ამხნევებდნენ, ეალერსებოდნენ... აქ იყვნენ მირიანის დედ-მამაც, დიდი და პატარა გოგიც, ნინო, მანესტრო თავისი წიგნით, ტარიელი, ნესტანი, შალვა, ნატო, ქეთო და ნატაშა, კახაბერა — ერთი სიტყვით, ყველა. მირიანი შეშინდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან, კარის ღირეს ფეხი წამოსდო და მოცუელივით დაეცა.

შეცა იყო კრიალა, კრიალა! არც ნისლი, არც ღრუბელი! სიჩუმე, ზარიც დადუმებულიყო.

ღირიუღი წიგნცვლა

რა მშვენიერია თეატრი პრემიერის დღეს!

შესასვლელთან მაყურებლები შეგროვილან. ყოველდღიურობის მძიმე ტვირთი აღარც ახსოვთ. ყველანი ლამაზები არიან და გემოვნებით აცვიათ. აღელვებული უბილეთოები აქეთ-იქით დარბიან და ბედნიერებს, ამ დღის დეფიციტური ქაღალდის ნაგლეჯი რომ უჭირავთ, შურით შესცქერიან. განუუმეორებელია. რჩეულთა ჯგუფი კი რაღაცაზე მზიარულად იცინის, ქალაქის ქორებს უზიარებენ ერთმანეთს და არც თეატრალური ინტერესები ავიწყლებათ. დღეს ისინი განსაკუთრებულ საზოგადოებად არიან გაერთიანებულინი. ისინი ველარ ამჩნევენ ამ უბედურ უბილეთოებს, არაფრისმთქმელი ღიმილით ეუბნებიან, არაო, გულისგამაწვრილებელ და უტვინო შეკითხვაზე — „შემთხვევით შედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთო?“ („შემთხვევით არა, ის არ გინდა? — გაგაგოებენ ეს პლემბები!“), „პლემბები“ კი, უკიდურესად შეწუხებულინი და აფორიაქებულინი, აღმინისტრატორს ეძებენ. წინდახედულ ადმინისტრატორს საიმედოდ ჩაურაზავს თავისი სარკმელი და თეატრში დამალულა. ხანდახან გაისმის უბილეთოთა განწირული ყვირილი. ალბათ, ნაცნობ მსახიობს ან თეატრის მუშაკს თუ მოჭკრეს თვალი, მაგრამ... სახელოაწეული ხელოვნების მუშაკნი სწრაფად უჩინარდებიან იმ კარში, რომელსაც უღმობლად აწერია: „გარეშე პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია“. ხალხი ნელ-ნელა იცდება: მესამე ზარი გაისმა. ამ წამებში უბილეთოთა და მეგობრის ან საყვარელი ადამიანის მელოდინეთა რისხვა მძაფრდება. ქუჩაში რჩებიან ძალზე ცოტანი, უკიდურესად უბედურნი, იმედდაკარგულნი. და ბოლოს, უკანასკნელი დაგვიანებული ბილეთებიაწები ტაიფუნით ჩაიქროლებენ და საბოლოო განაჩენს გამოუტანენ წამით იმედგასასულ უბილეთოებს, რომლებიც ურიგდებიან დამარცხებასა და სულიერ ტანჯვას. ყველაფერი გათავდა! სპექტაკლი დაიწყო... (დღეს უბილეთოები მესაზღვრეებს ჰგავნან, ყოველთვის მზად რომ არიან გმირული სიკვდილით დაეცნენ უთანასწორო ბრძოლაში). — ისინი ღირსეული და მედიდური იერით შორდებიან კარებს. ამის შემდეგ პრემიერაზე ოცნებაც

არ ღირს! უბალიყო „მღებებში“ მცირერიცხოვანი ჩვეულებრივობა. წოგი აღმა მიდის და ზოგი დაღმა. ნეტავ საათ გაუწევიათ? რომ ჰკითხოთ, მაინც ვერ გიპასუხებენ. რეგულირებული, ნაწყენი, ხელმოცარული და დაბნელებული არიან ამ ღრის.

23 ოქტომბერი. 1938. კამონუმი ცენტრის თეატრი

მიუხედავად იმისა, რომ არსად, არცერთ თეატრში პრემიერას დღის 11 საათზე არ თამაშობენ, ათი საათისათვის რაიონული ცენტრის თეატრის შენობის წინ მთელი ქალაქი იდგა. ყველამ იცოდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ ბრძანება ბრძანება და მოსაწვევის გარეშე თეატრში არავის არ უშვებდნენ, პარათები კი არც დაურიგებიათ და არც დაუგზავნიათ. ღირექცია კაბინეტში იმალებოდა და ტელეფონის ყურმილს არავინ ეყარებოდა. თერამეტი საათისათვის მდგომარეობა საგანგაშო ვახდა.

— თეატრს დაგინგრევინ! — ნიკო დარწმუნებულიყო იყო ამაში.

ამ ღრის შემოიჭრა უფროსი კაპელმანერი და დაიჩურჩულა:

— შედინტიტუმი! სტუდენტებმა გაარღვიეს შავთავაშვილი და კუბრეცა და მთელი იარუსი დაიკავეს!

ღირექტორ-განმკარგულებელმა თავში ხელი შემოიჭრა: მოულოდნელად ბრახუნი გაისმა. ზედ ჭერთან რომ ფანჯარა იყო, იქედან მოჩანდა მოქალაქეთა დაძაბული სახეები. ისინი გაშვიროდნენ: შემოგვიშვითო! დარეკა მთავრობის ტელეფონმა. ღირექტორ-განმკარგულებელმა ნიკომ იქ მყოფთ ცალი ხელით ანიშნა, გაჩუმდითო, და მეორეთი ყურმილი აიღო.

— დავილუბეთ, — თქვა ნიკომ, როცა ყურმილი დადო, — ალექსანდრ ნიკოლაევიჩი წამოსულა! რა ვქნათ? ამ ხალხზე რას იტყვის?

— უნდა შემოუშვას ადმინისტრატორმა.

— არავითარ შემთხვევაში! ახლავ ნინა ტიმოფეევასთან დავრეკავ და რჩევას ვკითხავ. — ნიკომ ნომერი აკრია.

— ნიკო, ნუ იზამ მაგას! შეეშინდება და... — ეხვეწებოდა ადმინისტრატორი, — შემოვუშვათ ეს ხალხი. დიდი-დიდი გაგვთათბონ, ხომ ვერ მოგვხსნისა?

ხალაქი მინის მტკრევა და შეძახილები გაისმა.

— შემოუშვით! ჩქარა! — შეშინდა ნიკო.

მაგრამ უკვე გვიან იყო.

პარტერში უკვე შემოიბრუნნენ მაყურებლები, ერთმანეთს ხმამაღლა უყვიროდნენ, ნაცნობ-მეგობრებს ადგილებს უკავებდნენ. აღელვებული, მაგრამ კმაყოფილი კაპელმანერები პარტერში დარბოდნენ და ანთავისუფლებიანებდნენ მათე რიგს, რომელიც საბატონო სტუმრებისათვის იყო გამოიწველი. სცენაზე კი, ვარდის უკან, მსახიობები მოგროვილიყვნენ და ხვრელიდან პარტერს გამოიყურებდნენ.

— გიორგამე, სად არის მირიანი? — იყვრა აბესალომმა. ყველა გიორგამეს მოუბრუნდა

— არ ვიცი... არავინ არ იცის...

— მოსულიყო... არ არის იდიოტი?

აბესალომი კულისებში შევარდა... იქიდან უკვე მორბოდა „შეშინებლობის უფროსი“ — მესხი, რომელსაც სქელლინზიანი ქალი მოჰყვებოდა. მესხი ყვიროდა:

— ჯანდაბას, ეგ მირიანია თუ ვილაქ! ხომ დავთანხმდა! საკმარისია! ახლა ჩვენთვის აუცილებელია, შოთა გვყავდეს პარტერში. უკელმეტრისეილიოდ ჩემი გამოსვლის გეგმა იფუშება! იმის გარეშე ვერ დავიწყებთ.

— ვახტანგ, ვახტანგ! — ყვიროდა სქელლინზიანი, — გაჩერდი! კელმეტრისეილის შინ ღამე არ გაუთვლია. მეზობელმა მიიხრა.

— ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ? — იყვირა აბესალოში და უცებ ყველა გაჩვენდა. ჯერ
ღას ერთდროულად საშინელმა აზრმა გაუელვა თავში...

მაგრამ შემოვარდა ადმინისტრატორი.

— ალექსანდრე ნიკოლაევიჩი მობრძანდა! სამ წუთში დავიწყებთ!

დარბაზში, დირექტორ-განმარკულებელ ნიკოს თანხლებით, მოდიოდა ალექსანდრე
ნიკოლაევიჩი. მათ უკან მოჰყვებოდნენ: ნინა ტიმოფეევანა, ნუკარი ყიფიანი და კიდევ
რამდენიმე კაცი. ისინი აქეთ-იქით ესალმებოდნენ მაყურებლებს: ქალაქი პატარაა და
ყველა ერთმანეთს იცნობს.

სტუმარები მეთექვსმეტე რიგში დასხდნენ. ნიკო სასწრაფოდ გამოვიდა პარტერიდან.

— არ შეგვიძლია, ვერ დავიწყებთ! — ეუბნება აბესალოში დაბნეულ ადმინისტრა-
ტორს. — ჩვენი ჩანაფიქრი რომ არც გვეკონდეს, ურევისოროდ მაინც ვერ დავიწყებდით.
გასაგებია?

— ნიკო ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა.

— დავიწყეთ!

— სანამ შოთა არ მოვა, არ დავიწყებთ!

— დავიწყეთ! გესმით? ეს ბრძანება! — იყვირა შემწარვეი ხმით ნიკომ.

— კელებტრიშვილი სანამ არ მოვა, არ დავიწყებთ! — ჯიუტად თქვა მესხმა.

— მაინც ალექსანდრე ნიკოლაევიჩს ვეტყვი... — სცადა არტისტების შეშინება ნიკომ.

— უთხარი! სანამ შოთას არ იპოვნო, არ დავიწყებთ!

— ბიჭო, მომხსნის, გესმის, მომხსნის! — თავი შეაფარდა ნიკომ.

— შენ ისედაც მოგხსნის! — თქვა მესხმა. — ახლავე მოიყვანეთ კელებტრიშვილი:
ხალ დაშალეთ? უკვე გვიან არის. მაგის საქმე გადაწყვეტილია!

— მოვიდა!! — იღრიალა ვიღაცამ.

პარტერი... ცენტრალურ გასასვლელში მოდიოდა შოთა კელებტრიშვილი, დარბაზი
გაიხუთა. ყველა შოთას უცქერდა ის კი — მშვიდი და წყნარი, შავ კოსტიუმში გამო-
ჩანებული, შავი ბაბთით ქათქათა პერანგზე. არაჩვეულებრივად ლამაზი, მაღალი, — მსუ-
ბუქად და მოზღენილად მოაბიჯებდა. გრძელი თეთრი თმები კეთილშობილ ვაჟკაცის სა-
ხეზე ჩამოჰყაროდა მუწათა მსახურს.

გამხდარი, ახალგაზრდულად შემოსული შოთა, ღიმილით მოადგა ავანსცენას, შე-
მოწონდა, თავი ოდნავ დაუკრა მაყურებლით სავსე დარბაზს:

— ყველას, პირველი რიგიდან მეშვიდე რიგის ჩათვლით, გთხოვთ, ბენუარის ლო-
ქებში გადაბრძანდეთ... დიდ ბოდიშს კი გიხდით, მაგრამ დღეს პრემიერა არ გახლავთ.
თეატრის მრავალსაუკუნოვანი წესების მიხედვით გენერალურ რეპერტიციანზე სცენასთან
ახლოს ჯდომა, რეჟისორის გარდა, ყველას ეკრძალება.

კაპელდინერებმა ხმაურით გააღეს ლოქები და მაყურებელიც, კელებტრიშვილის
დახვეწილი მანერებითა და არაჩვეულებრივი თავდაქერით გაოგნებული, მორჩილად
გადავიდა ბენუარში.

ის კი ხაზგასმული თავაზიანობით უკვე მეთექვსმეტე რიგს მიმართავდა:

— ალექსანდრე ნიკოლაევიჩ, უპაცრავად, ჩვენ მზად გახლავართ. უკვე შეიძლება
დაიწყოს თუ ჯერ არა?

ალექსანდრე შეცბა. მაგრამ მალე აუღო ადლო სიტუაციას.

— ჩვენც მზად გახლავართ. ასე რომ, შოთა გეორგევიჩ, როცა გნებავთ, დაიწყეთ.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ალექსანდრე ნიკოლაევიჩ! თქვენის ნებართვით,
დავიწყებთ. — თქვა თავაზიანი ღიმილით შოთამ და სცენისკენ შებრუნდა: — ღენა!

გამოიხედა შეშინებულმა ღენამ. მკვდრისფერი ედო სახეზე. შოთა მესამე რიგში
ჩამოჯდა, გასასვლელთან.

... ჩემო ლენა, დავიწყოთ... წარმატებას გისურვებთ... ყველას.

განსა ბახის მელიოლია. დარბაზში ნელ-ნელა ჩაქრა სინათლე. სპექტაკლი დაიწყო.

23 ოპტომბერი. 12.57. რაინოშული ცენტრის შუჩა

იხევ გაწვიმდა. მირიანი დაცარიელებულ ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა. უკვე თავით ფეხებამდე დასველებულიყო და სადმე შეფარებას აზრი აღარა ჰქონდა. ქალაქის ბაღთან აფიშას წააწყდა. საღებავი ჩამოშლილიყო, მაგრამ მაინც გააჩრია:

მხოლოდ ორი კვირით! მხოლოდ ორი კვირით!

მოდრავი სამხეცე! პირველად ჩვენს ქალაქში!

ბილეთის ფასი ოცი კაპიკი.

ბილეთის ჯიხურში დაღლილი სქელი ქალი იჯდა და პომიდორსა და პურს გემრიელად შეეჭცოდა. მირიანმა მანეთიანი გაუწოდა. ქალმა ისე შემოხედა, ისე წაიფრუტუნა და ისე გააქნია თავი, რომ მირიანს შერცხვა და უბილეთოდ შევიდა.

23 ოპტომბერი. 13.00. მოძრაში სახმეც

...ეს საცოდაობა იყო. ბორბლებიანი გალიები! ეტუობა, ეს ზოობარკი ქალაქიდან ქალაქში დადიოდა და უჩვენებდა დაბერებულ, ჩამოწერილ მხეცებს: ლომებს, მგლებს, დათვებსა და სხვებს — ასე თორმეტი ცალი თუ იქნებოდა! ვოლიერებზე ეკიდა გალიათა მფლობელების სურათები და იქვე მათი ცხოვრების შესახებაც ეწერა წვრილად. ასეთი დამთავრებული სურათი მირიანს ჯერ არ ენახა: გაწუწული, მშვიდი, ბებერი მხეცები ჩუმად იწვნენ წვიმაში და არც ინძრეოდნენ — მათთვის ყველაფერი სუფერით იყო. მხოლოდ გაქუცული მაიმუნი, სხეულზე გულისამრევი წყლულები რომ ეყარა, იმედინად შესცქეროდა მირიანს ხელებში, ეგებ რაიმე მაქამოსო, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა და ისევ ჩაქინდრა თავი. მირიანი უყურებდა ცხოველებს და სევდიანად იღიმებოდა.

თითქმის მიწიდან ამოძვრავო, მირიანს გვერდით ამოუდგა დაბალი, თითქმის ქონდრისკაცი, ის ურეკას მიაგორებდა. ასეთ ურეკაზე მშენებლობის აგურს და ღორს ეხილებიან ზოლმე. მას კი მონაცრისფრო-მოყავისფრო ხორცი მოჰქონდა. ქონდრისკაცის სახე ერთდროულად დაბერებული და ახალგაზრდულიც იყო. ასევე ასაკითაც როგორც ყველა ჯუჯა, ორიდან ხუთათასამდე წლის შეიძლება გავნებოდეთ.

ცხოველები აღელდნენ, აფორიაქდნენ, ამოძრავდნენ. ქონდრისკაცმა დაიწყო.

— ჩემო კარგებო, ჩემო საცოდავებო, მოდი, მოდი თქვენს გაიძვრა ძია ფოლკერტთან. ხორცი, ჩემო სანგაპურ, როგორც იქნა, ვიშოვნე. მართალია, არც ისე კარგია, რისთვისაც წინასწარ ბოდიშს გიხდი, — და ქონდრისკაცმა ვეფხვ სანგაპურს ჯერ დაუდგენელი პირუტყვის მთელი ფეხი შეუგდო.

საიდანაც გამოჩნდა ქალიც. ქონდრისკაცის ცოლი, თივით დატვირთულ ორთვალას მოათრევდა. ორთვალას უკნიდან მოღარე აწევებოდა, თივის გროვის გარდა, ორთვალაზე კომბოსტო და სტაფილო ეყარა. ქონდრისკაცი კი განაგრძობდა:

— აი, ჩემო მუსტანგ, თივა! ინებე. მართალია, ამ გაუთავებელ წვიმებისაგან ცოტა სველია, მაგრამ სამაგიეროდ, ღეჭვა გაგიოოდება და არც წყლის დასაღვეად დაჰპარავდროს. მიდი, დასცხე! — მირიანს უნდოდა სადღაც ჩამძვრალიყო, რადგანაც, გრძნობდა, საკმაოდ ინტიმურ სცენას უქცერდა. ამასობაში, ქონდრისკაცი ლომს მიაღდა.

— შენ კი, კონგ, ლიზა დეიდამ ვერ მოგისწრო ფარში. მაგრამ არაუშავს. ეს ხორცი იმდენ ხანს ბეგვა, დაუღუქავად შეგიძლია ყლაპო. — აქ ქონდრისკაცმა მირიანი დაინახა.

— პინოკიო, ძვირფასო პინოკიო, ვიცი, გრცხვენია უცხო ბიძისი, ეგეთი მუწუხები რომ გაყრია, მაგრამ რა ჩვენი ბრალია! რამდენჯერ უნდა ვითხრათ ერთიდაიგივე მე და დედიკო ლიზამაც: ნუ ჭამ ამ კონფეტებს! ნუ ჭამ! მაგრამ არ გესმის და რა ვქნათ! ხელაუ,

დაფა ისევ მოუგლეჯიათ. ძირს დაგდებულ დაფაზე ეწერა: „უმორჩილებად გასოვთ, აკმევთ მაიმუნს შოკოლადს, აღერგია აქვს. ღირეკცია“.

ქონდრისკაცი ვერ სწვდებოდა დაუანგულ ლურსმანს, დაფა ისევ რომ დაეკრდა და მირიანმაც დრო ისელთა:

— უკაცრავად, ვისთან მაქვს პატივი გაცნობისა? — ჰკითხა ჯუჯამ, როცა მირიანმა დაფა დაკიდა.

— მირიან მიქელაძე, არქიტექტორი. — ფოლკერტ ჩურლიონისი, სტაეროპოლის ფილარმონიის მოძრავი სამხეტეს ღირეკტორი... ჩემი მეუღლე ღიზა და ჩემი დაიკო — გაბრიელა. ჩვენ, შინაურები, უბრალოდ გაბის ვეძახით.

მირიანმა დიდი პატივისცემით ჩამოართვა ხელი სამივეს.

წვიმა, როგორც ყოველთვის, უცებ შეწყდა. ცაზე, ვითომ არც უწყვიმიო, მზე ჩახ-ჩახებდა.

— გიყვართ ცხოველები? — იკითხა ქონდრისკაცმა და პასუხს არ დაუცადა. — თუმცა ვინ იტყვის, არ მიყვარსო. ახლა ეს ისე მოღაშია! მაგრამ ისიც უნდა ვითხრათ, რომ მხოლოდ პირუტყვებთან მიმართებაში ირკვევა, რა მხეციც ყოფილა თავად ადამიანი. თქვენ, ალბათ, წაგიკითხავთ: წყლის დასალევად რომ მიდიან, ცხოველები ერთმანეთს არ ერჩიან. ისინი მშვიდად და აუღელვებლად ემორჩილებიან ვიღაცის მიერ შედგენილ განრიგს: ანტილოპები, შემდეგ ლომების ჯერია, ლომების შემდეგ — სპილოებისა. სპილოებს ავაზები მოჰყვებიან და ასე შემდეგ — ყოველგვარი სისხლისღვრისა და ბრძოლის გარეშე; მშვიდად, გრაფიკის დაცვით, ურიგოდაც არავინ მიძვრება. ხანძრისა და სხვა სტიქიური უბედურების დროს ღმერთმა მოგცეთ ისეთი შეგნებულობა და ორგანიზებულობა: ერთმანეთს შველიან კიდევ... არა, ჩემო კარგო. არა, — გერმანული ნეოკლასიკური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი პესიმისმით განაგრძო ფოლკერტ ჩურლიონისმა, — არა, გეთყუა, ჩვენისთანა მხეცები დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება. ერთ ხანს ფილარმონიის მესამარედ ემუშაობდი. ერთი მოსკოველი ინსტრუქტორი გვიკითხავდა ლექცებს. თურმე, ნუ იტყვი, თეატრებში ხანძრის დროს ადამიანები უმთავრესად იმიტომ იღუპებიან, რომ ცდილობენ, რაღაც უნდა დაუჯდეთ, თავს უშველონ. და ეს პანია ხელს უშლის ყოველგვარ წესიერებას; ისინი ერთმანეთს ეჯახებიან, გასახვლედეში საცობივით ეჩხირებიან, ერთმანეთს ურტყამენ, ჰკლავენ კიდევ!... ტყეში ან ჯუნგლებში? გაიხსენეთ, რა ხდება ამ დროს იქ, რა სიმშვიდეა, რა შეგნებული ევაუაცია, რა ტანჯვა, საერთო უბედურებით გამოწვეული! თქვენ თუ იცით, რატომ გამოიგონა ადამიანმა სამხეტე? და ასე საშინლად რატომ ექცევა მხეცებს? იმიტომ, რომ მათ უპირატესობას გრძნობს! სადღაც შიგნით, სულის სიღრმეში, გრძნობს, რომ ყოველგვარი სიბოროტის ჩადენა შეუძლია!.. გუშინ აქ ფრიალ კეთილშობილი ოჯახი გახლდათ: დედა, მამა და ოთხი წლის ბიჭუნა. მათ სინგაპურს ფუნთუშა გადაუდგეს. ფუნთუშაში კი ნემსი იდო.

— დას ისტ შლენტ! შლენტ! — იყვირა გაბიმ. მერე მირიანს მიუბრუნდა — აპატიეთ, ფრიალ პრიმიტიულად აწროვნებს. მაგისტვის ყველაფერი შიპენჰაუერზე გათავდა. ოხ, რა უნიჰო ხარ, ფოლკერტ, ღმერთო ჩემო! იცით, ახალგაზრდობაში მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, ფილოსოფიურზე და, ალბათ, მიმიხვდით, გამოაპანდურეს! დას ისტ შლენტ! დას ისტ შლენტ.

— ჩემიანებს არ მოსწონთ, სიმართლეს რომ ვამბობ! — თქვა ღმილით ფოლკერტმა, მაგრამ სირცხვილის სიწითლე მაინც შეემჩნია სახეზე.

— მე კი მითხრეს, თითქოს იუნესკოს საგანგებო სხდომაზე ბევრი იმსჯელეს სამხეტეების გაუქმებაზეო. — სცადა მდგომარეობის გამოსწორება მირიანმა.

— ვიცო, მეც გავიგე! — ფოლკერტი მხეცებს მიუბრუნდა — მაშინ რაღა ეშველება თქვენს ძია ფოლკერტს? თუმცა, ვიდრე თქვენი თაობა არ ამოწყდება, ზოოპარკები იარ-

სებებენ. სავანებსა და ტყეებში თქვენი გაშვება არ შეიძლება — თქვენ ხომ ადამიანურს, რას ვამბობ, ცხოველურ ცხოვრებას გადაგიჩვიეთ! — გაიცინა ქონდრისკაცმა.

ამ დროს გიორგაძე და ძალიან ლამაზი (მაია პლისეცკაიას ძმა გეგონებოდათ) კაცი გამოჩნდა. გიორგაძე გაშრა. არ მოელოდა მირიანს. ფოლკერტმა ორთავს დაასწრო:

— გაიცანით, ეს ჩემი დისწულია — ნიკიტა ბოროვსკი, კიროვის თეატრის ბალეტის ამომავალი ვარსკვლავი. ეს კი მისი მეგობარი, ადგილობრივი თეატრის აქტიორი გიორგაძე განლავთ.

მირიანი ორივეს მიესალმა.

— მირიან, ძალიან გთხოვთ, — თქვა გაბიმ. — გვიკადრეთ, ერთად ვისადილოთ. — და ფურგონისაკენ მიუთითა. ეტუბა, იქ ცხოვრობდა ეს მშვენიერი ოჯახი.

28 ოქტომბერი. 13.45. მოძრავი სამხედრო ფურგონში

კაცები უკვე შემთვრალიყვნენ. გიორგაძე საყვედურით უცქერდა მირიანს. ნიკიტა კი განაგრძობდა: — „მაშინ ფოკინი გაბრაზდა და ასე უთხრა დიდილევს: „სხვთა შორის, შენმა იდა რუბინშტეინმა ცეკვა რა არის არც კი იცის!“ იდა იქვე მდგარა, კაცებმა ეს არ იცოდნენ. იდას შამანურით სავსე ქიქა ეჭირა ხელში. დიდხანს არც უფიქრია, ფოკინისათვის შეუსხამს სახეში! — ნიკიტამ გადაიხარხარა, ფანჯარაში გადადგა და დაიძახა — დედა! დედა! დეიდა ლიზა! მოდი, ჩქარა, ჩქარა. რაღაც უნდა გიამბოთ!

— ვიღაც ქალები მოვლენ, — თქვა ფოლკერტმა, ღრმად ამოიოხრა და დისწულს გადახედა, — მინდა, მოვასწრო, მერე აღარ დაგვაცლიან, და მირიან მიქელაძის სადღეგრძელო შეგვსვა. ბავშვობაში მეც არქიტექტორობაზე ვოცნებობდი, არა არის... რა თქვენს ხელობაზე უმშვენიერესი. არქიტექტურა ხელოვნებისა და მეცნიერების, ტექნიკისა და სოციოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სასწაულებრივი ნაერთია. დიდი სიამოვნებით ვავხდებოდი არქიტექტორი, მაგრამ უკვე გვიან არის... კარგად ბრძანდებოდეთ, მირიან...

...მაგრამ მირიანს ეძინა... თავი მაგიდაზე დაედო და ტკბილად ეძინა.

— თვითონ ვითხრათ, არქიტექტორი ვარო? — დაინტერესდა გიორგაძე.

— დიახ. იცრუა? — გაიკვირვა ქონდრისკაცმა.

— დიახ. ეს რეჟისორია, — ჩურჩულებდა გიორგაძე, — დღეიდან კი ჩვენი თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ.

— მოიცა, მოიცა... მაშ, შენა?... — წამოხტა ფოლკერტი.

— გაჩუმდი, არ მოჰყვე! მე გეტყვით, მე გიამბობთ ყველაფერს. წამოიყვარა ნიკიტამ და გიორგაძეს მუშტი მოუღერა. მერე ბიცოლა და დედა, რომელსაც ხელში პატარა სეიფი და სტავროპოლის ფილარმონიის ბილეთების დიდი წიგნი ეჭირა, წინ დაიყენა.

— გახსოვთ „წმინდათაწმინდა გაზაფხულის“ სკანდალი? რასაც ახლა მოვიყვებით, რაც ადგილობრივ თეატრში ამ დღით მოხდა. იმასთან შედარებით, ეგ თქვენი სკანდალა სამოთხედ მოგეჩვენებათ...

მაგრამ ჩვენ ტექსტი აღარ გვესმის, რაღაც ძალა ფრთებს გვასხამს და ფურგონიდან გამოვყვებით. მერე ნელნელა მივფრინავთ ზევით, სულ ზევით.

აი, მთლიანად სამხედრო გამოჩნდა. რამდენიმე ბავშვი ქალებს შესცქერის. პროვინციული ლუნა პარკიც, პრიმიტიული ატრაქციონებით, აქვია. ცოტაც და ახლა უკვე ქალაქი ჩანს, ისე მალა მივფრინავთ, აი, თეატრის ლამაზი შენობაც, მის წინ — რაიკო-მი, აი სასტუმროც, ზღვაც, ნავსადგურიც, გემებიც...

მირიანის ხმა:

„რა კარგია ეს ლალოცვილი სიცოცხლე!...

რა ლამაზია ეს ბუნება, ეს ხეები, ბალახი, ცხოველები, ადამიანები!
რა ლამაზია ზღვა!

რა ლამაზია ეს ჩემი მთები, ველ-მინდვრები, სრიოცი კი!

რა კარგია, ცოცხალი რომ ვარ, რომ მიძინავს, ვმუშაობ, ვმოძრაობ!

რა კარგია, რომ არსებობს სიკვდილი, ზარი, ქალები!

რა კარგია, რომ არსებობს მუსიკა, მანქანები, ქვეყნები, დედა და მამა!

რა კარგია, რომ არასოდეს არ მოგიწდება საღათის ძილი!.. მაგრამ ისიც კარგია,

რომ ოდესღაც უნდა წახვიდე, საუკუნოდ, სამარადუამოდ, რადგან...

რადგან ასე რომ არ იყოს, ყველაფერი ეს არ გვეყვარებოდა ასე გაგიჟებით და ასეთი თავდავიწყებით.

ვიღრე მირიანი ლაპარაკობს, საგანგებო კონტინერი, რომლითაც მიცვალებულები გადააქვთ, დიდი ლაინერის მუცელში შედის. დიდა ქეთო ნატაშას ჩახუტებია. ნატაშა კონტეინერს თვალს არ აშორებს. იქვე დგას მილიციის უფროსიც. ნატაშა ქეთოს ჰკიცნის, შადღოვას უხდის მილიციის უფროსს და ტრაპზე ადის. ლაინერის კარი იხურება. ტრაპი თვითმფრინავს სცილდება. ერთადერთი ლაინერი დგას მთელს აეროდრომზე. შორით მოჩანს კავკასიონის მარადთოვლიანი მწვერვალები: ამხელა ცაზე ღრუბლის ნაგლეჯსაც ვერ იპოვნი! ფანტასტიკური ხილვადობა!

23 ოქტომბერი. 10.20. ბაჰანი პრემინციული ქალაქის გაბზალზე

გავივირდებათ, ალბათ, ისევ კოკისპირულად წვიმს. მირიანი გზას ძლივს მიიკვლევს რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილეთა შორის. აქ არის მთელი საქართველო; ოლიმპიადა დამთავრდა და მონაწილეები შინ ბრუნდებიან. ისინი მღერიან, ცეკვავენ, მხიარულობენ. დინჯი და დაფიქრებული კახელები „მრავალუმიერს“ აგუგუნებენ; წრედ შეკრულან დოლ-გარმონით „შეიარაღებული“ აჭარლები. ერთ-ერთი მათგანი, ხელში გულდასტერი რომ უჭირავს, გაშმაგებით ცეკვავს „განდაგანას“. როკ-ჯგუფი სოხუმიდან, მაგრამ უმიკროფონოდ, ამ არეულ-დარეულობასა და ხმაურში, არ იცინა, რა ილონონ. იმერლები ჩუმად დგანან და იღიმებიან. გურულები განზე გამდგარან. მათ კარგად იცინა, ამ ბაზარში სიმღერა სისულელე რომ არის, მაგრამ მაინც მღერიან, მღერიან თავდავიწყებით, რასაკვირველია „კრიმინალს“. ეს მართლაც საოცნებო სანახაობაა. სადგურის უფროსი შალვა მიქელაძე ოდნავ შეშინებული უმზერს ამ მეორედ მოსვლას, მაგრამ ნაღდად ეტყობა, გულში ფრიალ სარობს. უცებ მან თვალი მოჰკრა ჩემოდნაან მირიანს და ყველაფერს მიხვდა. ის მიუხვდა მირიანს, დიდხანს უცქერდა თვალებში მოგვარეს და მერე ხელი მაგრად ჩამოართვა. ამაში გამოშვილობების გარდა სხვა აზრიც ჩააქსოვა გამოცდილმა შალვამ. ირგვლივ სრულიად საქართველო ბორგავდა. მატარებელი ჩამოვდგა. მგზავრები ვაგონებს ეცნენ. სტუმრები ჩამოვიდნენ. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ. ეს მრავალრიცხოვანი ტურისტები, მკონი, ვიეტნამელები უნდა ყოფილიყვნენ.

23 ოქტომბერი. 10.55. პატარა სადგური

რკინიგზის პატარა საცოდავ სადგურთან უამრავი შავი „ვოლგა“ კრიალებს. ახლოვდება მატარებელი.

კუბეში მაგიდაზე თავჩამოდებულ მირიანს სძინავს. შემოდინ ჩვენი ნაცნობი ტყუპები. მათ შემოჰყვება გლეხი, რომელიც საკმაოდ დიდ ყუთს დადებს ზედა თაროზე, ძმებს გამოეშვიდობება და უკან გაბრუნდება. კარი იღება და ფირიუზას დიდი ჩემოდანი შემოაქვს, მას შოთა კელეპტრიშვილი მოჰყვება, ფირიუზა და შოთა ეხვევიან ერთმანეთს.

— დიდი მადლობა, — ამბობს თვალცრემლიანი ფირუზა, — დიდი მადლობა... ყველაფრისათვის...

— არ დამივიწყო, ფირუზჩან „ხაზეინი“ ყოველთვის უნდა გახსოვდეს. — ღიმილით ამბობს შოთა, ფირუზა გადის.

სამი მამაკაცი ერთმანეთს შესცქერის. ფანჯარაზე კაცური ისმის. ყველა იჭით იხედება. ფანჯარაში ფირუზა მოჩანს, ის ხელს იქნევს. ამ ხმაურზე მირიანს ეღვიძება და თავს ასწევს. მატარებელი დაიძრა. შოთაც ხელს უქნევს ფირუზას და აქვე მირიანს ღიანახავს, ტყუპებიც გაკვირვებულნი შესცქერიან მირიანს.

— გამარჯობა, მირიან, — ამბობს შოთა, — მგონი, ერთად მოგვიწევს მგზავრობა... (პაუზა). დაკრძალვაზე გასლდით. სახელოვანი მამულიშვილი და ნამდვილი ქართველი გარდაიცვალა... ჩემი ბავშვობის მეგობარი... იყო ასეთი გამოჩენილი პედიატრი ხერგო ვადაჭკორია... ხომ არ იცნობდით?



სადღეგრძელო

ჰყავს ერს საფერები გვარისშვილნი
 და მეც კარგად ვიცი, რაზე ვწერო.
 პირველ დაბადებას გაუმარჯოს,
 იყოს დაბადების სადღეგრძელო!
 რაც დრომ მიითვაღა, გავლილია,
 გზები გასავლელი დაგვემზეს.
 კაცის უკვდავება იმედია,
 იყოს იმედების სადღეგრძელო!
 და თუ სადმე რამემ შეგვაჩერა,
 ქარებს გრიგალივით დაუეძგეროთ.
 კაცთან სიყვარულში გაგვიმარჯოს,
 იყოს სიყვარულის სადღეგრძელო!
 გზები რაც აქამდე გაგვივლია, —
 საიაყარლო თუ საენძელო, —
 იყოს დამარცხების დამარცხებად
 ყველა გამარჯვების სადღეგრძელო!
 მოყვასს სანთელივით დაუდნები,
 გულო, ყველგან სანთლით საძებნელო.
 წლები მეგობრობას ვერას ავნებს,
 იყოს მეგობრობის სადღეგრძელო!
 გზები, რაც აქამდე გაგვივლია,
 ბოლოს საეკლო და საეწერო, —
 ყველა დაბადების დაბადებად
 იყოს ქართულ აკვნის სადღეგრძელო!
 შუბლზე ჭაბუკური გამოხედვის
 ხნული მხოლოდ სიბრძნის დაგვეწეროს.
 და თვით სიჭარმაგის კარიბჭეზეც
 იყოს სიჭაბუკის სადღეგრძელო!
 და თუ ბოლო მაინც სიბერეა,
 აღაღ, შვილიშვილებს რაც ვეფეროთ.
 გული არ ბერდება, მაგრამ მაინც
 იყოს ტკბილ სიბერის სადღეგრძელო!
 მოყვასს სანთელივით დაუდნები
 და მეც კარგად ვიცი, რაზე ვწერო.
 კაცის დაბადებას გაუმარჯოს,
 იყოს დაბადების სადღეგრძელო!

შუქი ჩაქრა,
მესამე ჩამორეკეს ზარი,
აღბათ, შეაგვიანდათ, ასულს მოჰყვა დენდი.
არაფერი ზღაპრული და არც საოცარი,
მიდიოდა დარბაზში ფილმი „ინციდენტი“.
მაგრამ სხვამ რა იცოდა,
ვინ ეტყოდა ანდა,
გულს რა ცეცხლი ეკიდა, რა ფიქრი და ღენთი.
ზწვავდა შენი შეხედვა, შენი სუნთქვა მწვავდა,
მიდიოდა დარბაზში ფილმი „ინციდენტი“.
თუმც ღირსეულ კავალრის
ენდობოლი ზელკავს,
შენც ხომ ჩემზე ფიქრობდი,
ხატი,
რჯული,
ღმერთი.
ზარი სიყვარულისა ისევ ჩამორეკავს,
მიდიოდა დარბაზში ფილმი „ინციდენტი“.
მერე, როცა დასრულდა,
გზებს გავევით ჩვენსას,
ორივ — წყვილი და მაინც ორივენი კენტი, —
ისე, თითქოს შემთხვევით ჩაუვარეთ შენ სახლს,
მიდიოდა ქალაქში ფილმი „ინციდენტი“.
ან კი როგორ არ გითხრა
რაც იმ ღამით მოხდა,
მივდიოდი შინისკენ, გულს კი შენთან ვტევდი.
მიმევებოდა მეუღლე ერთგული და კოხტა...
მიდიოდა ქალაქში ფილმი „ინციდენტი“...

დაწყებითი სიმები

ახლა ბათუმში მაისი ღაღობს
და გაზაფხული არიგებს რტოებს.
წივემგზავრები და რომ ვერ მნახო,
ნუ დაგიმწუხრებს გულს სიმარტოვე.
ვხურავ დარბაზს,
ონკანებს ვკეტავ,

ნაჩქარევ ბარათს პარნასზე ვტოვებ,
ხვალ სად დამხვდები, ძვირფასო ნეტავ,
სად გამწირავ და სად მიმატოვებ.
გიტოვებ პალეებს და მაგნოლიებს,
ოცნების ზღვას და მოწყენილ წვიმებს.
გიტოვებ ნავს და დაღლილ თოლიებს,
გაბზარულ გულს და დაწყვეტილ სიმებს.
აქ მწვავდა ლექსი, როგორც გენია,
ღამეთა ლაშქარს თეთრად აქ ვტეხდი.
აქ აღვდექე, როგორც ციხე გონია,
აქ დავიღეწე, როგორც შატბერდი.
და შენ, სტუმარო, სულის მოოხებით
თვალს რომ შეავლებ სარფს და მარადიდს, —
ჩაჰკითხე, გეტყვის ჩემი ჭოროხი,
რა ჯავრს ვკვნეტდი და რა დარდს ვმაღავდი.
რაღა ჰგავს მიწა გაუჭრელ საფლავს,
თვალი რად უხმობს ლაჟვარდში იმედს.
გიტოვებ რაც მაქვს,
გიტოვებ რაც მაქვს,
გაბზარულ გულს და დაწყვეტილ სიმებს.

ერთი დღე ბოტანიკურ ბაღში

ეს ლურჯი ბაღი, ეს ხეები, ეს მწვანე კონცხი,
ეს ზღვის ბიბინი, ეს ნიაფი, ეს მზის ალერსი —
საესეა ცრემლით, სიყვარულით,

ფიცით და კოცნით,

არდავიწყების ცეცხლოვანი საესეა ლექსით.

შემოინახავს ეს სიმწვანე შენს სიქალწულეს,

შენს ნარგიზობას,

შენს ცელქობას,

შენს შვლის ნუკრობას.

გული, რომელიც სიყვარულის მტევნად დავწურე
სამარადისოდ თან გაჰყვება ამ პირველ გრძნობას.

წაღეკავს წყალი მოგონებებს ამ ტკბილ დღეებზე,

ფერფლად იქცევა

სანუკვარი აწმყოც, წარსულიც.

შენ ცოტა გვიან,

ზე კი ადრე დამათოვს თმებზე,

აქვს დასასრული ყოველივეს, აქვს დასასრული.
გაძარცვავს ქარი ნედლ ხეივნებს,

ვარდს მოკლავს სუსხი,

მოიწყენს წყარო,
გამიქრები სიზმრის ასული,
ხსოვნას დარჩება ნეტარება ჩაღვრილი სულში,
აქვს დასასრული ყოველივეს, აქვს დასასრული,
წავა დრო ჩვენი,
სხვების ჩურჩულს მოისმენს ბაღი,
სხვას დაამშვენებს ია-ია, ფატად დაწნული.
ხსოვნად დამრჩება ველზე შენი გაქცევა ლაღი,
აქვს დასასრული ყოველივეს, აქვს დასასრული.
მაგრამ სიყვარულს

ვინც გაუგებს თავსა და ბოლოს,

უწყოდეს ყველა,

რომ აქ სული დავმარხეთ ლოცვით...

და შურდეთ მგოსნებს, რომ ეს ბაღი

) ბოლოსდაბოლოს,

სავსეა ჩვენი სიყვარულით, ფიცით და კოცნით.

გამოცდა

გავებარა ბავშვობა,
დრომ გულს დარდი მობანა.
სიზმარივით დაგშორდა
კუკუდამაღლობანა.

ხელში შევრჩა ასაკი —
მღელვარე და დენტური.
სკოლა, მერხი... მას აქეთ
წლები ჯერ სტუდენტური.

გაცდენილი ლექცია,
წლორე სემინარები.
ესეც შენი ლექსია,
შენი სულის ზარები.

კიდევ ერთი გამოცდა,
კიდევ ერთი ჩათვლა და, —
როდის?... თქვი და გაოცდი,
სტუდენტობაც ჩათავდა.

ხელში ნატვრის დიპლომით
და მიზნებით დიადით, —
ასე, ერთხელ გიპოვნე
მორცხვი სტიპენდიანტი.

მერე, კიდევ რა იყო,
მთავარია, შენ ეს თქვი.
ჩვენთვის ასე დაიწყო
სიყვარულის სემესტრი.

ეჰ, იქნება არც ღირდა
ქვეყნად ამის გამო ცდა.
არ აგვცდება მარცხი და
შავი ღიწის გამოცდა.

კიდევ ერთი გამოცდა,
კიდევ ერთი ჩათვლა და...
როდის?... ვთქვით და გავვოცდით,
სიყვარულიც გათავდა...

ციკლიდან „მეომრული სიმღერება“

ნუ მომანატრებ შენს გაღიმებას,
 ღოყაზე ჩნდება პატარა უბე.
 თუ ბედმა ჩემზე ჯავრი იწება,
 თუ გავტიალდი და დავიღუპე.
 თუ შეაცივდა ოცნებას გული,
 თუ სიყვარულის დაჭკნა კონები.
 ცივ სამარეში გადაკარგული
 თუ ველარასდროს ჩაგვეკონები.
 თუ ვერ დამათრობს შენი ალერსი,
 თუ ველარ დანწევას ეგ ცხელი უბე, —
 სახსოვრად გქონდეს ეს ჩემი ლექსი,
 სახსოვრად გქონდეს, თუ დავიღუპე.
 თუ ველარ ვკოცნე მაგ მარწყვა ბავი,
 თუ ვერ ვუცქირე უძირო თვალებს.
 თუ ვერ ავაგე,
 თუ ვერ ავაგე
 მაგ გულში ბუდე, შენ გენაცვალე.
 შესანდობარი თუ ჩემიც შესვეს,
 თუ ცრემლი მოწყდა თვალებს, ვით ტყუილებს, —
 გიტოვებ ლექსებს,
 გიტოვებ ლექსებს,
 სახსოვრად გქონდეს, თუ დავიღუპე.
 თუ მოენატროს სულს მწუხარება,
 ღოყაზე ისევ თუ გაჩნდეს უბე, —
 მოდი, დანწევლე, თუ შენ ეს გნებავს,
 და გაიხარე, თუ დავიღუპე.
 თუ დავიწყება ყოვლისა შესძელ,
 და ძაძისფერი ჭრელით შესცვალე, —
 გიტოვებ ლექსებს,
 გიტოვებ ლექსებს,
 სახსოვრად გქონდეს, შენ გენაცვალე!



●

მზემ მიწასთან დაიწერა ჯვარი,
ცაზე შეიდგურ ცისარტყელას რთავენ,
სტუმრად ღოდგა ვარსკვლავების ჯარი
და სიცოცხლის სადღეგრძელოს სვამენ!
სიმღერა და ღიმბილია ქვეყნად,
სიყვარულზე გუგუნებენ მთები,
შენ არ დარჩე, დღეს არ დარჩე კენტად,
არ შევცვლილვარ, ისე გელოდები!
დღეს ცრემლები დაივიწყა ყველამ,
სიყვარულის დაგვდგომია დარი,
გაიხარა წინდვრად საბოვნელამ,
მზემ მიწასთან დაიწერა ჯვარი!

●

აგურისფერი მზე
ზღვაში დაიხრჩობს თავს,
ალბათ ფიქრი და დარდი
მზესაც თავისი აქვს...
მაგრამ არ მოთქვამს ზვირთი,
ცრეწლი არ მოსდის ზღვას,
ალბათ, დარდი და ფიქრი
ზღვასაც თავისი აქვს...
ნაპირს მიჰყვება კაცი,
ყველას არიდებს თვალს...
თურმე ფიქრი და დარდი
კაცსაც თავისი აქვს!



გეოგრაფიკისა და ქმობის ისტორიიდან

რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძირითადად დამთავრდა ქვეყნის ტერიტორიული დაქსაქსულობის ლიკვიდაცია, რასაც იმჟამინდელი კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით მოედო ბოლო ფეოდალურ ომებს, რომლებიც აჩანაგებდა და ასუსტებდა ქვეყანას, რითაც მოხერხებულად სარგებლობდნენ გარეშე მტრები და ისედაც ღონემიზდილი ხალხი მათ გამუდმებულ თავდასხმებს, ზოცვა-ჟლეტვასა და აოხრებას განიცდიდა. ასრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება — დადგა მშვიდობიანი ცხოვრების, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღზავლობის ნანატრი ხანა, ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

უკვე XIX საუკუნის 20-იან წლებიდან საგრძნობი გაზდა სამეურნეო ცხოვრების წინსვლა. განხორციელდა რიგი ღონისძიებანი (საგზაო მშენებლობა, სავაჭრო გზების დაცვა, ფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაცია და სხვ.), რომელთაც ხელი შეუწევს ვაჭრობის განვითარებას და ფულადი კაპიტალის დაგროვებას.

30-იანი წლებიდან ეს პროცესი კიდევ უფრო საგრძნობი ხდება. ბაზარს უკავშირდება სოფელიც. განსაკუთრებით გაძლიერდა ლეკენახეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბეობის და ლეთამბაქოეობის სასაქონლო ხასიათი.

40-50-იან წლებში თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და სხვა ქალაქებში ამუშავდა ქარხნები და ფაბრიკები. ზოგიერთი საწარმოო პროდუქცია საზღვარგარეთაც გაჰქონდათ.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება სამეურნეო ცხოვრება 60-70-იანი წლების რეფორმების შემდეგ. ახლად გაყვანილმა რკინიგზებმა ერთმანეთს დააკავშირა შავი და კასპიის ზღვები, ქალაქები და რაიონები. ბაქოს ნავთობს, ტყვბულის ქანაზშირსა და ქალაქისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას გზა გაეხსნა მსოფლიო ბაზრისაკენ.

სამეურნეო ცხოვრების წინსვლამ ხელი შეუწყო საქართველოს ტე-

ტიტორიული მთლიანობის აღდგენასა და შეძღომ ეკონომიკურ განვითარებას.

აი, რა მოჰყვა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას. გეორგიევსკის ტრაქტატის კეთილნაყოფიერი შედეგები დამაჯერებლად დაადასტურა შემდგომმა ისტორიულმა პროცესმა.

რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებასა და ზეგობრობას ხელი შეუწყო აგრეთვე ერთობლივმა ბრძოლამ ქართველი ხალხის გარეშე მტრების წინააღმდეგ. საქართველოს ღირსი ადამიანები თავიდანვე ცდილობდნენ რუსეთის აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა სამშობლოს ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. ქართველი მეორეები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთ-ირანის 1804-1813 წლებისა და რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომებში. მათ განსაკუთრებით ისახელებს თავი 1812 წლის სამამულო ომში. 100-მდე ზეომრიდან 12 აღიარებული გენერალი იყო. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ლეგენდარულმა გმირმა, წითელი ოქროს სახელგანთქმულმა გენერალმა პეტრე ბაგრატიონმა. ქართველმა მეომრებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს რუსეთის გამარჯვებაში და რუსი და ქართველი ხალხების დამეგობრებაში.

გაცილებით ფართო ხასიათი ჰქონდა ქართველი ხალხის მონაწილეობას რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომებში. ეს გასაგებია. იმ დროს ქართველი ხალხი ამ ომებზე დიდ იმედს ამყარებდა. რუსული იარაღის დახმარებით სურდა ქართველთა სისხლით მორწყული მიწა-წყლის გაჩოხნა. მარტო ფოთისა და ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში 3.000-მდე ქართველი მონაწილეობდა.

განსაკუთრებით მასობრივი იყო ქართველი ხალხის მონაწილეობა ყირიმის ომში. საქმე ეხებოდა არა მარტო მტრების მიერ ადრე მიტაცებული ტერიტორიების განთავისუფლებას, არამედ საქართველოს შემადგენლობაში მყოფი მიწა-წყლის დაცვასაც.

ქართველი ხალხისათვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 1854 წელი, როცა ოსმალეთის ჯარი დასავლეთ საქართველოში შემოიჭრა და ქართული მიწა-წყლის აოხრებას და მოსახლეობის ჭლებას შეუდგა. რუსეთის გენერლებისა და ჯარისკაცთა მხარდამხარ ბრძოლაში თავი ისახელებს გურიის, იმერეთის, სამეგრელოსა და სხვა მოხალისეთა რაზმებმა დ. და ნ. ჭავჭავაძეების, ლ. დადიანის, დ. მაჩაბელის, გ. ერისთავის, ი. იოსელიანის, ა. ჯამბაკურ-ორბელიანის, ი. ანდრონიკაშვილის, ლ. გურიელის, ნ. ერისთავისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

რუსი და ქართველი ხალხების ზეგობრობის განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა. დოკუმენტები გვაუწყებს, რომ ამ ომში მოხალისედ წასვლას ითხოვდნენ მოხუცებუ-

ნების მოღვაწეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. იგივე ითქმის ხელოვნების სხვა დარგებზეც.

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობდნენ „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის“ საქმიანობაში, ცნობილი იუმა რევოლუციონერის პ. ალექსეევის მიერ სასამართლოს სხდომაზე წარმოთქმული შთამბეჭდავი სიტყვის თანაავტორი ი. ჯაბადარი იყო.

ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა ძალზე გაძლიერდა 1905-1907 წლებისა და შემდგომი პერიოდების ბოხოქარღლებში. იმდროინდელ პატარა ბათუმშიც ქართველი რევოლუციონერების მხარდამხარ იბრძოდნენ ფედოროვი, ლუზინი, ფრანჩესკი, განშანი, პეცოვი, პიასეცკი, პროტჩენკო, კრიუჩკოვი, სოროკინი, ტელეგინი, ვოლკოვი და სხვა ბევრი რუსი რევოლუციონერი. ეს ერთობლივი ბრძოლა, მე-11 განმათავისუფლებელი წითელი არმიის დახმარების შედეგად, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დამთავრდა. ორი ძველობარი ხალხის ერთობლივი ბრძოლის მატთანეს კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი მიემატა.

1922 წლის დეკემბერში შეაქმნა სსრ კავშიარი. ანით წარმატებით გადაიტრა ეროვნული საკითხი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენდა რუსეთის ხალხთა ურთიერთობაში, ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებამ ყველა ხალხი ერთ ძმურ ოჯახად შეაკავშირა. ამ ძმური ოჯახის სრულუფლებიანა წევრი გახდა საბჭოთა საქართველო.

ძმურ ოჯახში შესვლის შემდეგ, რუსი და სხვა მოძმე ხალხის უანგარო დახმარებით, არნახული ტემპით განვითარდა სახალხო მეურნეობა, კულტურა და ზეცნიერება, მწყობრში ჩაღდა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: ნავთობმოპოვების, მანქანათმშენებლობის, ცემენტისა და სხვ. კოლმეურნეობებს უსასყიდლოდ გადაეცა სამ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა. ფრთები გაშალა კულტურა და მეცნიერებამ.

კიდევ ბევრი ფაქტის ჩამოთვლა შეიძლება გეორგიევსკის ისტორიული ტრაქტატის კეთილნაყოფიერ შედეგებზე. ჩვენი ვალთა თვალისჩინებით გაუფრთხილდეთ ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, ვამრავლოთ წარმატებები, ხელახელჩაკიდებული ვიბრძოლოთ კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობათა შესასრულებლად.

პარმენ ცემენტარიი,
პროფესორი.

„გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას“

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტერბურგის აჯანყებულმა მუშათა კლასმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამხო დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. ეს იყო მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ზოვლინა — დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. „ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება“. ¹—აღნიშნა ვ. ი. ლენინმა 1917 წლის 25 ოქტომბერს პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე თავის გამოსვლაში.

ოქტომბრის ამბებმა დიდი გამარეოლუციონერებელი გავლენა მოახდინა აჭარის მშრომელებზე. ახალ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აჭარაში. კიდევ უფრო გაიზარდა აჭარის მშრომელთა რევოლუციური აქტივობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბათუმის ნავსადგურის მეზღვაურები. ისინი აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ნავსადგურის საზღვაო ფლოტი, რომელიც აერთიანებდა რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურებისაგან შენდვარ 20-მდე გემს, დიდ რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა. ისინი არ ცნობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას და ემორჩილებოდნენ მხოლოდ ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციასა და საზღვაო კომიტეტს. კრეისერი „კაროლ კარლი“ მთლიანად რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურებისაგან შესდგებოდა. მეზღვაურები ეზად იყვნენ ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის მოწოდებისთანავე ჩაბმულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ბათუმის ნავსადგურის მეზღვაურები აქტიურად უჭერდნენ მხარს საბჭოთა რუსეთის მთავრობას, მზად იყვნენ დაეცვათ იგი კონტრრევოლუციური ძალების ხელყოფისაგან. „ჩვენ ზოვითხოვთ ყველაზე გადამწყვეტი ზომების მიღებას, — აცხადებდნენ ბათუმის ნავსადგურის მეზღვაურები, — რათა ძირშივე მოისპოს ყოველგვარი კონტრრევოლუციური გამოსვლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის. პირობას ვდებთ, რომ მთელი ჩვენი ძალებით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ ცხოვრებაში სახალხო კომისართა საბჭოთა დეკრეტების გატარებისათვის.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყოველი სხვა ხელისუფლება, რომელიც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ იქნება მიმართული, შესვდება ჩვენი მხრივ გადამწყვეტ წინააღმდეგობას, გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს! გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას! გაუმარჯოს მსოფლიო დემოკრატიულ ზავს! ძირს კონტრრევოლუცია! ²

მეზღვაურთა შორის დიდ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა სამხედრო-საზღვაო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი რევოლუციონერი ივანოვ-კავკასსკი, მოქმედებდა აგრეთვე ბათუმის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კომიტეტი, რომელიც ბოლშევიკი მეზღვაურებისაგან შედგებოდა, 1917 წლის ბოლოსათვის მოქმედებას იწყებს გემების კომიტეტები. ღოვიაანებით დაარსდა სანაპიროსა და ბრანდვახტის (საგუშაგო გემი) სამხედრო რევოლუციური კომიტეტი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, ჩასების რევოლუციური განწყობილების სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დააყენა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერების საკითხი.³

1917 წლის ნოემბერში ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ბოლშევიკური კომიტეტის სამი წარმომადგენელი, გარნიზონისა და სამხედრო-საზღვაო კომიტეტის თითო წარმომადგენელი. რეგკომს ევალებოდა შეიარაღებული აჯანყების წომხადება და აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეიარაღებული ძალების შექმნას. ამ მიზნით ნოემბრის მეორე ნახევარში ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა სამხედრო-საზღვაო კომიტეტთან ერთად ჩამოაყალიბა წითელი გვარდია „მეზღვაურთა ასეული“. რომელიც 150-მდე მებრძოლისაგან შესდგებოდა, ისინი იყვნენ ბოლშევიკები და ბოლშევიკურად განწყობილი მეზღვაურები.

როგორც საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის არქივის მასალებში ვკითხულობთ, რაზმის ძირითადი დანიშნულება იყო „ბრძოლა, ძალაუფლების დაპყრობისა და პარტიის საბრძოლო დავალებების შესრულებისათვის“. ასეულის დაკომპლექტებას, მის მომარაგებას ზურხათ-სანოვავით, საჭირო ფორმით, იარაღით, უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო-საზღვაო კომიტეტი.⁴

რედაქტორის შენიშვნა.

შ ე ნ ი ზ ზ ნ ე ზ ი

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, თბ., 1952, გვ. 276.

2 ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აჭარაში (დოკუმენტები და მასალები, რუს. ენაზე). ბათ. 1961, გვ. 37.

3 პ. ცქვიტაია, „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები“ (1914-1921 წ. წ.), ბათ., 1962, გვ. 70.

4 მ. ჩავლეიშვილი, „დიდი ოქტომბერი და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება აჭარაში“ (რუს. ენაზე). ბათ., 1977, გვ. 17.

შოთა შოთაძე

„საუკუნოდ სახსენებელი“

ნიკოლოზ ბარათაშვილი გენიოსის სიკვდილით მოკვდა. თავისი გენიალობა სიკვდილითაც დაგვიდასტურა, სიკვდილითაც გაიმეორა დიდი ადამიანების ბიოგრაფია, რაც მეტწილად მოულოდნელობითა და უცნაური აღსასრულით მთავრდება.

სიკვდილის შემდეგაც ღმერთმა უცნაური ბედი არგუნა. სულნათელი პოეტის ძელები უცხო მიწამ კინალამ შეჭამა. მისმა ხალხმა კი მისი ლექსების შესახებ არაფერი იცოდა. ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა ნორჩი გენიოსის ქმნილებებს, სტუდენტი ილია ჭავჭავაძე ცარსკოე სელოში რომ არ სტუმრებოდა დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძეს. ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით პოეტის შემოქმედება დაუბრუნდა თავის მარადიულ პატრონს — ქართველ ხალხს, ხოლო წმიდათაწმიდა ძელები — მთაწმინდის მიწას.

ილიას ერისკაცობამ განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის უნათესაესი მომენტი. მისი საქართველოში გადმოსვენებაც მისმა ავტორიტეტმა უზრუნველყო.

1893 წლის 25 აპრილს წარმოთქმული სიტყვაც ამის ნათელი საბუთია. აქედან მოკიდებული, ასობით წერილი, ბევრი სქელტანიანი წიგნი დაწერილა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მაგრამ ილიას სიტყვა დღესაც რჩება უბირველეს ეტალონად, პოეტის მემკვიდრეობის სიღრმისა და სიმაღლის გამოსაჩენად. კიდევ მეტი, იგი გვეხმარება, საერთოდ, პოეზიის რაობის განსაზღვრაში და ეროვნული პოეზიის სხვა გვირგვინოსანი სახელების შეფასებაშიც, რომლის უამრავი მაგალითით სასეა თანამედროვე ქართული ლიტერატურა.

დიდი ილიას ეს სიტყვა, რომ ყველამ კარგად ვიცით. მგონი ამაში არავინ დაეკლებოდა, მაგრამ მინიმალურად მიმართა მკითხველს ერთი აღვილი შეფასებაც: „კიდევ ვიტყვი, რომ პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ პხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთად იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი აწაცალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, თორიდ ერთგულად ვემსახურე და ყველაფერს შევსწირე განწირულის სულის კვეთებამდეო. ამ განწირულებამ, გარდაცვალების ერთი წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკენესა, რომლებიც წინასწარმეტყველებდა გადაქცეა ბოლოა“.

ამის შემდეგ ილია იმოწმებს საკმაოდ გრძელ აღვილს „მერანოდან“. ეს კი ოქროს გასაღებია იმითვის, ვინც კი განიზრახა და აწამასკით განიზრახავს ამ გენიალური ლექსის იდეურ-მხატვრულ ანალიზს.

დიდი ხანია ქრესტომათიული გახდა აზრი, რომ „მერანის“ ლიტერატური ბედისადნისი დაუმორჩილებლობის იდეაა: არა აქვს მნიშვნელობა, როდის და ვის მიერ წამოიჭრა ეს აზრი, მთავარი ისაა, რომ იგი მტკიცედ დამკვიდრდა ქრესტომათიაში და ამ პოზიციიდან გასწავლით-მომავალ თაობებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი მძლავრად ფესვგადგმულია და მისი ხელალებით უარყოფა ძალიან ძნელია, მე მაინც უნდა გავუზიარო მკითხველს ჩემი მოსაზრება „ბედისადმი დაუმორჩილებლობის იდეის“ გარშემო.

გარკვეული აზრით ამ იდეას შეტნაყლებად ყველა საკაცობრიო ნაწარმოები ატარებს. შორს რომ არ წავიდეთ, ქართულ ლიტერატურაში დაიძებნება უამრავი მაგალითი. მერანის ტო „ვეფხისტყაოსანის“ გმირები რად ღირან. „მერანის“ ლირიკული გმირის მსგავსად და განსხვავებით, ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი და თინათინი როდი ემორჩილებიან ბედისადმი, დაუმორჩილებლობააო. მით უმეტეს, „მერანის“ ლირიკული პერსონაჟისა და ავთანდილის პარალელური ხაზები სავსებით მართებულად დაძებნა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა. „მერანის“ ორმა სტრიქონმა („გასწი, გაღრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი; თუ აქობამდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“) ამისი საბაბი არ უნდა მოგვეცეს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვევითაა მინიშნებული ლირიკული პერსონაჟის ამ განწყობილებაზე. ეს არის „მერანის“ ერთ-ერთი და არა ერთადერთი მძლავრი მეტაფორა და მისი ეპიგრაფად გამოტანა და ამ პოზიციიდან გაანალიზება ზღუდავს იმ მძაფრ სულისკვეთებას, რითაც იგი დაიწერა.

„მერანში“ გაცილებით მეტი ვნებათაღელვა, მეტი ეროვნული ენერგია, თავისუფლების მეტი წყურვილია, ვიდრე ბედისადმი დაუმორჩილებლობის იდეა. იგი ქართული კლასიკური პოეზიის ორგანული გაგრძელებაა და, ამავე დროს, სრულიად ახალი სიტყვაა, რამდენადაც ეროვნული, იმდენად საკაცობრიოცაა; უპირველესად ყოვლისა კი თავისი ხალხისა და საერთოდ კაცობრიობის ბნელ ჭერღმულიდან მზის სინათლეზე გამოყვანის ძალეში სწრაფვა.

რარიგ სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო დაღესტნის იმამის შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების ცნობა. „მერანის“ დასწერად ვერ იკმარებდა, რადგან იგი დამუშტულია ფაქტურული სულისკვეთებითა და იმ მარადიული ლტოლვით, რაც თავისი დროის წინააღმდეგობების გამოხატვამ განაპირობა. ალბათ, შემოქმედებითი ენერგიის ეს მომენტი ჰქონდა მხედველობაში გოეთეს, როცა ამბობდა — მხოლოდ პოეზიის შეუძლია ისეთ საიდუმლოებათა გადმოცემა, რომლებიც პროზაში აბსურდულად გვეჩვენებოდა, რადგან მათი გადმოცემა შეიძლება მხოლოდ წინააღმდეგობაში. ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ეს წინააღმდეგობა იყო ის სულისშემხეთველი სოციალური ატმოსფერო, რაც რომანოვის იმპერიაში სუფევდა. „მერანის“ მხედარი დაღესტნის მთებში ილია ორბელიანის გამოსახსნელად კი არა, თავისი ხალხისა და, საერთოდ, კაცობრიობის მზის სინათლეზე გამოსაყვანად ისწრაფვის. მგოსნის სიყრმისეული ოცნებაც სამხედრო სამსახურზე მისი ბობოქარი და აჯანყებული სულის ძალეში გამოაშუქა. „მერანზე“ ოთხი წლით ადრე, 1838 წელს, დაიწერა ნაბოლენისადმი მიძღვნილი ლექსი. ოცდაერთი წლის ვახუშტი პოეტი, ისე როგორც დიდი გოეთე, ზალზაკი, ჭტენდალი, მოხიბლულია კორსიკელი სარდლის ნიჭითა და ღიღებით:

მაგრამ მე გვამში სული ველარ მომთავსებია!
მითხზავს გვირგვინსა ღიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხნა შარავანდედი.
უამი ჩემია და უამისა მე ვარ იმედი!

ამ ლექსის ვნებათა ღელვა საგრძნობლად ესადაგება და ეწყვილება „მერანის“ მხედარს. „თვითონ სამარეც მეეფიროს, თუ ტოლი მყვანდეს!“ — გვეუბნება პოეტი ნაპოლეონის პირით და ჩვენც გვკერა, რომ ამ სიტყვების ავტორი საკაცობრიო რანგის პიროვნებაა, რომლისთვისაც მართლაც ვიწრო აღმოჩნდა პირველი ორი სამარე, რაც მეტად სიმბოლურია.

ერთ-ერთ ქრესტომათიაში წამიკითხავს. პოეტი გაუბრბის საზოგადოებას, რომლის წიაღშიც თავს სულით ობლად გრძნობდაო და იქვე ილუსტრირებულია ადგილები „მერანისადა“.

ის ფაქტი, რომ პოეტი აუჯანყდა თავის ბედს და სოციალურ ატმოსფეროს, გამცემა რადი ნიშნავს! ბედს რომ გაქცეოდა, მაშინ თავი უნდა მოეკლა. „მერანის“ მხედარი კი იბრძვის. ლექსში გარკვევით არის ნათქვამი „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარ-დამატარე ბედის სამძლვარი“. ბედის საზღვრის გადალახვა სხვა და გაქცევა კიდევ სხვა. ამიტომ ლექსის იდეური მიმართულება დასკვნით სტრიქონებში უნდა ამოვიკითხოთ:

**ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება:
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს.
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!**

„მერანის“ მხედარი მზად არის მოკედეს უპატრონოდ, მარტოობაში, ოღონდაც „გაპყვეთოს ქარი“, „გააბოს წყალი“, ოღონდაც მისმა განწირულმა სულისკვეთებამ გზა გაუკვლიოს კაცობრიობას ბედნიერი მომავლისაკენ. ამიტომაც ბრძანებდა დიდი ილია „მისინ ჭირნი და მწუხარებანი უფრო საკაცობრიონი, საყოველთაონი არიან, ვიდრე მარტო საკუთარი გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია“.

ილიას ეს სიტყვები ყველაზე მეტად „მერანის“ მხედარს ესადაგება. თუ არა ეს გენიალური ლექსი, არც ეს სიტყვები დაიწერებოდა. ამის შემდეგ, ვფიქრობ, მასში უფრო მაღალი იდეა უნდა ვეძებოთ. ვიდრე ბედისადმი დაუმორჩილებლობაა. ვთქვათ, ბრძოლისა და არსებული სოციალური ვითარებისადმი შეურთევლობის ან უფრო მოკლედ — ბრძოლის მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანში“. ვფიქრობ მომავალში ღირს ამ საკითხებზე სერიოზული მსჯელობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსებში და უფრო მეტად პირად წერილებში ხაზს უსვამს თავის უბედობასა და ტანჯვას. ეს შემოქმედებითი ტანჯვაა, რაც შეიძლება პოეტს არც კი ჰქონოდა გაცნობიერებული. გაიხსენით მაიკო იბრეგულიანისადმი 1842 წლის ოქტომბერში გაგზავნილი ბარათის ფრაგმენტი: „...კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყვნილობამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულვებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაც ჰყავს, ღედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ობოლია ამ სოფელსა და ვრცელს სოფელში! ვინც მაღლის გრძნობის მექონი მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამსად ზეგარდმო წიქად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია, ვისაცა ცრემლინი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრაღეულსა, გამოუმეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან წიშანნი ცბიერებისა, წვთი საშინელისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიღრიკოს თავი?“.

ასეთია გენიოსი ადამიანის ხვედრი მოკვდავთა სამყაროში. ვის შეეძლო ჩაეხედა ტატოს სულის ლაბირინთებში? ვის შეეძლო შეემსუბუქებინა მისი ტანჯვა და გულისტკივილი? ვინ შეიძლებოდა მდგარიყო პოეტის გვერდით, რომ თავი მარტოდმარტო არ ეგრძნო?! ყველაფერს დროს და ემოქას ვერ დაეგბარებოდა.

მიხეილ კვესელავა თავის წიგნში „პოეტური ინტერვალები“ იმოწმებს კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს — ყოველი შემოქმედი თავისებურად იტანჯება, ყოველ ჩვენთაგანს ათასი დემონი უღადრავსო გულს.

მინდა შედარებისათვის გალაკტიონ ტაბიძის ილია ოქუჯავასადმი მიწერილი ბარათი: ფრაგმენტი მოვიტანო: „ოლე! შენ იცი, როგორ სულიერ განწყობილებაში ვიცი მე შენთვის წერილების მიწერა. მოიგონე ჩემი წინასწელი წერილები... ყოველთვის უსა-

თუღ ღიდი მწუხარება მწუხებდა, მაგრამ ესლა პუშკინის ლექსით გატყვი: „Мне тяжело; как смутное похмелье“. ყველაფერი დღეს სულ სხვაგვარად მეჩვენება.

როგორ ჰგავს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქაში დაწერილი ეს ორი ბარათი?! აქ მთავარი ის კი არაა ვინ ვის მისწერა, ორივე წერილი გენიოსის კალმის ნაყოფია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გენია ვერ იკუთხება მიწიერ გარემოს. ყოველ გარემოში აღამიანურობის მაქსიმუმს ეძებს, რაც მეტად მძიმე ტვირთია. ეს ტვირთი თავს ზემოთ საჯილდაო ქვესავით გადაიტარა, რამაც სამუდამოდ დაუმკვიდრა ადგილი გენიოსთა თანაგარსკვლავედში.

აღამიანში აღამიანურობის ძიებისა და ქვეყნის წინაშე აღამიანის მოვალეობის იდეითაა შთაგონებული ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“. სამწუხაროდ, დღემდე მასში მხოლოდ სევდის მოტივებს ვკითხულობდით. პოეტი დაფიქრებულია წუთისოფელზე, მის რაობაზე:

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს

ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება.

პშუოთვენ და დრტინენ და იტყვიან: „როდის იქნება,

ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან

იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?

მისი სიცოცხლე — ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,

მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს

თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს

არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..

მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,

მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?!..

მაგრამ რადგანაც კაცნი გჰქვიან — შვილნი სოფლისა,

უნდა კიდეთა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

ლექსის დასაწყისი — „წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართევლად“ და სხვა მისთანანი, ცხადია, არ კმარა „სევდის მოტივის“ საილუსტრაციოდ. „სევდიანი ფიქრთ გასართევლად“ წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს შესანიშნავი ლექსი სევდის მოტივის აბოლოგიაა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ პესიმისტური გრძნობები უმეტესად დიდი აღამიანების ბუნებაა.

ერთ-ერთ ლიტერატურულ ანექდოტში ახლანან აკაკი გაწერილია წერდა: „თვითმა-ყოფილს არასოდეს არ ეწყვეა უმიზეზო მოწყენა, იგი მხოლოდ და მხოლოდ დიადების თანშეღები თვისებაა. აინშტაინის მეგობარი პოლ ვალერი, რომელიც მგონი გოეთეს შემდეგ ყველაზე სევდენიერი იყო პოეტებს შორის, ამბობს: „სევდა — აი ჩემი ჯეშმა-რატი ხელობა“.

ამის შემდეგ აკაკი გაწერელია იმონებებს პლანეტარული მასშტაბის ავტუსტინეს რომელიც თავის გენიალურ „მესწორებებში“ („რეტრაქტაციონეს“) წერდა: „აღამიანი დედის საშოშივე ატარებს გაქრობასა და დავიწყებას“. თუ უნიჭიერესი გერმანელი ლირიკოსის ჰაინრიხ ჰაინეს ცრემლები „იორდანში ცვივიან“, ნიკოლოზ ბარათაშვილი მტკვართან მიდის „ფიქრთ გასართევლად“.

თანამედროვე ეტაპზე დღითი დღე და წლიდან წლამდე მალდდება ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიის როლი და ავტორიტეტი. წლითი წლობით ახალი შოვლებები იჩენს

თავს მისი სსოგნის უკვდავსაყოფად. ასლანან ანჩისხატის უბანში მისი სახლმუწეუნი გასსნაც ამ კატეგორიის ფაქტია.

ჩემი ღრმა რწმენით, მომავალში კიდევ უფრო ამაღლდება ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი და დიდება, კიდევ უფრო განმტკიცდება მისი ადგილი მსოფლიო პოეზიის თანავარსკვლავედში ბაირთნის, აუშკინის, შელის, შატობრიანის, ნოვალისის, ლერმონტოვის, მიცევეჩის, ლეოპარდის, გალაკტიონისა და სხვათა გვერდით.

მომავალი თაობები ახლებურად წაიკითხავენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა და პოემას, გაცილებით მეტს და საყავობროს აღმოაჩენენ მათში, ვიდრე პოეტის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ შეეძელით. ახლებურად წაიკითხება მისი სატრფიალო და პატრიოტული ლირია. ჩემი აზრით, მკვლევარების თვალში „მერანმა“ დაჩრდილა მისი ავტორის სხვა ლექსები. უპირველესად ეს სიყვარულის პოეზიაზე ითქმის.

რუსული ლიტერატურის მკვლევარები ახალი რუსული ლიტერატურისა და კერძოდ, რუსული სიყვარულის პოეზიის მამამთავრად ალექსანდრე პუშკინს ასახელებენ, თუმცა არცერთი მათგანი არ უარყოფს, რომ პუშკინამდე ბრწყინვალე ლექსები შექმნეს სიყვარულზე სუპერპოემა და კოსტროვმა, ბოგდანოვიჩმა და დერეჟინმა, კარაშინმა და დმიტრიევმა. რუს მკვლევარებს აქცენტი მაინც პუშკინზე გადააქვთ.

ქართულ პოეზიაში სხვა სურათი გვაქვს. XIX საუკუნის პოეტებს წინ უძღვის რუსთაველის გაკვეთილები, რომლის პოეზია სიყვარულის უკვდავი ჰიმნია. ეს გაკვეთილები გაიარეს დავით გურამიშვილმა და ბესიკმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ და გრიგოლ ორბელიანმა. ეს გაკვეთილები გაიარა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. ეს განასხვავებს მას პუშკინისაგან. ასეთი დიდი გაკვეთილი პუშკინს არ მოუხსენია, რადგან რუსთაველის რანგის წინამორბედი არ ჰყავდა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მსგავსად პუშკინისა, განაგითარა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ახალი ქართული ლიტერატურა. ამაში მისი სიყვარულის პოეზიაც იგულისხმება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარულის ლირიკიდან ერთ-ერთი საანთოლოგოა „ჩემს გარსკვლავს“, რომელშიც ვკითხულობთ:

რა სახითაც გინდა მე შენ მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო!
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მაღბინებელ დაბინდულის გულისა!
მოციმციმიდი, მოდი გამომეღარე,
შენგან ბნელი გული გამომიღარე,
კვლავ ციური ცეცხლი გარმოიხარე,
ნაპერწყალნი ეშხისა მომაყარე.

ეს ლექსი არ არის რომელიმე კერძო შემთხვევის გამო ინტიმურ გრძნობათა გამოხატულება. ეს იმ გულითა და გრძნობით არის შექმნილი, დიდმა შოთამ „სიყვარული აგვამაღლებს“ რომ უწოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარულის პოეზია ამგვარი ამაღლებული და ფაქიზი გრძნობების აღმჟერელია.

იმის გამო, რომ ზედმეფენით დეტალურად ვიცით ნიკოლოზ ბარათაშვილის უიღბლო მიჯნურობის ისტორია და სხვა ბიოგრაფიული მომენტები, გვგონია, რომ მისი სატრფიალო ლექსები უმთავრესად უშუალო შთაბეჭდილებებითაა შექმნილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსთაველის ბიოგრაფიასავით ბურუსით რომ ყოფილიყო მოცული, ალბათ, მისი ლირია სხვაგვარ ემოციებსა და განცდებს აღგვიძრავდა. ალბათ, პოეტის არც პენსიისტურ განწყობილებებს გაეზავიადებდით ზომაზე მეტად.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სატრფიალო ლირიაშიც კარგად იგრძნობა იმედიაინი გან-

წყობილება, მომავლის რწმენა და პათოსი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ პირადი წერილების კვლევაზე პოეტის შემოქმედების გაშვივრა ყოველთვის არ გამოიღებს სასარგებლო ნაყოფს. რადგანაც მათში მიწიერი გრძნობებიც იჩენენ თავს. ამიტომაც მისი ცხოვრების ყოფითმა დეტალებმა არ უნდა დაგვანინოს.

არ უიჟინო, სატრფოო,
შინსა მგოსანსა გულისთქმა
მოკვდავსა ენას არ ძალუძს
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა.

სწორედ რომ უკვდავთა ენით, ჰემშარიტი პოეზიის ენით გამოთქვა სულიერი მშვენიერებით ნაკარნახევი სიყვარული; თვით მიძღვნილ ლექსებშიც კი, რომლებსაც კონკრეტული ადრესატი გააჩნიათ, პოეტი გაურბის ხორციელი სილამაზის დასურათებას. თვით კიბა აბაშიძემ თავის დროზე აღნიშნა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი სიყვარულში იმას უგალობს, რაც კი რამა აქვს ამ გრძნობას უზენაესი და უკვდავი. ამის გარეშე არ დაიწყებოდა „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო წავთვალედიანო, დღისით მზევ, ღამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმადანო!“ პოეტი, რომლისთვისაც „მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული“, ერთ-ერთ უსათაურო ლექსში თავისი სულის მოძრაობას, უფრო სწორედ, სულიერ ყოფას ასე გადმოგვცემს:

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ოიმიოთ გეგხარ მაისის დღესა,
მე შენს თვალებში ვჭვრეტ საშოთხესა
და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

სხვა ლექსებს აღარ დავიმოწმებ. მოვიტან მხოლოდ ერთ ადგილს სიმონ ჩიქოვანის წერილიდან: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა უარყო აღმოსავლური პოეზიის სატრფილო ლირიკაში გამეფებული სანთლისა და ფარვანას, ვარდისა და ბუღბუღის და სხვა ამგვარი სიმბოლოების მოშველიებით სატრფილო სიმღერის თქმა. მან დასძლია აღმოსავლური გრძნობა სატრფილო ლირიკაში და სიყვარულის თემა დიდი დაფიქრებისა და განსჯის საგანი გახადა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით დაკარგულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით ასახავს X-XII საუკუნეების საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, მართალია, ჩვენ არ ვიცით მისი ფორმა და შინაარსი, მაგრამ სათაურიდანაც ჩანს, რომ იგი პატრიოტული სულისკეთებით უნდა იყოს გაჟღენთილი.

საგულისხმოა, რომ პოეტი არც ერთ ლექსში უშუალოდ არ მიმართავს სამშობლოს, მაგრამ მთელი მისი პოეზია პატრიოტიზმის ძალეში გამოხატულებაა. ასევე საპროგრამოა პოეტის შემოქმედებაში პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც მომავალში, ოთგორც მისი ავტორის სხვა ნაწარმოებები, მკერა, უკეთ გაიშიფრება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული მუზა მარტოოდენ წარსულის აღდგენას ეი არა, მშობლიური მიწის ეროვნული ძალების გაღვივებას უგალობს. მისი პოეზიის დასაყრდენი ქართული მიწა, ხოლო სამარეკლო — საქართველოს ცა. საგულისხმოა, რომ „შემოღამება მთაწმინდაზედ“ სამშობლოს სიყვარულის ნათელი გამონაშუქია. ცხადია, სწორი არ ვიქნებით. მასში მხოლოდ ბუნების სურათების ხილვით რომ დავკმაყოფილ-

დღე. მართალია, ბუნების გაიდგალება ქართული რომანტიზმის დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მართო რომანტიული განცდა არ არის:

ეროვნული
განათლება

სდუმდა ყოველი მუნ არე-მარე,
ბინდი გადევრა ციხა კამარას.
მოხდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური,
ვარსკვლავი მართო მისა ამარა.
გინახავთ სული ჭერეთ უმანკო,
მხურვალე ლოცვით მიქანცებულნი?
შას ჰგავდა მთვარე ნაწად მოარე,
დისკო-გადახრით შუქმიბინდული.

„ამგვარი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება!“ — გვარწმუნებს პოეტი და, ჩემი აზრით, იგი უბრალო სურათი როდია, პირიქით, ეს არის მშობლიური გარემოს ღრმა განცდა. გავიხსენოთ აქაი: „წინ მომეგებენ ღიმილით შენი მზე, შენი მთვარეო, გუნდი და გუნდი ვარსკვლავი, მოკაშვამ-მოელეარეო“... ან კიდევ: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, სულის ჩამდგმელო მხარეო...“ აქაც ბუნების დასურათხატების გენიალურ მეტაფორებში სამშობლოს უმაღლესი განცდაა განსახიერებული. ისიც სათქმელია, რომ მთაწმინდამ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდგომ ეპოქაში სულ სხვა შინაარსი შეიძინა. აკაცისათვის მთაწმინდა „საწვილიშვილო სამარის“ ასოციაციაა, ასეა გალაკტიონთანაც. მან იცის, როგორ აქვე „მონტესის ლანდს ძინავს მეფურ ძილით“, რომ „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“...

დღეს ჩვენს წარმოსახვაში მთაწმინდა უპირველესად ეროვნული პანთეონის სინონიმია. პანთეონისა, რომლის საგანგებო სულმნათი წინაპრების ძვლებია მიბარებული, მათ შორისაა ქართული პოეზიის ნორჩი გენია — ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლისთვისაც „თვითულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია“ (ილია).

სიტყვა მეზობარი პოეტის ფიგურა

კეთილო სულო,
ჩემი მადლობა,
ალბათ, წამიყვან
ცისფერ ბილიკით.

ამ სტრიქონებით იწყებს საუბარს ზურაბ ფირცხალაიშვილი თავის მკითხველთან. მკითხველს კი სჯერა, რომ პოეტი ამაოდ როდი დაადგა ცისფერ ბილიკს. მას აქვს გამოცანა, რათა ათასი მეფისტოფელის ზავას და მტრობას პასუხი გასცეს, „ყალბი სიკეთით“ ჩასაფიქრებელ ათას თვალსაც პატიოსანი თვლებით მოჰედილი ავგაროზი დაახვედროს. ამ ავგაროზს „მზის ნატეხები“ ჰქვია. უთუოდ დაიცავს იგი პოეტს მაცდურებისაგან, აჩუქებს მას ბედნიერ დღეებს; სხვა დღეებს კი „როგორც ძველ შეცოდებას, მარადისობის სიმკაცრე წაშლის“. თუმცა ყველაფერი ეს, უბრალოდ, არაფრისაგან როდი მოდის. უპირველესად მას განაპირობებს პოეტის ერთგულება ფაქიზი გრძნობებისადმი, პირველყოფილი მშვენიერებისადმი, ადამიანური ტყივილებისადმი. ეს ერთგულება სამსა-

სოფელი და მომადლებულ ტაღანტს, ლექსის ფლობის ყველა არგუმენტს და რუდუნეობას და მტყაითობით შექმნილ თავისებებს აერთიანებს.

ზ. ფირცხალაიშვილი ახერხებს დავისათვის არამარტო ლექსის საგანი, არამედ თავისი სულიერი პოტრეტიც. ამაში ადვილად დაგრწმუნდებით, თუ მოვიშველიებთ მისივე წარმოსახვის ლაბირინთებიდან მზის სინათლეზე გადმოღვრილ სტრიქონებს. ისინი ნიჭიერი ხელოვანის შტრიხებით დასატული ადამიანის სულია. მოვუსმინოთ თვით ავტორის „მიმწუხრის ფერა სულში შემოდის“, „ყოველ წამს გვესმის ხეთა ჩურჩული, თითქოსდა ვიდგეთ ღმერთის წინაშე“, „სარკმელთან ვხვდები მზის აღზევებას, ნათლით ივსება სულის კუნჭული“, „თუმცა არაიწმინდოა მელოდება, წინ მეზიდება სული მთრთოლვარე“, „ჩემი დღეების რგმა კელური, ცხელ უდაბნოებს სტვენით გადადის“...

ასეთ წარმოსახვათა ერთობლიობით საგნე გული პოეტს აქმევინებს:

ეს მარადისკენ ჩუმი ლტოლვაა,
რომ დრო სამსალით გეაღვრებდა,
რომ სული შენი იქცა ვულკანად,
და ამოხეთქა გულმა ლექსებად.“

ეს სტრიქონები ეხმიანება მკვნივარე და რაინდული სულის ამოძახილს.

ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარავს.

ზ. ფირცხალაიშვილი თავისი ლექსით ერთგულებას ეფიცება სათაყვანებელი მგონის პოეტის, სიყვარულს უცხადებს მას.

ზ. ფირცხალაიშვილს აქვს საკუთარი სიხარული და საწუხარიც. ორთავე შემთხვევაში იგი თავისთავადია.

პოეტისათვის ტკივილია „განძაცული“ შემოდგომის ხენი. მისი მგრძნობიარე გული მწარედ განიცდის, რომ უკვე „მოკვდა ოტელო და დეზდემონა“, სამწუხაროა ისიც, რომ სიკეთეს ისინი აქებენ, რომელთაც მისი არსებობა არ სჭერათ... რატომღაც არ იქნა და არ აღსრულდა „ბავშვობის ლურჯი სიზმარი, უღამაზესი, უნაზესი და მიმწუხარი“.

პოეტი ტკივილიანი კითხვით მოგვმართავს: „ვინ ამიყვარებს ბავშვობის მზეს ოქროს ნოტებით?“ ეს თითქოსდა გულუბრყვილო ამოძახილი საწყისია უფრო გაბედულ და ფილოსოფიური აზრით სავე კითხვებისა: „ყოვლისმხილველო, ერთ სხეულში როგორ თავსდება, ადამიანის, ეშმაკის და ღმერთის სახეა?“ ან კიდევ, „ნუთუ სევდა მართლა სიმღერაა?!“.

სურავ ფირცხალაიშვილი მოაზროვნე პოეტია. იგი რუდუნებით ძერწავს სათქმელს. დაკვირვებით ხატავს სურათებს. ბუნებრივობით, სიზუსტითა და პოეტური სახეებით გვაშთაბნობს თავს ავტორის მიერ დახატული სოფლის განთიადი:

ნისლს — ღამის პერანგს
მთა ხევისპირს გადიხანის მშვილად,
შორს განთიადი ილანდება —
თეთრი ფრთა მტრედის,
და სადღაც შეხსნილ,
ხორბლისფერი გულისპირიდან
სოფელს ვნებთან დიაცივით
აუღის მკერდი...
რალაც პირველქმნილ შანგზე უსტვენს
სოფლელი ბიჭი,

ნიავე ნებებს

ოქროს კულუღის უვარცხნის ანცად...

ისე ირთვება ცის თავანი,

მზეც ისე იწვის,

თათქისდა ხადმე აპირებდეს

ხოფელი წასვლას...

ზ. ფირცხალაიშვილი მარტო პირად გრძნობებს აყოლილი მოლექსე როდია. მისი პოეზია გვჩიბლავს მოქალაქეობრივი უღერადობით. გვჩიბლავს იმიტომ, რომ მათგან შორსაა მშრალი პათეტიკა. ხალასი, გულისხმიერია პოეტის სასიყვარულო აღსარება მშობელი ქვეყნისადმი. ეს ისეთი უანგარო სიყვარულია, რომლის გამო ზ. ფირცხალაიშვილის სიტყვებიდან რომ ვთქვათ, სიტყვის თქმა თითქმის არის „ღალატი“.

მაღალადაპიანური მოვალეობის შეგნება წარმართავს პოეტის სალექსო სტრიქონებს:

მშვიდი საწუთრო სხვისი ხედრია,

ჩემს სულის რად უნდა გამოსარჩლება,

წამებულები ველზე კვდებიან

ცისა და მიწის გადასარჩენად.

პოეტი თავისი კალმით იმათ რიგში დგას, რომელთაც ბედნიერ ხედრად ესახებათ ერისათვის თავდადება:

თუ სამშობლოში მე ლექსის თქმა ვერ მოვასწარი, მაშინ ადრეულ ყვაწილივით ველზე მოვკვდები, ამბობს ზ. ფირცხალაიშვილი ერთ-ერთ თავის ლექსში და მისსავე სიტყვებს სხვა შემთხვევაში საოცრად ლამაზ ნატვრასაც ურთავს:

ღმერთო, მომკალი

ისე უბრალოდ,

რომ საქართველოს ცაჲ მოვენატრო...

ეს უბრალო და სტრიქონებში შემთხვევით მიზარებელი ნატვრა როდია... ეს კაი ყმისა და კაი პოეტის წინასწარმეტყველება...

ციხანა ანთაძე.

„ჩ ა ფ ი ქ რ ე ბ ა“

ნოველა რთული ჟანრია. რთულია იმიტომ, რომ აქ ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას, დაწერილს თუ წაგულისხმევს, არა მარტო სემანტიკური, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. ნოველის სიუჟეტი ლირიკულ-დრამატულია თავისი ხასიათით: თუმცა, ერთი შეხედვით, შეიძლება ჩვეულებრივი ამბავი ედოს დაბულად. დიახ, ჩვეულებრივია თითქმის ამბავი, მაგრამ ჩავაფიქრებს უნებურად...

სწორედ ასეთ წიგნზე მინდა ვისაუბრო ახლა.

ესაა მწერალ ვახტანგ ახვლედიანის წიგნი „ჩაფიქრება“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა აკარამ“ მიაწოდა მკითხველებს.



ანოტაციაში ვკითხულობთ:

„მწერლის ამ კრებულში დაბეჭდილი სოცელები და მინიატურები გამოირჩევა ჩაფიქრებით, თხრობის თავისებური კოლორიტით, სიმბოლიკური სახეებით, ტყვეობით იუმორით...“

ვ. ახვლედიანის სახელი კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. მისი ნო-
ველები, მოთხრობები, მინიატურები, ნარკვევები ხშირად იბეჭდება „მნათობის“, „ცის-
კრის“, „ჰოროზის“, „დროშის“, „ლიტერატურნაია გრუზიას“, აგრეთვე რესპუბლიკური
და საოლქო გაზეთების ფურცლებზე.

„ჩაფიქრება“ მეშვიდე წიგნია ავტორისა.

„დიდი ევკალიპტის ქვეშ, სამი გზის გასაყართან რომ შრიალებს ამაყად, ჩვეულებ-
რივ, თავი მოეყარათ ჩემი სოფლის ბერიკაცებს...“ — ასე იწყება ნოველა „ბერიკაცები“.
შემდეგ მოქმედება დიאלოგით ვითარდება და თქვენ, რა ასაკისაც უნდა იყოთ, უნე-
ბურად ხდებით არა მარტო მკითხველი, არამედ მონაწილეცა და თანამოაზრეც ბერიკაცე-
ბის ფიქრებისა, ტყვილებისა, გულღია სიცილისა თუ ნაღველისა.

ამ ნოველაში უსახელო პერსონაჟებია გამოყვანილი. ეს გასაგებიცაა. ისინი აქარის
ერთ-ერთი სოფლის ბერიკაცების განზოგადებული სახეებია. მათი საფიქრალი, მშობლი-
ური სოფლიდან წამოსული, ზოგადსაკაცობრიო საფიქრალიცაა.

მწერლობა მარტო ის კი არ არის, გქონდეს სათქმელი და იცოდე წერა, იგი უფრო
სხვაა, სიღრმისეული, აქ მთავარია, როგორ ამბობ სათქმელს. ხშირად ისიც, როგორ აი
ამბობ, მაგრამ უფრო ხატოვანს კი ხდი მას. ამ ხერხს კარგად ფლობს მწერალი, მოხუ-
ცები, რამდენიმე სიტყვით, სოფლელთათვის ჩვეული ენაშაზილობითა და პირდაპირ-
ობით „ქრიან“ დიდ, საკაცობრიო პრობლემებს.

შთამბეჭდავია ნოველის ფინალი...

— რას შერები, კო, ტირი?

— პო.

— ჩვენ ეს ისე მოვეყვით... სულაც არ გვინდოდა შენი წყენინება.

— არც მწყენია.

— აბა?...

— რომ მომაგონდება ი ცხონებული...

— გიყვარდა?

— ახლაც მიყვარს.

— პირველი სიყვარული მინც სხვაა, კაცოო!

— სხვაა, სხვა?!?

— ეგებს!

და თავი ჩაქინდრეს ბერიკაცებმა. ერთხანს ისხდნენ ასე უბრად, საკუთარ ფიქრებში
ჩაღრმავებულები, მერე თითო-თითოდ გაიკრიფნენ დიდი ევკალიპტის ძირიდან, სამი
გზის გასაყარზე რომ შრიალებს, ამაყად შემართული...
ნოველა „ხალილა“-ში მოთხრობელი მოხუცია „ოთხმოცს გადაცილებული“, „თეთრ-
წვერდაფენილი“. იგი ყველა ამბავს თავის მეზობელ ხალილაზე, დიდი ფიზიკური ძალისა
და გოლიათური აღნაგობის კაცზე, რომელსაც ურმასავით კეთილი და მიმნდობი გული
აქვს. ტრაგიკულია ხალილას ბედი... კეთილი იუმორითაა შეზავებული ეს ნაღვლიანი
ამბავი. იუმორი მკითხველისათვის განწყობილების შექმნის მიზანი არ არის ნოველაში,
იგი თვით მოთხრობელის ბუნებიდან მოდის და ხალილას ხასიათის გახსნას ემსახურება.

მოვიყვანთ რამდენიმე სტრიქონს, სადაც ძუნწი შტრიხებით, მაგრამ კოლორიტული
მიგნებითა და მხატვრული დამაჯერებლობით წარმოგვიდგება მოხუცი მოთხრობელისა და
ხალილას სახეები:

„ერთხელ (გახსოვს, დურმიშაჟი!) ჩვენმა კოლმეურნეობამ ახალთახალი, გაქანქალე-
ბული წითელი ფერის ტრაქტორი მიიღო. თავმჯდომარემ (კაცი იყო, კა-ცი!) ახლანდელს

კი არ გავდა...) ხალილას ეკუთვნისო. გაღირია სიხარულით ხალილაი, იმხელა კაცსა. ახლა რაჟე გაახარებდა. ბაღვეით იყო. ჩაჯდა და, გაარბენებს-გამოარბენებს, გააჩერებს-გამოაჩერებს... თან როხროხებს და როხროხებს. გააჩერებს, ჩამოხტება, შემოუბრუნებს ირგვლივ, მოეფერება... გადაუსვამს ხელს, გადმოუსვამს, გადაუსვამს — გადმოუსვამს... მერე ჩაჯდება და გააჟენებს. თან როხროხებს და როხროხებს...“

ნოველის ფინალში მწერალი ზედმეტი ფსიქოლოგიური წიაღსვლებისა და დეტალების გარეშე ახერხებს ხალილას ტრაგედიის დახატვას.

„არ მომკლა, ხალილ! — შეეხვეწა მას ბრიგითი და მაშინვე მოუღუნდა მკლავები.. ნელა ჩამოსვა.

ქალი უღონოდ ჩაიკცა იატაკზე. ხალილაი დაიხარა, ხუჭუჭი თმები გადაუწია სახეზე...“

ორი კურცხალი, ორად-ორი კურცხალი ჩამოუგორდა ლოყებზე ხალილას. მერე წამოდგა უცებ და გავიდა სახლიდან. ჩქარი ნაბიჯით გადატრა ქუჩები, გაიარა პარკი და ზღვის პირას გავიდა.

ღელავდა ზღვა.

ხალილამ პიჯაკი გაიხადა და გვერდით მოიქნია.

უყოყმანოდ შევიდა წყალში.

ცურვა არ იცოდა ხალილამ...“

ნოველაში „ფატი“ მკითხველს ხიბლავს მთავარი პერსონაჟის — ბეჟანის სახე, მისი პირველქმნილი გულუხარეცილობა და მიაძრევადობა.

ბეჟანს ბლაცეს ეძახიან სოფელში. ყმაწვილი კაცია ბეჟანი, აწლად შეღვრებული. ასეთ ასაკში ოცნებობენ ქალზე, დღისთავ და ღამითაც ოცნებობენ. ასეა ჩვენი გმირიც. მაგრამ, როცა უნებურად მარტო დარჩება ფატისთან (ბესო ქალაქშია წასული) და მიხვდება ქალის აზრს... თუმცა, უმჯობესია, პირდაპირ მოვიყვანოთ ეპიზოდი:

„...სწრაფად გაიღო კარი, ბეჟანი ეზოში გამოეარდა, მაღალი ნახტომით გადაეცლო ღობეს და სიმინდების ტევრს შეერია.

ფატი დაბნეული იდგა ტახტთან. სახეზე უცნაური ღიმილი შეჰყინვოდა.

— ბლაცეი... ბლაცეი ბეჟანაი!..“

— ბლაცეი ბეჟანაი! — ფატისთან ერთად ვამბობთ ჩვენც (ვიყოთ მართალი, ვადი-ართო ეს), მაგრამ მთელის არსებით მაინც ბეჟანის მხარეს ვართ.

ფილოსოფიურია ნოველა „სარკე“. ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ, შეიძლება რამდენიმე წამით ან წუთით, ნათლად დაინახავს თავის თავს. ვის ღომად წარმოესახება თავი, ვის მგლად, ბეჰემოტად, ვირად, მაიმუნად, ქამელეონად, ბოლოქანქარად...

ხოველის გმირმა კი, ერთ დღით ჩაიხვდა სარკეში და... ფინია დაინახა. ამ ნაწარმოების სიუჟეტი ერთგვარად პიპერბოლიზებულია მოგვეჩვენოს შეიძლება, მაგრამ თუ ჩაუღრმავდებით მის არსს, სიმაღლედ შეგეძრავს.

ფინია სარკეში — ფაქტობრივად მრავალსახოვანი სიმბოლიკაა ზოგიერთის სულიერი სიძრულისა და უკეთურობისა. მისი ასე მოულოდნელი გაცხადება არ ნიშნავს პერსონაჟის მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი გარდატეხის დასაწყისს.

ასეთი შემთხვევები ხდება ნერვული სტრესის ან სხვა რაიმე ფსიქიკური გადაძაბვის შედეგად. სულ ცოტა ხნით. მერე კი ყველაფერი ისევ თავის ადგილას ლავდება...

ეახტანგ ახვლედიანის ნოველებში იუმორი და ნალღიანი ჩაფიქრება თითქმის ერთი მთლიანობაა. იგი კეთილიცაა („ბერიკაცები“, „ხალილა“, „ბეზიას სადღევრძლო“, „თვალშავი“, „მარჯანი და ისკანდერი...“) და ირონიულიც („თუთიუში“, „მაგრამ“, „ვაჟკაცი“, „გემუდარები, დახარე თვალეები“), ზოგჯერ სარკაზმამდე მისული (იგივე „თუთიუში“, „ქათამი კვერცხი და... წიგნი“).

„შარშანწინ იყო ეს...“ კრებულის საუკეთესო ნაწარმოებია. იგი თავისებურია კომ-

პოზიციურადაც, იდეურადაც, სიუჟეტურადაც, სტილურადაც... მისობელი უსხვანაღვრად მაგრამ ავტორი არ არის იგი. მაშინვე მიხვდებით ამას, როგორც ეს შეუდგენილ ნაწარმებს ღის კიახვას.

„გული მაქვს იმისთანა, რომ მეწყინება რამე, მთელი ნამსხვანი მტკივა მერე. დრო ყველაფერს ჰკურნავს! კი, ჩემო ძმა და იმედო, კი, აბა რას შერება... მაგრამ სხვას. მე, აპაპ! გავიგებ რამეს ისეთს და დამჭეკავს... ისე დამჭეკავს, ასე, როგორც გრიპზე-რალს დიდი ტემპერატურის წინ. აააა, ძმა და იმედო, ჩემისთანა კაცი ზევს ვერ იტოცნლებს. წნულ!“

ფეიქრობთ, ამ რამდენიმე ფრაზითაც გამოიკვეთა უკვე მთხრობელის ხასიათის კონტურები, მისი მეტყველების თავისებური მანერა, ემოციური, ნერვიული ინტონაციებით... მწერალი არ ტვირთავს ამბავს გრძელი ფრაზებითა და წიაღსვლებით. თხრობა უშუალოა, ბუნებრივი, ამავე დროს არიტმული, აზრები ზოგჯერ დიფერენცირებული, წყვეტილ-წყვეტილი, შიგადაშიგ პაუზებით. გრძნობ, თვალგება აქ უფრო მეტყველი, მთხრობელის თვალგება.

კარიერისმით რომ დაავადდება კაცი, წასულია მისი საქმე. ვ. ახვლედიანის ამ ნოველში განდიდების მანიით შეპყრობის პროცესი ორიგინალურადაა გახსნილი ერთ აბზაცში:

„მზე სულ მაღლა-მაღლა მიიწევს. მიიწევს და გათბობს. კარგია, რო გათბობს. თბილად კარგია. კარგად ხარ. კარგია რო კარგად ხარ. მერე ჩრდილოეთითაც გაიხედავ. მთებისაკენ. კაი შესახედავია, ძმა და იმედო. კიდევ გაიხედავ, უფრო მოგეწონება. ოქროსფერი მწვერვალები აზიდულან ცაში... უუუ?! უფრო ხშირ-ხშირად გაიხედავ. ასე იცის მწვერვალებმა, მიგიზიდავს კაცს. გავიწყდება, რომ ყველაზე მაღალ სიმაღლეს ყველაზე ღრმა უფსკრული ახლავს. გავიწყდება, იმიტომ, რო კარგად ხარ. არ გაიხედო სჯობია, მაგრამ გეხედება. არ გეხედებოდეს სჯობია. შენც იცი ეს, მაგრამ თავისით... თავისით... გიჟდება კაცი. ძილი არა! მოსვენება არა! დღე არა! ღამე არა! იმიტომ, რო ერთხელ გაგეხედა...“

წიგნი ორი განყოფილებისაგან შედგება. მეორე განყოფილება მინიატურებია.

ძნელია სულ რამდენიმე სტრიქონში ჩაატოო სათქმელი. მინიატურა კი სწორედ ასეთ სათქმელს ითხოვს, ხილულის მიღმიდან წამოსულს, გამოუთქმელს, ზოგჯერ სულაც ცნობიერების მიღმა, გაურკვეველობაში, მოარულ სათქმელს.

მაგალითისათვის ავიღოთ კრებულის ერთ-ერთი მინიატურა, „ფოთოლცენა“. შემოდგომაა. ჭაღარა ფოთლები სცივია ხეებს. პარკში მოხუცი წყვილი ზის. ფოთლები კი ცვივა და ცვივა. უყურებენ მოხუცები ამ სურათს და ილიმებიან. უცებ ბიჭუნები გამოჩნდებიან. მორბიან და მოფარფატე ფოთლებს პაერშივე ურტყამენ ფეხს.

— წარმოგიდგენია? — ამბობს კაცი, — ზოგიერთი მწერთნელი დავალებასაც აძლევს თურმე, ჩამოცენილ ფოთლებს მოარტყან ფეხი.

— ჰოო!.. — ქალი ილიმება. ტკივილიანი ღიმილით ილიმება ახლა“.

დატვირთულია, დამუხტულია ეს ორი ფრაზა. აქ მკითხველსა და მწერალს შორის კომუნიკაციის ფორმა უფრო ღუმელია, რომელიც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს განწყობილებას, ძაბავს მკითხველს.

მახვილივით ალესილია მწერლის აუზორი. შეგნიდან მოწოლილი სიცილის უცარ აფეთქებას სედიანი ჩაფიქრება მოსდევს, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს მინიატურიდან „ქათამი, კვერცხი და... წიგნი“.

„გამომცემლობაში უცნობი შემოვიდა. თანამშრომლები შეათვალიერა და მომმართა.

— მაპატიეთ, რას აკეთებთ?

— ცეცხლ, — ვუპასუხე მე.

უცნობმა შიშით მიმოიხედა და ნაბიჯი უკან გადადგა.

— ვ-ვის?..

— ვის კი არა, რას.

— ბოდიში... რას?

— წიგნს! — ვუპასუხე მე და მაგიდაზე დახვეწებულ ანაბეჭდებს ხელა დავარტყი.

— მართლა?.. — უცნობმა სიბრაღულით სავსე თვალები მაამყრო ათაბეჭდებს, — მერედა, არ გეცოდებათ?”

მკითხველი ინტერესით წაიკითხავს მინიატურებს „დადიოდა ქალაქში კაცი“, „დიდი წენე“, „თოვლი“, „თხმელის სალამური“, „ფერისცვალება“, „გარეთ გულსაყლაფად წიოდა ქარი“ და სხვ.

და ბოლოს, ერთი რამ. კითხულობთ ამ წიგნს და შორიდან, ძალიან შორიდან, თი-თქოსდა შენივე სამყაროს წიაღიდან გესმის „ხმა იდუმალი“. არა, კი არ გესმის, გრძნობ, უფრო, რასაკვირველია, მეტნაკლები სიძლიერით სხვადასხვა ნაწარმოების კითხვას დროს („ხალილა“, „ფატი“, „ბერიაცები“, „ხუსიკო“, „შარშანწინ იყო ეს“, „მარჯანი და ისკანდერი“ და სხვა). არც ისაა გასაკვირი, რომ ზოგჯერ მინორული ხდება ეს ხმა, ალაგ-ალაგ კი გეკარგება სულაც.

ეს ის შორეული ხმაა, ასე რომ სჭირდება მკითხველს ქვეცნობიერად, მაგრამ იშ-ვიარად კი ესმის...

კრებულს „ჩაფიქრება“ უწოდა ავტორმა, თუმცა შიგ არც ერთი ნაწარმოები არ არის ამ სათაურით. იგი წიგნის საერთო განწყობილებიდან მომდინარეობს.

საინტერესოა წიგნის მხატვრული გაფორმებაც, რომელიც თვით ავტორს ეკუთვნის.

ავთანდილ ფინასშიძე



დაუასებული ამაგი

ამას წინათ ჩვენმა საზოგადოებრიობამ აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის დაბადების 70 წლისთავი აღნიშნა.

ამ თარიღთან დაკავშირებით მინდა რაზღენიმე ეპიზოდი გავიხსენო ჩვენი სტუდენტური ცხოვრების წლებიდან, როდესაც პატივცემული გიორგი და მე ახლო მეგობრები ვიყავით.

უნივერსიტეტის პირველ კურსზე სწავლის დროს, მეორე სემესტრის მიწურულში, ჩატარდა სემინარული მეცადინეობა რუსული ლიტერატურის ისტორიაში. ჩვენი მოხსენებები აგებული იყო უმთავრესად იმ მასალებზე, რასაც ლექციების კითხვის დროს გავეცანიით. ვილაპარაკეთ ცნობილი რუსი მწერლების ბიოგრაფიის მნიშვნელოვან მომენტებზე, ცალკეული ნაწარმოების განხილვისას გადმოვეცით მათი შინაარსი. გიორგი ჯიბლაძემ კი ფართოდ მიმოიხილა რუსული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, ცნობილი მწერლების შემოქმედება. აღნიშნა, თუ რა ნაწარმოებებით დამკვიდრდნენ ისინი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. მისმა განოსვლამ ყველა ჩვენგანზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც გ. ჯიბლაძის თაოსნობით, მე დიდი პატივი დაღდეს — ამირჩიეს სტუდენტთა სამეცნიერო-ლიტერატურული წრის გამგეობის თავმჯდომარედ. მდივანი იყო ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლის გიორგი ჩუბინაშვილის ქალიშვილი რუსუდანი. აღნიშნული წრის სხდომებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ სტუდენტები, შემდეგში დიდად ცნობილი მწერლები და მეცნიერები: ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, დავით კობიძე, ივანე გიგინეიშვილი, ტრიფონ რუხაძე, სერგი ჭილაია, გიორგი ჯიბლაძე.

სამეცნიერო-ლიტერატურული წრის სხდომებზე სტუდენტები დიდი ინტერესით ვისმენდით პროფესორ-მასწავლებლების განოსვლებს. ჩვენს მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სერგი დანელიას, აკაკი შანიძის, მიხეილ ზანდუკელის შესანიშნავი ლექციები.

უნივერსიტეტში სწავლის წლებში გიორგი ჯიბლაძემ ხელი მოჰკიდა საყვარელ საქმეს — ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მისი წერილები გამოქვეყნდა თბილისის ბევრ ჟურნალ-გაზეთში, უმთავრესად კი „ახალგაზრდა კომუნისტში“.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ გიორგი ჯიბლა-

მე ჩარიცხეს ასპირანტურაში, მაგრამ იგი თავის მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა და საქალაქო გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ ჯერ პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ რედაქტორის მოადგილედ და რედაქტორად მოღვაწეობდა.

21 წლისა იყო, როდესაც დაიბეჭდა მისი პირველი წიგნი „ლიტერატურული საკითხები“, დღეს კი მეცნიერი 40 წიგნის ავტორია, მათ შორისაა როგორც საკანდიდატო დისერტაცია „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“ (1939 წ.), ასევე სადოქტორო დისერტაცია „ხელოვნება და სინამდვილე“.

რასაკვირველია, ძნელია, ერთ წერილში ვისაუბრო ესთეტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ მის ნაშრომებზე, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე ლიტერატურულ თუ მხატვრულ პროცესს, ამ პროცესის უშუალო მონაწილეა. ამ მხრივ მეტად დანახასიათებელია გიორგი ჯიბლაძის დედაწლი დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედების გაშუქებაში.

როგორც ცნობილია, ლადო გუდიაშვილის თვითნაყოფადი, მეტად თავისებური შემოქმედება ფორმითა და შინაარსით მკვეთრად გამოირჩევა სხვა ხელოვანთა შემოქმედებისაგან. ბევრი დამთვალიერებელი, მათ შორის ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწეც, ლადო გუდიაშვილის ქმნილებებს რეალისტური ხელოვნების მიღმა აყენებდა და მხატვრის ახირებად, ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევდა.

გიორგი ჯიბლაძემ დამაჯერებლად განმარტა ლადო გუდიაშვილის შემოქმედების თავისებურებები, მისი ეროვნული ხასიათი. აი, რას წერდა მეცნიერი მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ლადო გუდიაშვილი“: „მისი შემოქმედება რეალისტური მხატვრული წარმოსახვის დადასტურება და გამარჯვებაა. რეალიზმი რომ ტილოზე სინამდვილის მარტოოდენ გადატანას ნიშნავდეს, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია, მაშინ საკითხაია, რატო საჭიროა ხელოვნება, როცა სინამდვილე თვით სინამდვილეში უკეთ შეიძლება დავინახოთ, ვიდრე ტილოზე გადატანილი? ხელოვნება იმიტომაც საჭირო, რომ სინამდვილეში ის დავგანახოს, რაც ჩვეულებრივი ადამიანისათვის შეუმჩნეველია, ის გვაგრძნობინოს, რასაც შემოქმედის გარეშე ვერ განვიცდით, ერთი სიტყვით, რეალიზმი ხელოვნებაში სინამდვილის დანახვაა და არა სინამდვილის განმეორება; ამაღლებული რეალობა, რომელსაც სწორედ ამაღლებულობისა გამო რომანტიული შარავანდედი თავს დასდგომია. ვერ დავასახელებთ პარიზიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ გუდიაშვილის ვერც ერთ ნამუშევარს, რომელსაც ეს რეალისტური მაჯისცემა არ ჰქონდეს და გვირგვინად რომანტიკული შარავანდედი არ ედგას“.

ცხადია, ხელოვანის იდეურ-ესთეტიკურ მრწამსს მხოლოდ ის ჩასწვ-

დება, ვისაც კარგად აქვს გაგებული მხატვრული მიზნის არსი და უნარი შესწევს სწორად და მართებულად შეაფასოს ხელოვანის ღვაწლი.

ხელოვნება, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის, ამ ფუნქციას ხელოვნება მხატვრული კრიტიკის საშუალებით ანხორციელებს, მკვლევარი ყოველი თანამედროვე შემოქმედისაგან სამართლიანად მოითხოვს ახალი მხატვრული საშუალებებითა და ხერხებით წარმოსახოს ჩვენი ცხოვრების სიდიადე.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა მეცნიერის ბოლოდროინდელ კაპიტალურ ნაშრომზე „შოლოხოვის ეპოსი“. წიგნი საბჭოთა ლიტერატურის დიდოსტატის შემოქმედებას ღრმა ანალიზია, მკვლევარი ახლებურად გვაცნობს მიხეილ შოლოხოვის სამწერლო მოღვაწეობის ცალკეულ მომენტებს.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ. „აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფია „შოლოხოვის ეპოსი“ ავტორის ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია.

მონოგრაფიაში ბევრი ახალი მოსაზრებაა გამოთქმული „წყნარი დონის“, „დონური მოთხრობების“, „გატყნობილი ყამირის“, „ბედი კაცისას“ და „საძულვლის ჩეცნიერების“ შესახებ.

განსაკუთრებით ვრცლად არის განხილული მიხეილ შოლოხოვის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი რომანი. — „ისინი საშობლოსათვის იბრძოდნენ“.

გიორგი ჯიბლაძის მეცნიერული მოღვაწეობა ერთი რომელიმე დარგით არ იფარგლება. იგი არის ახალი და უახლესი ქართული, რუსული, უკრაინული, სომხური ლიტერატურის მკვლევარი, საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი მოღვაწეობა ხელოვნების ისტორიაში, პედაგოგიკაში, ფილოსოფიაში, აქასთან ერთად, შესანიშნავად უზამებს მეცნიერულ მოღვაწეობას საზოგადოებრივ საქმიანობას. გიორგი ჯიბლაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. მიღებული აქვს მთავრობის მაღალი ჯილდოები, იან ამოს კომენსკისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიები, ზოლო ახლასან დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

გულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ამ მაღალ ჯილდოს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ლადო შარაშიძე.



„ქართული ნეოპლატონიზმი“ და ნუცუბიძე-ჰონიგმანის იდენტობის თეორია

შალვა ნუცუბიძის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებულია. მისმა გამოკვლევებმა ზოგადფილოსოფიურ პრობლემებზე, ესთეტიკაში, აღმოსავლური რენესანსის საკითხებზე, ქართულ ფილოსოფიისა და რუსთველოლოგიაში საყოველთაო აღიარება და დიდი გამოხმაურება პოვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი უკავია „ფსევდო-ლიონისე არეობაგელისა და პეტრე იბერის იდენტობის თეორიას“, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია „ქართული ნეოპლატონიზმის“ პრობლემებთან.

ტერმინი „ქართული ნეოპლატონიზმი“ პირველად ნიკო მარმა გამოიყენა თავის ძალზე მნიშვნელოვან გამოკვლევაში, სადაც განხილულია შუა საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ ქართულად თარგმნილი პრიკლე დიადოხოსის თხზულება „თეოლოგიის პირველსაფუძვლები“ და მასზე დართული პეტრიწისეული განმარტებანი.¹ ნიკო მარი იოანე პეტრიწს საქართველოში ფილოსოფიური ტრადიციის დამყვანად მიიჩნევს. მისი შენიშვნით, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა განსაზღვრულია ბიზანტიელი ფილოსოფოსების მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის ნეოპლატონიზმით.

ნიკო მარს მიანიდა, რომ ბიზანტიური და ქართული კულტურის მიმართებისას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ბიზანტიურობის გავლენას ქართულზე, არამედ ქართულის ბიზანტიურზე გავლენასაც. ავტორის თქმით, ფაქტია, რომ არა მხოლოდ ბიზანტიაში აღორძინებული ნეოპლატონიზმი პოპულობდა გამოხმაურებას საქართველოში, არამედ თვით ბიზანტიაშიც შეიმჩნეოდა ქართული ელემენტი.

იოანე პეტრიწის მოღვაწეობა ქართველი ხალხის კულტურული აყვავების პერიოდს ემთხვევა. ეს ის ხანაა, როდესაც, ნიკო მარის სიტყვებს თუ მივმართავთ, ქართველები იმავე საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებითაც ქრისტიანული აღმოსავლეთი და დასავლეთი. ამასთანავე ქართველები სხვებზე ადრე ეხმარებოდნენ იმ დროისათვის ყველაზე პრიორიტეტულ ფილოსოფიურ აზრს. ნიკო მარის საინტერესო შენიშვნით, ქართველები ამ დროისათვის აწარმოებდნენ ბერძნული ორიგინალების უშუალო ტექსტულურ კრიტიკას.

ნიკო მარის ეს გამოკვლევა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესწავლისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. ავტორის მიერ მოხმარებული „ქართული ნეოპლატონიზმი“ ცნება შემდგომში სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს, როგორც ყველაზე შესაფერისი ტერმინი ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის გამოსახატავად.

„ქართულ ნეოპლატონიზმს“ ნიკო მარი მხოლოდ XI-XII საუკუნეების ქართული ფილოსოფიით შემოსაზღვრავდა; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი „ქართულ ნეოპლატონიზმში“ მხოლოდ იოანე პეტრიწის ფილოსოფიას აჯლისვამდა.

ქართულ ფილოსოფიური აზრის ისტორიის კვლევის შემდგომი ეტაპი შალვა ნუცუბიძის სახელთანაა დაკავშირებული. შ. ნუცუბიძემ გააფართოვა „ქართული ნეოპლატონიზმის“ ცნების საზღვრები. „ქართული ნეოპლატონიზმის“ ძირები, — ავტორის აზრით,

— უნდა ვეძიოთ „...არა XII საუკუნის დასაწყისში, არამედ V საუკუნეში, როცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პროკლეს თხზულების „კავშირნი ღმრთისმეტყველებისა“ არეოპაგიტული ინტერპრეტაციის, ე. წ. არეოპაგიტული წიგნების ერთადერთი შესაძლებელი ავტორი“². შ. ნუცუბიძეს არეოპაგიტული წიგნების ნამდვილ ავტორად V საუკუნის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი მიაჩნია.³ 10 წლის შემდეგ ნუცუბიძისავე დამოუკიდებლად ამავე აზრამდე მივიდა ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი ერნესტ ჰონიგმანი.⁴

შ. ნუცუბიძისა და ე. ჰონიგმანის ეს თვალსაზრისები მეცნიერებაში ნუცუბიძე-ჰონიგმანის ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტობის თეორიის სახელითაა ცნობილი.⁵ სიმარტივისთვის ჩვენ მოკლედ „იდენტობის თეორიად“ მოვახსენიებთ.

არეოპაგიტული წიგნების ავტორობის საკითხი საუკუნეების განმავლობაში აწვალბდა მეცნიერებას. ამ თხზულების არსებობა 532 წელს კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებაზე გახდა საყოველთაოდ ცნობილი. მის ავტორად კი გამოცხადებულ იქნა I საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე დიონისე არეოპაგელი...

რენესანსის მოაზროვნეებმა ლორენცო ვალამ და ერაზმ როტერდამელმა პირველბმა შეიტანეს ეკეი მის ავტორობაში. მომდევნო საუკუნეებში მიმდინარეობდა კვლევა-ძიება არეოპაგიტული თხზულების ნამდვილი ავტორის დასადგენად. აღნიშნულ საკითხს იკვლევდნენ როგორც უცხოელი (პ. კოხი, ს. შტიგლმაირი...), ისე რუსი (ფ. გუმილევსკი, კ. სკვორცოვი, ე. ბოლოტოვი...) მეცლევარები.

3. კოხმა არეოპაგიტის საფუძვლიანი შესწავლით დაადგინა, რომ ამ მოძღვრების ფილოსოფიური მსოფლმხედველობა განსაზღვრულია V საუკუნის ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის თვალსაზრისით. ს. შტიგლმაირმა კი აჩვენა, რომ ამ თხზულებათა ავტორი კარგად იცნობს პლატონის დიალოგ „ალკიბიადეს“, პროგრესულ კომენტარებს, რომელიც 462 წლითაა დათარიღებული.

სანამ შ. ნუცუბიძე აღნიშნული საკითხის კვლევას შეუდგებოდა, მეცნიერებაში შემდეგი შეხედულებები იყო მიღებული:

1. არეოპაგიტული მოძღვრება ნეოპლატონური ფილოსოფიის, კერძოდ, პროკლეს მსოფლმხედველობის უდავო გავლენას განიცდის.⁶

2. არეოპაგიტული თხზულებანი დაწერილია 462 წლის შემდეგ, ესე იგი, პლატონის „ალკიბიადეზე“ პროგრესული კომენტარების გავლენით. რამდენადაც ეს თხზულებანი პირველად 532 წელს იქნა მოხსენიებული, ამდენად არეოპაგიტული მოძღვრების შექმნის დრო 462-522 წლებით განისაზღვრა.

3. არეოპაგიტული თხზულებანი ქ. ლაზის კულტურულ გარემოში შეიქმნა და მისი ავტორი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.

ამ დასკვნებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი წარმატება, რაც ძირითადად შ. ნუცუბიძისა და ე. ჰონიგმანის სახელებთანაა დაკავშირებული.

შ. ნუცუბიძე გამოკვლევაში, რომელიც მიზნად ისახავდა არეოპაგიტულ თხზულებათა ნამდვილი ავტორის ვინაობის გარკვევას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ კულტურულ გარემოს, სადაც მოღვაწეობდა ამ არეოპაგიტული წიგნების სავარაუდო ავტორი. ამ წრეში შედიან პროკოფი და ენეა ლაზელები და ჰაქარია რიტორი („საეკლესიო ისტორიის“ ცნობილი ავტორი). შ. ნუცუბიძე დამაჯერებლად აჩვენებს, რომ არც ერთი მათთაგანი არაა ავტორი არეოპაგიტული წიგნებისა, უფრო სწორად, ეს ავტორები შეუძლებელია იყვნენ არეოპაგიტის ავტორები, რადგანაც პროკოფი ლაზელი ფილონ ალექსანდრიელისა და ორიგენის მსოფლმხედველობათა გავლენას განიცდის, ხოლო ენეა ლაზელი თავისი ქრისტოლოგიური შეხედულებების ჩამოყალიბებისას ემყა-

რება პლატონის ძირითად დიალოგებს. ენეა ღაზელის მსგავსად ზაქარია რიტორიც პლატონის ფილოსოფიის ერთგული დარჩა. შ. ნუცუბიძის შენიშვნით, რამდენადაც არეოპაგიტული მოძღვრება უშუალოდ პროკლეს ფილოსოფიას ემყარება, ამდენად ეს სამი ცნობილი ავტორი, როგორც არეოპაგიტის სავარაუდო შემქმნელები, „მოხსნილი“ უნდა იქნენ.⁷

ღაზელი მოაზროვნეების მსგავსად შეუძლებელია არეოპაგიტის ავტორებად მიჩნეულ იქნენ მათი თანამედროვენი — იოანე ფილიპონი და ლეონტი ბიზანტიელი, ვინაიდან თითოეულ მათგანს, — შ. ნუცუბიძის აზრით, — სულ სხვა იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდათ, ვიდრე ფსევდო-დიონისე არეოპაგელს (იგულისხმება პროკლეს ფილოსოფია — შ. მ.).

შ. ნუცუბიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიას“, სადაც აღნიშნულია: „იმ დიონისე არეოპაგელმა, რომელმაც წარმართობის უმეტერების წყვედიდან ღვთის შემეცნების განსაკუთრებულ შუქს მიიღწია ჩვენი მოძღვარი პავლეს მეშვეობით...“ აქ მკვლევარი ყურადღებას აქცევს გამოთქმას — „იმ დიონისემ“ (პირდაპირ დიონისეს ნაცვლად) და ასევე მეორე გამოთქმას — „ჩვენმა მოციქულმა პავლემ“. ამ ბოლო გამოთქმაში წესით უნდა ყოფილიყო „მოციქულმა პავლემ“. შ. ნუცუბიძის აზრით, აღნიშნულმა შეიძლება ის აზრი აღგვიძრას, რომ ზაქარია რიტორის მხედველობაში ჰყავდა იმ წრის მოძღვარი და მასწავლებელი, რომელსაც ის თვითონ ეკუთვნოდა. ამ წრის ხელმძღვანელი კი პეტრე იბერი რომ იყო. საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომაც, შ. ნუცუბიძის შენიშვნით, გამოთქმას „ჩვენი პავლე“ ამ შემთხვევაში სპეციალური აზრი ენიჭება, რამდენადაც ეს თავისთავად გვიკარნახებს გამოთქმის შეპირისპირებას სხვა პავლესთან — ქრისტეს მოციქულთან (იქვე), აქ საყურადღებო ისიცაა, რომ ზაქარია რიტორი, რომლისთვისაც საქმის ნამდვილი ვითარება ცხადი უნდა ყოფილიყო, არეოპაგიტული თხზულების ავტორად I საუკუნის მოღვაწეს აცხადებს. რაც შ. ნუცუბიძის აზრით, მიუთითებს, რომ აქ საქმე გვაქვს შეგნებულ „ფალსიფიკაციასთან“.

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების ურთიერთბრძოლის პერიოდში, ერთ-ერთი პარტიის მიერ დიონისე არეოპაგელის ავტორიტეტი იქნა დამოწმებული. კერძოდ, არეოპაგიტული თხზულებანი I საუკუნის საეკლესიო მოღვაწეს — დიონისე არეოპაგელს მიაწერეს. უდავო უნდა იყოს, რომ ეს „მიწერა“ დიონისე არეოპაგელის დიდი ავტორიტეტის გამო მოხდა და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. საერთოდ კი ამ დროისათვის წიგნის „მიწერა“ სხვა ავტორისადმი ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ის, რომ ამ პერიოდში სხვა ავტორისადმი სხვისი წიგნის მიწერა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს ერთი საინტერესო ფაქტის გამო: ზაქარია რიტორი თავის „საეკლესიო ისტორიაში“ პეტრე იბერის რაღაც „გამოჩენილ“ საქმეზე მიუთითებს, თუმცა ამ საქმის შესახებ არაფერს ამბობს და დუმილს ამკობინებს. ამასთანავე ზაქარია რიტორი სხვათა სიტყვების დამოწმებით, საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: თითქოს ვინმე იოანე ალექსანდრიელმა თავისი ნაწარმოებები პეტრე იბერს მიაწერა, პეტრემ კი ამ წიგნების გაცნობის შემდეგ ეს ფაქტი უარყო.

მეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ იოანე ალექსანდრიელი ისტორიული პიროვნება არაა. (ო. ბარდენშევერი). მაშასადამე, იოანე ალექსანდრიელის წიგნის მიწერა პეტრე იბერისათვის მთლიანად შეუძლებელი ამბავი ყოფილა. ყოველივე ამას, შ. ნუცუბიძის აზრით, ზაქარია რიტორი შეგნებულად სჩადის, რათა მკითხველისათვის პეტრე იბერის სამწერლო მოღვაწეობაზე მიენიშნებინა.

როგორც აღნიშნულად ირკვევა I საუკუნის საეკლესიო მოღვაწის V საუკუნეში

შექმნილი თხზულებების ავტორად გამოცხადებას პეტრე იბერისათვის არასებულო იოანე ალექსანდრიელის წიგნების მიწერასა და ზაქარია რიტორის მიერ აღნიშნულ პეტრე იბერის „გამოჩენილ“ საქმეს შორის რაღაც კავშირი მართლაც უნდა არსებობდეს.

ზემოაღნიშნულს გარკვეულად ნათელი უნდა მოჰქონოს საკუთრივ პეტრე იბერის პიროვნების შესწავლამ. ამ შესწავლის უმთავრესი მიზანი კი ის უნდა იყოს, რომ აჩვენოს შედგომით თუ არა პეტრე იბერი ამ სიღრმის თეოლოგიური-ფილოსოფიური მოძღვრების შემქმნა. ამ კითხვაზე პასუხი ძირითადად მის ბიოგრაფიაში უნდა ვეძიოთ. უპირველესად ყურადღებას ის, რომ პეტრეს ბიოგრაფიის ავტორები მას ახასიათებენ, როგორც დიდად ერუდირებულსა და უგანათლებელს პიროვნებას. „ქართველების სიამაყეს“, „მეორე პავლეს“. ამასვე გვაუწყებს ზაქარია რიტორის მონათხრობი პეტრე იბერის „გამოჩენილ“ საქმეზე.

პეტრე იბერის დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს ზაქარია ქართველი, სხვა ბევრი გამოჩენილი დამოწმებაც შეიძლება, რომლებშიც პეტრე იბერის დიდი და ნათელი პიროვნება ჩანს.

მ. ნუცუბიძე აჩვენებს მსგავსებას არეოპაგიტულ მოძღვრებასა და პეტრე იბერის ცხოვრების წესს შორის. როგორც ცნობილია, არეოპაგიტიაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მოძღვრება სიკეთეზე. ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა პლოტინისა და პროკლეს ფილოსოფიის საფუძველზე აღიარა სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა. არეოპაგიტიაში სიკეთის საბოლოო მიღწევა ხორციელდება მისტიკაში — ექსტაზის საფუძველზე. მ. ნუცუბიძე ყურადღებას აქცევს პეტრე იბერის ცხოვრებაში ისეთ მომენტს, საიდანაც ირკვევა: პეტრე იბერიც ცხოვრების ამნაირ წესს მისდევდა, კერძოდ, მისთვის ექსტაზი უცხო არ იყო: „მოულოდნელად ნეტარი (პეტრე) უცნობო შეიქმნა და ექსტაზში ჩავარდა და ამ მდგომარეობაში იგი დარჩა თითქმის საათს, საათნახევარს; თვალები კი ამ დროს უცვლელად ჰქონდა მიპყრობილი ცისაკენ...“⁹

საინტერესოა ასეთი ცნობაც: პეტრე იბერი ესაუბრებოდა ღაზელ ძენონს. ძენონის თქმით. პეტრე იბერი ამ აზრებით „პირდაპირი ვზით სიკეთისაკენ მიდიოდა“ (იქვე, გვ. 51). აქ, მ. ნუცუბიძის აზრით, არეოპაგიტულ იდეებთან გვაქვს თანმთხვევა, კერძოდ სიკეთის აბსოლუტურობის საკითხში.

მ. ნუცუბიძის სარწმუნო შენიშვნით, ერთმანეთს ემთხვევა აგრეთვე არეოპაგიტულ მოძღვრებაში მოცემული იერარქიული პრინციპი და პეტრე იბერის მასწავლებლის იოანე ლაზის მიერ წარმოდგენილი სამყაროს იერარქიული წყობა, რომელიც ანონიმს აქვს გადმოცემული. იოანე ლაზს — პეტრე იბერის მასწავლებელსა და მუდმივ თანამგზავს, სამყარო წარმოდგენილი ჰქონდა საფეხურებად, ანგელოზების, ქერუბინების, სერაფიმების... სახით. როგორც ცნობილია, არეოპაგიტული მოძღვრების ერთ-ერთი თხზულება — „ზეციური იერარქია“ სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილი და მასში მოცემული სამყაროს იერარქიული წყობის მოდელიც ისეთივეა, როგორც იოანე ლაზისა.

სარწმუნო ჩანს მ. ნუცუბიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში არსებულ „დიონისეს ავტობიოგრაფიაში“ (იგულისხმება I საუკუნის საეკლესიო მოღვაწე დიონისე არეოპაგელი — მ. მ.) არაფერია ნათქვამი მასზე, როგორც არეოპაგიტული თხზულებების ავტორზე: „ავტობიოგრაფიაში მინიშნებაც კი არაა დიონისეზე, როგორც არეოპაგიტული წიგნების ავტორზე, რაც VII-VIII საუკუნეთა დოკუმენტისათვის, თუნდაც აპოკრიფულისათვის, ფრიად მრავლისმეტყველია... ამგვარად, საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული წიგნი, რომელშიც არაფერი იყო ნათქვამი დიონისეს ავტორობის შესახებ არეოპაგიტული წიგნების მიმართ“.

ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია იოანე პეტრიწის ცნობა პროკლეს თხზულების



„თეოლოგიის პირველსაფეხელების“ ხელმეორედ თარგმნის შესახებ: „არამედ მიზეზი იყო, რომ აქაულად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობას.“¹⁰ შ. ნუცუბიძე თვლის, რომ პეტრიწის ეს განცხადება პროკლეს თხზულების ადრე შესრულებულ ქართულ თარგმანზე უნდა მიუთითებდეს, მთარგმნელი კი პეტრე იბერი უნდა იყოს. პეტრიწის ეს „განცხადება“ სხვადასხვანაირადაა გაგებული მეცნიერებაში.¹¹

ზოგადად შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება შ. ნუცუბიძის თვალსაზრისიდან: 1. ქ. ლაზის კულტურული გარემოს იმდროინდელი მოღვაწეები — პროკოფი და ენეა ლაზულები და ზაქარია რიტორი, აგრეთვე მათი თანამედროვენი — ალექსანდრიელი იოანე ფილოზონი და ლეონტი ბიზანტიელი შეუძლებელია არეოპაგიტული თხზულებების ავტორები ყოფილიყვნენ.

2. „დიონისეს“ და „მოციქულ პავლეს“ ნაცვლად ზაქარია რიტორის მიერ „იმ დიონისეს“ და „ჩვენი პავლეს“ მოხსენიება აჩვენებს, რომ საქმე გვაქვს შეგნებულ ფალსიფიკაციასთან.

3. ზაქარია რიტორის მიერ არარსებული იოანე ალექსანდრიელის წიგნების მიწერა პეტრე იბერისათვის, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, არეოპაგიტული თხზულებების მიკუთვნება I საუკუნის მოღვაწისათვის მიუთითებს, რომ ყოველივე ამას ზაქარია რიტორი შეგნებულად, გარკვეული მიზნით აკეთებს. აქ ყოველთვის მხედველობაში მისაღობი, რომ არეოპაგიტული მოძღვრება V საუკუნეში შექმნილი მოძღვრებაა. აგრეთვე ზაქარია რიტორის დუმილი პეტრე იბერის რაღაც „გამოჩენილ“ საქმეზე გარკვეული საიდუმლოების მაჩვენებელია.

4. არეოპაგიტული მოძღვრებისა და პეტრე იბერის სახელთან დაკავშირებულ თვალსაზრისთა დამთხვევა:

- ა) სიკეთის აბსოლუტურობის საკითხში
- ბ) სიკეთის მისტიკური გზით წვდომაში.
- გ) არეოპაგიტული იერარქიისა და პეტრე იბერის მასწავლებლის იოანე ლაზის მიერ წარმოდგენილი სამყაროს საფესურებრივი მოდელის იგივეობა.

5. დასასრულ კი პეტრე იბერის ფრიად დიდი განსწავლულობა და მისი დიდი ავტორიტეტი ქრისტიანულ სამყაროში იმის უდაო საფუძველს იძლევა, რომ მასში არეოპაგიტული თხზულებების შესაძლო ავტორი დავინახოთ.

არეოპაგიტული მოძღვრების ავტორობის საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებაში ადრე მიღებული შედეგების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი და ძირითადად ახლა აღნიშნული დასკვნების საფუძველზე შეაღვა ნუცუბიძემ პეტრე იბერი ფსევდო-დიონისე არეოპაგელს გაუიგივა და იგი აერეოპაგიტის ნამდვილ ავტორად გამოაცხადა.¹²

ერნესტ ჰონიგმანის თვალსაზრისი. როგორც უკვე ითქვა, შ. ნუცუბიძის თვალსაზრისისაგან დამოუკიდებლად, ამავე დასკვნამდე მივიდა ცნობილი ბელგიელი ბიზანტოლოგი — ერნესტ ჰონიგმანი. მიუხედავად იმისა, რომ ჰონიგმანისათვის ნუცუბიძის გამოკვლევა უცნობი იყო, მათი დასკვნები ბევრ პუნქტში ემთხვევა. სწორედ ამის გამო ჰონიგმანთან ნუცუბიძის მოსაზრებებისაგან განსხვავებულ ორიგინალურ მიგნებებს განვიხილავთ მხოლოდ.

ე. ჰონიგმანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანელი მეკლერის ოტო ბარდენპეიერის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც არეოპაგიტული თხზულებების ავტორი „უცხოელის ენით ლაპარაკობს“. ე. ჰონიგმანის გამოკვლევაში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზაქარია რიტორის ცნობას პეტრე იბერისა და თეოდოსი იერუსალიმელისათვის არარსებულობა იოანე ალექსანდრიელის შრომების მიწერას. ე. ჰონიგმანი ერთობ საინტერესო კითხვას აყენებს: საკითხავია როგორღა აირჩია „მოხერხებულმა ყალბისმქნელმა“ თავი-



სი ნაწარმოებების ავტორებად ეს ორი პირი, თუკი ისინი არ იყვნენ ცნობილი, სხვა შრომების ავტორები?!!¹³

ყველაფერი, რაც აქ აღინიშნა, საინტერესო და მნიშვნელოვანია ე. ჰონიგმანის გამოკვლევაში, მაგრამ ძირითადი, რითაც ავტორმა გაამდიდრა და ახალი — საკუთრივ თავისუფალი ორიგინალური მომენტი შეიტანა არეოპაგიტული მოძღვრების საძიებელი ავტორის დადგენაში, არის იეროთეოსისა და იოანე ლაზის იდენტიურობის დადგენა. ე. ჰონიგმანი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ სახელი იეროთეოსი ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეთხზულია და არ გამოხატავს რეალურად არსებულ პიროვნებას. თუკი იეროთეოსი ხელოვნურად შეთხზული სახელია, მაშინ ასევე ნაყალბევი უნდა იყოს ამ თხზულებების ავტორის დიონისე არეოპაგელის სახელიც, რადგანაც, იეროთეოსი ცნობილია, როგორც დიონისე არეოპაგელის მასწავლებელი.

ე. ჰონიგმანმა ძველი ბერძნული, სირიული და რომაული კალენდრების საფუძვლიანი შესწავლის ნიადაგზე დაადგინა, რომ ბერძნული, სირიული და რომაული ეკლესია 4 ოქტომბერს აღნიშნავდა, როგორც იეროთეოსის მოხსენიების დღეს. ამასთან დაკავშირებით მეცნიერმა ყურადღება მიაქცია ასეთ მნიშვნელოვან გარემოებას: 465 წლის 4 ოქტომბერს გარდაცვლილა პეტრე იბერის მასწავლებელი იოანე ლაზი. მაშასადამე, იეროთეოსის მოხსენიებისა და იოანე ლაზის გარდაცვალების დღეები ერთმანეთს ემთხვევა. ეს დღე 4 ოქტომბერია.

აღნიშნულის საფუძველზე ე. ჰონიგმანი მივიდა დასკვნამდე — იეროთეოსი და იოანე ლაზი ერთი და იგივე პიროვნებაა. იეროთეოსი ფსევდო-დიონისეს მასწავლებელია, იოანე ლაზი — პეტრე იბერისა. იეროთეოსისა და იოანე ლაზის ინდენტიფიკაცია ე. ჰონიგმანისთვის ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის გაიგივების უმთავრესი საფუძველი გახდა.

შ. ნუტუბიძისა და ე. ჰონიგმანის ეს მოსაზრებანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერებაში შალვა ნუტუბიძისა და ერნესტ ჰონიგმანის ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტობის თეორიის სახელითაა შესული (ჰორნიუსი). ამ თეორიას თავის დროზე დადებითად გამოეხმაურნენ როგორც ჩვენში, (ვ. ორლოვი, ს. სიდოროვა, ვ. ჩალოიანი, ს. ყაუხჩიშვილი, ლ. მელიქსეთბეგი, შ. ხიდაშელი, ს. ენუქაშვილი), ისე უცხოეთში (ფრ. დოელგერ, რ. როკი, ვ. ივანკა, ხ. ვარდი). ამ თეორიას აღტაცებით შეხედნენ დასავლეთის ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალები.¹⁴ ამ თეორიის მართებულობის შესაძლებლობა ბოლო ხანებში აღიარეს თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერებმა (ა. ლოსევი, მ. კაპუსტინი, ვ. სოკოლოვი...).

„იდენტობის“ თეორიას უარყოფითად შეხვდა ქართულ მეცნიერთა ერთი ნაწილი (ე. კეკელიძე, ს. დანელია, ი. ლოლაშვილი).

ნუტუბიძე-ჰონიგმანის იდენტობის თეორია, როგორც უკვე ვნახეთ, ერთხმად როდო გაზიარებული, თუმცა მას მომხრეები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მოწინააღმდეგენი, როგორი უნდა იყოს ასეთ ვითარებაში ქართველ მკვლევართა დამოკიდებულება საკუთრივ არეოპაგიტული მოძღვრებისადმი?

ამ საკითხის გასარკვევად შემდეგ კითხვებს უნდა გავცეს პასუხი: 1. პეტრე იბერის, როგორც არეოპაგიტული თხზულებების ავტორის მიკუთვნება ქართული კულტურისათვის რამდენადაა გამართლებული? აქ მხედველობაში უპირველესად ისაა მისაღები, რომ არეოპაგიტული შრომები ბერძნულ ენაზეა შექმნილი. 2. ავტორობის მიუხედავად თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა არეოპაგიტიკას ქართული კულტურისათვის?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისას უპირველესად შემდეგი ორი გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული: პეტრე იბერმა თავისი ცხოვრების დიდი მონაკვეთი სამშო-



ბლოსაგან შორს — უცხო მხარეში გაატარა და საკუთრივ არეოპაგიტუკაც, რეგულარული უკვე ითქვა, უცხო — ბერძნული ენის ატიკურ დიალექტზეა დაწერილი.

პეტრე იბერი თავის მასწავლებელთან, ფრიად განსწავლულ და კეთილშობილ იოანე ლაზთან და სხვა თანმხლებ ქართველებთან ერთად 12 წლისა გავაგენეს კონსტანტინოპოლში. კონსტანტინოპოლში პეტრე იბერმა თავისი ნიჭითა და უნარით დიდად გამოიჩინა თავი. ამის შესახებ ზაქარია რატორი გვამცნობს, „ხოლო უკეთეს ვინმე იკითხვიდეს, თუ ვითარ მეტყველებდა ბერძნულ ნეტარი პეტრე, მე ვაუწყებ: რამეთუ ჩვენსა მას ყოფასა კონსტანტინეპოლეს ეზომ ადვილად დაისწავლა მან ენაჲ ბერძნული და სწავლაჲ ვიდრე—ლა უკვირდა ფრიად მეფესა და ყოველთა ფილოსოფოსთა პალატისათა სიმამხილე გონებისა მისისაჲ“.15

სამეფო კარზე დიდი წარმატების მიუხედავად, პეტრე იბერი (ერისკაცობაში მურვანი) თავის მასწავლებელთან იოანე ლაზთან ერთად პალესტინაში წავიდა და რელიგიურ მოღვაწეობაში ჩაება. ამ დროისათვის იგი 20 თუ 22 წლისაა. პეტრე იბერს ახლდნენ სხვა ქართველებიც, მათ შორის ზაქარია ქართველს ეკუთვნის მისი ბიოგრაფია ასე: „რულ ენაზე, რომელიც XIII თუ XIV საუკუნეში გადმოაქართულა მაჟარი მესხმა სწორედ ზაქარია ქართველის ბიოგრაფიაშია პეტრე იბერი მოხსენიებული, როგორც „მნათობ პალესტინისა“, „ვითარცა ხე კეთილი და შვენიერი თანაწარსადინელსა საღმრთოთა წერილთასა“, „სამკაული და სიქადული ქართველთასა და მეოხი ყოვლისა სოფლისა“... და რაც მთავარია, ამას გვამცნობს პეტრე იბერთან დაახლოებული პირი, რომელიც სიყრმიდანვე თან ახლდა მას.

აქედან, ერთი მხრივ, ცხადი ხდება პეტრე იბერის დიდი განსწავლულობა და ავტორიტეტი, ხოლო მეორე მხრივ, მისი მოღვაწეობა ქართულ გარემოში. ისიც ცნობილია, რომ პეტრე იბერი მის მიერ აგებულ ეკლესიებსა და მასთან დაკავშირებულ ადგილებს ქართულ სახელებს არქმევდა და საერთოდ იგი ბევრს ზრუნავდა ქართული კულტურისათვის. ყოველივე აქ აღნიშნულის შემდეგ ერთი რამ ცხადია: სამშობლოსაგან მოწყვეტილი — უცხო მხარეში მყოფი პეტრე იბერი საერთოდ ქართულ გარემოს როდი იყო მოწყვეტილი და მას ქართული სინამდვილე არასოდეს დავიწყებია. თუკი პეტრე იბერის ავტორობა არეოპაგიტული მოძღვრებისა საბოლოოდ დადასტურდება, არავე ითარის საფრთხე არ არსებობს, იმისა, რომ მისი აზროვნების სტილი არაქართულად იქნეს მიჩნეული. პეტრე იბერი მხოლოდ წარმოშობით არ ყოფილა ქართველი. აქ ურიგო არ იქნება კვლავ გავიხსენოთ ო. ბარდენჰევერის სიტყვები: არეოპაგიტული წიგნები „ასე ვთქვათ, უცხოელის ენით ლაპარაკობენო“. ო. ბარდენჰევერის სიტყვები სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ამ წიგნების ავტორი ნასწავლი ბერძნულით წერსო. როგორც უკვე ითქვა, პეტრე იბერმა კონსტანტინოპოლში შეითვისა ბერძნული ენა ბრწყინვალედ, თუმცა ეს მაინც „ნასწავლი“ ენა იყო მისთვის.

ახლა მეორე კითხვის შესახებ. მართლაცდა, თავისთავად როდია ინტერესმოკლებული საკითხი — არეოპაგიტუკის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. საკმარისია შუა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების შემოქმედების უბრალო თვალის გადავლებაკი, და ცხადი ვახდება არეოპაგიტუკის და საერთოდ ნეოპლატონური ფილოსოფიის უდიდესი მნიშვნელობა ქართული ფილოსოფიური აზრის ჩამოყალიბებაში.

არეოპაგიტული თხზულებების ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ეფრემ მცირე „ქართული ნეოპლატონიზმის“ თვალსაჩინო წარმომადგენელია. ეს მის მიერ სათარგმნელად შერჩეული ლიტერატურადანაც კარგად ჩანს (არეოპაგიტუკა, იოანე დამასკელის თხზულებანი...).

არეოპაგიტულმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა XII-XIII საუკუნის ქარ-

თულ საერო ლიტერატურაზე. ამ ეპოქის მეზობეათათვის (შავთელი, ჩახრუხადე) რაცაც
პატივს მიაღწევდათ გატარებული თვალსაზრისი ღვთაების მიუღწევლობისა
უყვარებლობის შესახებ საერთო მსოფლმხედველობრივ ფონს წარმოადგენდა
ლმაც განსაზღვრა მათი ბევრი მეტაფორის სასიათი.

განსაკუთრებული გავლენა აოეოპაგიტული მოძღვრებისა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს, სადაც მოცემულია პირდაპირი მითითება ფსევდო-დიონისე არეოპა-
გელზე („ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“). „ვეფხისტყაოსანში“
მინიშნებულია სიკეთის ასოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა) „ბორო-
ტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ეს თვალსაზრისი პლოტინის ფილოსო-
ფიიდან იწყება და საბოლოო, დასრულებულ სახეს არეოპაგიტულ მოძღვრებაში იღებს.

ბოლო დროისათვის ქართველი მკვლევარები არეოპაგიტიკის გავლენას ხედავენ
დავით გურამიშვილთან (რ. თვარაძე), ქაბუა ამირეჯიბთან, ნოდარ დუმბაძესთან, რევაზ
ინანიშვილთან (შ. ხიდაშელი). სავარაუდებელია, რომ სხვაგანაც იქნება ამგვარი გავლენ-
ის კვალი, რომლის გამოკვლევაც მომავლის საქმეა. აქ აღნიშნული ყველა პირობას იძ-
ლევა, რათა გაზიარებულ იქნეს შემდეგი მოსაზრება: „არეოპაგიტიკის ქართულ ენაზე
გადათარგმნის თვით ფაქტი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო მისი ავ-
ტორი, მნიშვნელოვანია თავისი გავლენით ქართული შუა
საუკუნეების იდეოლოგიაზე“.16 (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.).

ორივე კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ გამოიკვეთა არეოპაგიტული მოძღვრების
დიდი მნიშვნელობა და მისი საფუძვლიანი შესწავლის აუცილებლობა ქართული კულ-
ტურისათვის. აქედან გამომდინარე, საკუთრივ ამ მოძღვრების შესასწავლად და მისი
მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია არეოპაგიტიკის როგორც თეოლოგიურ-ფილო-
სოფიური წყაროების, ისე საკუთრივ არეოპაგიტიკაში მოცემული ძირითადი საკით-
ხებისა და საერთოდ მისი გავლენის გამოკვლევა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება არეო-
პაგიტიკის ნამდვილი მნიშვნელობის დადგენა საკაცობრიო კულტურისათვის საერთოდ
და ქართულისათვის კერძოდ.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ: ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი
არეოპაგიტიკისადმი როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. თავისთავად ეს ფაქტი ქართველი
მკვლევარებისათვის იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ თითქმის ოთხი ათეული წელია სა-
ქართველოში ამ საკითხების კვლევა-ძიება მიმდინარეობს. თუ რა დონეზე მიმდინარეობს
ეს კვლევა, ნათლად ჩანს იმ დადებითი შეფასებებიდან, რომლებიც გამოთქმულია თვ-
ლსაჩინო, საბჭოთა მეცნიერების მიერ (ა. ლოსკვი, ი. ბრაგინსკი, ვ. სოკოლოვი, მ. კ-
პუსტინი...). ყველაფერი ეს კი კიდევ ერთხელ მოწმობს შ. ნუცუბიძის დაწყებული
საქმის მართებულობასა და დიდ მნიშვნელობას.

ეჭვი არ არის, რომ შალვა ნუცუბიძის დაწყებული დიდი საქმე შესაფერ გაგრ-
ძელებას პოვებს.

შ ე ნ ი შ ზ ე ნ ა ი :

1. ნიკო მარი, იოანე პეტრიწი — XI-XII საუკუნეების ქართველი ნეოპლატონი-
კოსი, პეტერბურგი, 1909 (რუსულ ენაზე).
2. შ. ნუცუბიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, შრომები, ტ. IV,
თბ., 1976, გვ. 163-164.
3. შ. ნუცუბიძე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება, თბ., 1942 (რუ-
სულ ენაზე)
4. ე. ჰონიგმანი, პეტრე იბერი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომები (რუ-



სულ ენაზე). ვიმოწმებთ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1955.

5. ს. პორნიუსს ეკუთვნის ეს თვალსაზრისი. ვიმოწმებთ: შ. ნუცუბიძე, პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა. შრომები, ტ. V, თბ., 1975, გვ. 97.

6. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით ცხადი ხდება, რომ არეოპაგიტული მოძღვრება არანაკლებად დავალებული პლოტინის მსოფლმხედველობისაგან, განსაკუთრებით მისტიური ჭკერების საკითხში.

7. შ. ნუცუბიძე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება... გვ. 7.

8 ქართული პროზა, ტ. III, თბ., 1982, გვ. 26.

9. ვიმოწმებთ: შ. ნუცუბიძე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება... რაა-ბესთან, გვ. 91.

10. იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, თბ., 1937, გვ. 219.

11 ამ ადგილს სხვანაირად თარგმნის აკად. კ. კეკელიძე, რომლის თანახმადაც სიტყვა „კუალად“ ორგვარი მნიშვნელობის შემცველია: ერთ შემთხვევაში ეს სიტყვა განმეორებით მოქმედებაზე მიუთითებს, მეორეში კი — სიტყვა „აგრეთვეს“ მნიშვნელობისაა. პეტრიწთან სწორედ მეორე მნიშვნელობით არის ნახმარი და მხედველობაშია მიღებული მისი სხვა თარგმანები (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 48). აკად. გიორგი წერეთელი სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს ამ ადგილის ნუცუბიძისეული გაგების მართებულობას (გ. წერეთელი, „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1973, გვ. 101).

12 შ. ნუცუბიძე, „იდეენტობის“ საკითხს ეხება აგრეთვე: „ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1955; „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, თბ., 1947 (რუსულ ენაზე. ქართულად: შრომები, ტ. IV, თბ., 1976). შ. ნუცუბიძის კვლევა-ძიება არეოპაგიტიკის საძიებელი ავტორის შესახებ შეჯამდა შრომაში — „პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა“, თბ.; 1962 (რუსულ ენაზე). ქართულად: შრომები, ტ. V, თბ.; 1975).

13. პონიგმანის დასახ. შრ. გვ. 55.

14. დაწვრ. იხ. შ. ნუცუბიძე, პეტრე იბერი და ანტიკური... გვ. 241.

15 ქართული პროზა, ტ. III, გვ. 32.

16 შ. ხიდაშელი, „ძირითადი მსოფლმხედველობრივი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში“, თბ., 1962. გვ. 259 (რუსულ ენაზე).



დ ი დ ი დ ღ მ ს ა ს წ ა უ ლ ი

დიდ და ნათელ დღესასწაულად გადაიქცა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში.

დიდი რუსი ხალხის წარგზავნილები საქართველოს ბევრ კუთხეს ეწევივნენ. აჭარაში ჩამოსულ დელეგაციას მეთაურობდა რსფსრ კულტურის მინისტრი ი. მელენტიევი.

ძვირფასი სტუმრების შესახვედრად ბათუმის აეროპორტში მოვიდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ისინი გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს. პიონერებმა მათ თაიგულები მიაჩვენეს.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პოეტი სოციალისტური შრომის გმირი მ. დუდინი, მწერალი სოციალისტური შრომის გმირი მ. ალექსეევი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის, ხელოვნებისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე ა. ბელიაკოვი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, რსფსრ მხატვართა კავშირის მდივანი ხ. იაკუბოვი, რსფსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. უსპენსკი, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, რსფსრ სახალხო არტისტი, ი. მარკსინი, ლენინური კომკავშირის პრემიისა და ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ლ. რიუშინა.

თბილისიდან რსფსრ დელეგაციას ჩამოყვანენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი გ. ციცი-

შვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ო. ბაქანიძე.

* * *

საზეიმოდ იყო მოთაული ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის „საპატიო წიშის“ ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრი. აქ გაიმართა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოში რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების საზეიმო გახსნა აჭარაში.

იგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა რსფსრ კულტურის მინისტრი ი. მელენტიევი. დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის დღეები აჭარაში გაიხსნა.

იწყება საზეიმო კონცერტი, რომელშიც სტუმართა საუკეთესო ვოკალური თუ ქორეოგრაფიული კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ. მათი ყოველი გამოსვლა დამსწრეთა დიდ მოწონებას იმსახურებდა.

საზეიმო კონცერტმა არავინ დატოვა გულგრილი. მან კიდევ ერთხელ გვაზიარა უმდიდრეს და ულამაზეს რუსულ მუსიკალურ ხელოვნებას. კონცერტის თითოეულ მონაწილეს მიაჩვენეს ყვავილების თაიგულები.

* * *

რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მრავალფეროვანი პრო-

გრამის თავისებური აზრით გაცხადდა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც პარცხანაში გაიმართა. აქ, ქალაქის შემოსასვლელთან, მოვიდა ათასობით ადამიანი, რათა მონაწილეობა მიეღო ზეიმში, რომელიც დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნებისადმი მიძღვნილი ძეგლის საძირკვლის ჩაყრას მიეძღვნა.

ბათუმ-თბილისის გზატკეცილის პირველ კილომეტრზე, გაშლილ მინდორში სახელდახელოდ აღმართულ სცენაზე ნორჩები თავიანთ ოსტატობას უჩვენებდნენ დამსწრეთ, ფლაგშტოკებზე ფრიალებს თხუთმეტი მოძვე რესპუბლიკის დროშები. ტრანსპარანტებსა და ლოზუნგებზე ქართულ და რუსულ ენებზე ჩვენნი ხალხების ძმობისა და მეგობრობის სიტყვებია აღბეჭდილი.

საპატიო სტუმრებთან — საქართველოში რუსეთის ფედერაციის დღევანდის მონაწილეებთან ერთად მიტინგზე მოვიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, ახალგაზრდები.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

ისმის სივოცხლის პიმნის „შენ ხარ ვენახის“ ჰანგები. მიტინგის მონაწილენი და სტუმრები მიემართებიან გრანიტის ქვისაკენ, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე ამოკვეთილია სიტყვები: „აქ დაიდგმება ქართველი და რუსი ხალხების ერთობლივი ბრძოლით აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნებისადმი მიძღვნილი ძეგლი“.

ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე გამოვიდნენ ქობულეთის რაიონის ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ანანიძე, რუსეთის ფედერაციის დელეგაციის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი პოეტი მ. დუდინი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართვე-

ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, კავშირებისათვის მჭერალი ჟურნალის ცხელი, სამხედრო მოსამსახურე ვ. ს. უფეიკო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ე. კახაძე, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. დოლიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი ფ. ხალვაში.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისადმი მიძღვნილი ძეგლის საძირკვლის ჩაყრა ქართველი და რუსი ხალხების ურღვევი მეგობრობის ნათელ დღესასწაულად იქცა. ამის დასტური იყო კონცერტიც, რომელიც ქართველი და რუსი ხელოვნების ოსტატების მონაწილეობით გაიმართა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისა და ვლადიმირის ფილარმონიის სასიმღერო-ინსტრუმენტული ქორეოგრაფიული ანსამბლის „რუსეთის“ სოლისტები. მეტად ლამაზად შეერწყა ერთმანეთს ქართული ცეცხლოვანი ცეკვების ტემპერამენტი და რუსული სინაზით აღსავსე ქორეოგრაფიული სურათების სინატიფე. მაყურებლები მოიხიბლნენ რუსეთის დელეგაციის წევრის, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის ლიუდმილა რიუმინას ხელოვნებით, რომელმაც შეასრულა რუსული ხალხური სიმღერები. კონცერტში მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ და დამსახურებული არტისტი ლეილა ვერულაშვილი, აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი ვლადიმერ ფედოტოვი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები

ნინო საკანდელიძე, ავთანდილ ქარჩავა
და სხვები.

* * *



დიდხანს ვაგრძელდა ზეიმი, რომელმაც
ერთხელ კიდევ ცხადყო ქართველი და
რუსი ხალხების სამარადისო ძმობისა და
ერთობის ურღვევი ძალა.

* * *

აჭარის მხატვართა კავშირის საგამო-
ფენო დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის
სახალხო მხატვრის, საბჭოთა კავშირის
სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტის, რსფსრ ა. რეპინისა და თათრე-
თის ასსრ მ. ტუკაის სახელობის სახე-
ლმწიფო პრემიების ლაურეატის ხარის
იაკუბოვის ნამუშევრების პერსონალუ-
რი გამოფენა.

გამოფენა გახსნა აჭარის ასსრ კულ-
ტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ.

ხარის იაკუბოვის ხელოვნება კეშმა-
რიტად მზიური ხელოვნებაა, თქვა ვერ-
ნისაჟე რსფსრ კულტურის მინისტრმა
ი. მელენტიევმა, ხ. იაკუბოვის ნაწარ-
მოებებს არა მარტო ჩეხთან, არამედ
უცხოეთშიც კარგად იცნობენ. ფართო
აღიარება პოვა მისმა „ლენინიანამ“,
აგრეთვე ისეთმა ნამუშევრებმა, როგო-
რიცა „თათრეთის ოქრო“, „ჩელნის
ლამაზმანები“. მათში გადმოცემულია მე-
ნავთბეთა და კამის ავტოქარხნის მშე-
ნებელთა პორტრეტები. ბევრი ტილო
მიუძღვნა ავტორმა დიდი სამამულო
ომის თემას, გამომსახველობით გვიჩი-
დავს ხ. იაკუბოვის პეიზაჟები.

გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამო-
ვიდა ხელოვნებათმცოდნე ნათია ქური-
ძე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი,
რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის
კრასნოიარსკის განყოფილების თავმჯდო-
მარე, სსრ კავშირის მხატვართა კავში-
რის გამგეობის მდივანი იური იშხანოვი,
ბათუმელი მხატვარი ოლეგ ტროფიმოვი.

ხ. იაკუბოვმა მადლობა გადაიხადა გუ-
ლთბილი მიღებისა და კეთილი სურვი-
ლებისათვის.

საქართველოში რუსეთის ფედერაცი-
ის ლიტერატურისა და ხელოვნების დღე-
ების მონაწილეთა ჯგუფი ეწვია გმირი
ბულგარელი მესაზღვრის ასენ ილიევის
სახელობის სასაზღვრო საგუშაგოს მეო-
მრებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მშრომლებსა და მესაზღვრეებს მკიდ-
რო კავშირი და მეგობრობა აერთი-
ნებთ. ეს მეგობრობა სამშობლოს მტრე-
ბის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით
არის შედუღებული. მას საფუძვლად
უდევს საბჭოთა პატრიოტიზმი, არმიისა
და ხალხის ურღვევი ერთიანობა. საზ-
ღვრის დაცვას ადგილობრივი მოსახლე-
ობა უპირველეს მოვალეობად თვლის.
პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული
მუშაეები დიდ ორგანიზატორულ მუშა-
ობას ეწევიან მოსახლეობის სიფხიზლის
ასამაღლებლად, სახელმწიფო საზღვრის
დაცვაში მესაზღვრეებთან მათი კავშირის
გასამტკიცებლად.

ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის
ლიტერატურისა და ხელოვნების დღეე-
ბის მონაწილეებს ესაუბრნენ ოფიცრები
ი. კოგუტენკო და ვ. ლობოდა..

სტუმრების შესახვედრად გამწკრივე-
ბულ მებრძოლებს მიესალმა საქართვე-
ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-
ტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პა-
რტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირ-
ველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

გულთბილად მიესალმნენ მესაზღვრე-
ებს რუსეთის სფს რესპუბლიკის კულ-
ტურის მინისტრი ი. მელენტიევი და სო-
ციალისტური შრომის გმირი მწერალი
მ. ალექსეევი.

ლენინური პრემიის ლაურეატმა, სო-
ციალისტური შრომის გმირმა პოეტმა მ.
დუდინმა წაიკითხა მესაზღვრეებისადმი
მიძღვნილი ლექსი.

გულში ჩამოწვდომი რუსული სიმღერე-
ბი შეასრულა ლენინური კომკავშირის
პრემიის ლაურეატმა, ესტრადის მსახიო-

ბთა სრულიად საკავშირო კონკურსის
ლაურეატმა ლ. რიუმინამ.

რუს სტუმრებთან ერთად შეხვედრაში
მონაწილეობდნენ მესაზღვრეთა ნორჩი
მეგობრები, ნებაყოფლობითი სახალხო
რაზმეულების წევრები, საზღვრისპირა
სოფლების კოლმეურნეები.

* * *

კინოტეატრ „თბილისში“ მოეწყო შეხ-
ვედრა საქართველოში რსფსრ ლიტერა-
ტურისა და ხელოვნების დღეების მო-
ნაწილე რსფსრ კინოსტუდიების ცნო-
ბილ მსახიობებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა
აქარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმ-

წიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბო-
ლქვაძემ, ძვირფას სტუმრებს მიესალმ-
ნენ ბათუმის სახალხო დეპუტატთა, საქა-
ლაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის
მოადგილე ა. აბაშიძე, შ. რუსთაველის
სახელობის ბათუმის პედიანსტრუქტურის
სტუდენტი ი. გოგიბერიძე, დრამატურ-
გი ა. ჩხაიძე.

დარბაზში შეკრებილნი გულთბილად
შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო არტი-
სტების ლ. ჩურსინას, პ. გლეზოვის,
რსფსრ სახალხო არტისტების ი. სავი-
ნას, მ. გლუზსკის, რსფსრ დამსახურებუ-
ლი არტისტის ვ. ტელეჩკინას გამოსვ-
ლებს.

დასასრულს უჩვენეს ახალი ორსერი-
იანი მხატვრული ფილმი „ღემშიდოვები“.



მომზადებული წიგნები

- გამარჯობა, წელი ახალი, № 1.
„ჭოროხი“ 25 წლისა, № 3.
ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით, № 4.

პოეზია

ანაბიძე ალექსანდრე — ძმად გაფიც-
ვა, № 5.

ანთაძე ცისანა — ლექსები, № 2.

ბაკურიძე ენვერ — ოქრო იღვრება,
ლექსი, № 1.

გვარიშვილი ნანა — ზოია კოსმოდე-
მიანსკაიას ძეგლი, № 2.

გუჯაბიძე ქეთიანო — ლექსები, № 2.

დავითაძე ემენი — ლექსები, № 1, 6.

ერგემიძე ნუგზარი — ლექსები, № 6.

ვარშანიძე მამია — ლექსები, № 4, 5.

ზოიძე შოთა — ლექსები, № 3.

თედორაძე დავით — ლექსები, № 3.

თოთაძე ლალი — ლექსები, № 2.

კვერენჩილაძე ჭემალ — ზღვა — ცი-
სფერი წიგნი (პოემის ფრაგმენტი), № 1.

მელია იაკობ — ლექსები, № 4.

მელუა ცისანა — ლექსები, № 2.

მეტრეველი ბორის — ლექსები, № 4.

მხოლოდ ერთი ლექსი (მამია მიქელაი-
შვილის, ტატიანა გეგენავას, ნონა ვარა-
ზაშვილის, ქეთიანო გიორგაძის, ნინო სა-
კანდელიძის, ეუფუნა შაინიძის, თამარ
კვაჭაძის ლექსები), № 2.

როყვა შოთა — ლექსები, № 4.

ფარცხალაიშვილი ზურაბ — ლექსები,
№ 1.

ქათამაძე ჭემალ — ლექსები, № 2, 5.

ნალვაში ფრიდონ — ლექსები, № 1, 5.

ხაჩიშვილი ჟუჟუნა — ლექსები, № 6.

ჩინჩიასძე რუსუდანი — როგორც აბრი-
ლი, ლექსი, № 2.

პროზა

ვარშანიძე მამია — ოხერა სულისა,
ქრონიკის ერთი თავი, № 1.

მაღაზონია ნესტორ — მოგონებათა
წიგნიდან, № 1.

ოურენკო ოლეგ — საქანელა, ნოველა,
№ 4.

კეკელაძე გიორგი — ორი მოთხრობა,
№ 1.

ნაცვალაძე დავით — კვალი ნათელი,
ისტორიული ქრონიკა, № 5.

სტურუა რობერტ — შემოდგომის ორი
დღის ქრონიკა, კინოსცენარი, № 5, 6.

სურმანიძე რამაზ — ემრულა, კინო-
მოთხრობა, № 1, 2, 3, 4, 5, 6.

ჩაჩუა ანა — კონცერტი სელენიოვე-
ბის ოჯახში, ერთი თავი წიგნიდან „სამ-
ხრეთის ცის ქვეშ“, № 2.

ჩხაიძე მარიანე — მარადიული გაზაფ-
ხული, მოთხრობა, № 2.

ჭაყელი ჭემალ — ივერია, მოთხრობა,
№ 1, 2, 3, 4.

ჯიჯილი

ირემაძე ნოზრევან — ფეხბურთელები,
ლექსი, № 3.

ხიმონია ვასილ — სიხარული, ლექსი,
№ 3.

ჭყონია იოსებ — ხათუნა, ლექსი, № 3.

ახალი მთარგმანები

დე მიუხე აღფრედ — ლექსები, თა-
რგმნა გიორგი სალუქვაძემ, № 2.

ელუარი პოლ — თავისუფლება, ლექ-
სი, თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა,
№ 1.

ესენინი სერგეი — ლექსები, თარგმნა
გიორგი სალუქვაძემ, № 4.

მიწა, რომელსაც საქართველო ჰქვია
სახელად (მიხეილ დუდინის, ევგენი ევ-
ტუშენკოს, ბელა ახმადულინას ლექსები),
თარგმნა გიორგი სალუქვაძემ, № 6.

შედი მარგარეტ — მარადიული მოწმე,
მოთხრობა, თარგმნა იოსებ ფარეშვილ-
მა, № 2.

ჰაინე ჰაინრიხ — სიღვრიელი ფეიქრე-

ბი, ლექსი, თარგმნა მიხეილ მამულაი-
შვილმა, № 3.

ჩვენი კვლევები

დადანი შალვა — თეთრი გენია, ლე-
გენდა, № 1.

ნარკვევები

გურგენიძე ამირან — პირველი აპარე-
ლი მჭრინავი ქალი, № 1.

კილურაძე ამირან — სეინერები ზღვა-
ში გადიან, № 4.

კუჭავა დანიელ — გმადლობთ, ექი-
მო, № 3, 4.

ქუთათელაძე გენრიეტა — მზიანი დღე-
ების სიკეთე, № 1.

ძირკვაძე ნოდარ — დიოკნისელი ქალი-
შვილები, № 3.

კრიტიკა და პიზმოზრაფია

აბაშიძე სოსო — ქამი ფრთის გასწო-
რებისა, № 1.

ანთაძე ცისანა — სიტყვა მეგობარი
პოეტის წიგნზე, № 6.

დიასამიძე ავთანდილ — ჩაფიქრება,
№ 6.

ზოიძე შოთა — „საუკუნოდ სახსენე-
ბელი“, № 6.

თვარაძე რევაზ — აბუსერისძე ტბე-
ლის ნოველა, № 5.

კოშაშიძე დავით — საყურადღებო გა-
მოკვლევა, № 4.

ჟღენტე ნინო — ანასტასია ერისთავი-
ზომტარიას საბავშვო თხზულებანი, № 3.

სხარულაძე იური — საგოგრაფიო
სახელთა მეცნიერული შესწავლისათვის.
№ 5.

წერილები

ბიბილეიშვილი დუბა — იაკობ გოგე-
ბაშვილის — „რუსკოე სლოვო“, № 2.

გობრონიძე ალექსანდრე, ბიბილეიშვი-
ლი იური — დისციპლინა — ზნეობის
სათავე, № 4.

გოგიტიძე სერგო — სამხრეთ-დასავ-
ლეთ საქართველოს ქვის ხანის ძეგლები
შესწავლის შედეგები, № 3.

გუგუშავა ნანი — ისტორიული გაღა-
რების მკაფიო მაგალითი, № 6.

ვარშანიძე შალვა — აჭარის სამეურ-
ნეო და კულტურული აღმავლობა ანტი-
კურ ხანაში, № 4.

მახარაძე მიხეილ — „ქართული ნეო-
პლატონიზმი“ და ნუტუბიძე-პონიგვანის
იდენტობის თეორია, № 6.

სახოლია ივლიდა — ქართული (აჭარუ-
ლი) კერძების შესწავლისათვის, № 2.

სურგულაძე ანელ — ქართველი ხალ-
ხოსნები ბათუმში, № 1. ქალაქ ბათუმის
ისტორიისათვის, № 4, გეორგიევსკის
ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშ-
ნელობა, № 5.

უზუნაძე რევაზ — „გაუმარჯოს რუ-
სეთის დიდ რევოლუციას“, № 6.

ფერაძე ლიანა — ვახუშტი „ივერიის“
ისტორიისათვის, № 1.

შამელაშვილი რაფიელ — ეპიგრაფი
გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში, № 1. სო-
ფლის მეურნეობის ტერმინები რუსულსა
და ქართულში, № 5.

შარაშიძე ლადო — დაფასებული ამა-
გი, № 6.

ცქვიტარია პარმენ — დიდი გზის
ეტაპები, № 4.

ხერხეულიძე იუზა — სახელოვანი
ქალები, № 1.

ხელოვნება

მოისწრაფიშვილი ნინო — სიტყვა
ახალგაზრდებზე, № 2.

შარაშიძე ლადო — ხელოვანის ღვაწ-
ლი, № 5.

მემოზრობა — გზად და წიდად

ბეკირიშვილი იოსებ — ორი ძმის
სოფელი, № 4.

გორგაძე რევაზ — ლეგენდადქმეული
სახელები, № 5.

კავაზისი ნიკოლოზ — „გილოცავთ
ძმობის დღესასწაულს“, № 5.

ქალანდარ შვილი ლევან — ძმობის
ფურცლები, № 3.
კომახიძე ზია — ჩვენი ძლიერების
წყარო, № 3.
ცქვიტარია პარმენ — მეგობრობისა
და ძმობის ისტორიდან, № 6.

რას მოგვითხრობენ ბოკონიშები
ქალდანი მაქსიმე — კვლავ ბათუმის
ეტიმოლოგიისთვის, № 2.

ს კ მ რ ტ ი

რაც დავიწყებით არ იზინდება
ცერცვაძე იასონ — იმ ქარცეცხლიან
დღეებში, № 3, საბრძოლო თანამეგობ-
რობა, № 5.

ზაშაბიძე ანზორ — წარსულ სეზონს
რომ ვისვენებთ, № 1.
ქავჭავაძე ლევან — ბათუმის „დი-
ნამო“ ახალ სეზონში, № 2.
ქირია შალვა — მტკვრისპირელი გა-
რინჩა, № 3.

გვარების კვალდაკვალ

სიხარულიძე ზაზა — ბარათშვილი,
№ 1.

გახულ ორ თვეში

№ 1, 2, 3, 4, 5, 6.

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სხმსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბაჩიჩილაძე, ზურაბ გორგილაძე, მამია
ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ჯოჩიაძე, დავით თედორაძე,
გიორგი სალუჭვაძე, ჯემალ ძაბუაშვილი, ალექსანდრე ჩხიკიძე, ფრიდონ
ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ვნეკლასის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაცა წარმოებას 20.10.83, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.11.83, საგამო-
მცემლო თაბახი 5, შეკვეთის № 2772, გვ 00818, ქაღალდის ზომა
60×90¹/₁₆, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო
გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое
производственное объединение Аджарской АССР, Батуми,
ул. Р. Люксембург, 20.

6102 / 99



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118